


საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო პაგშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიციურა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



№16-17
2012

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის მაღით აკრძალულია. უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ნოდარ ზედელაშვილი (მთავარი რედაქტორი),
ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),
გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, ნოდარ ცხვირავაშვილი, ალექსი ჭედია, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.
საკონტაქტო ტელეფონები:
299-00-35, 299-94-46, 293-43-10
577-52-31-31, 577-50-29-84**

ISSN 1987-7449

У საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

უმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საშართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისტონისა და ბიჭვინთისა და ცხმა- აზხახეთის მიუროპოლიტის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე	4
არძიმადერიტი ელისე /შერეთელი/. – დოგმატური ღვთის- მეტყველებისა და იდეალისტური ფილოსოფიის ზოგიერთი მსოფლმხედველობრივი საკითხი	14
ელდარ ნადირაძე – „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“. გამოხ- მაურება წერილზე – „აკაკი წერეთლის წმინდანად კანონიზებ- ის შესახებ“	23
ომარ შუდრა – მართვის კულტურა	38
ნუბჩარ შერეთელი – გზები წყვდიადში /ნაწყვეტი რომანიდან/..	54
ნუბჩარ ერბემლიძე – ლექსები	76
ნუბჩარ ერბემლიძე – წერო /ნოველა/	86
მერაბ თხელიძე – ლექსები	90
სტუდენტი-ახალგაზრდობის შემოსმედება	
გვანცა ჩიქობაგა	94
ზურაბ გეჯაძე	103
გორგი დავთაშვილი	107
დაუგიურარი ადამიანები	
ლეგენდარული პიროვნება	109
მანგლისს კაცი დააკლდა	116
ასე ვცხოვრობთ, ვშრომობთ, ვიბრძიოთ	118
მისი სიმდიდრე სიკეთეა და სიყვარული	121
ჩვენი სოცლები	
სოფელი ახატანი დახმარებას საჭიროებს	125

საშობაო ეპისტოლე

**უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორისა**

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთა-
ვარნო, მოძღვარნო, დაკონნო, ბერ-მონა-
ზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო
საქართველოს სამოციქულო ეკლესი-
ისა, ღვთივკურთხეული ივერიის
მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს
საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თან-
ამემამულენო!

„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერ-
თი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“
(I პეტრე 5.5)

მადლობა უფალს, რომ კვლავ
გავხდით ლირსი, მოგვესმინა ანგელოზ-
თა საოცარი საგალობელი: „დიდება
მაღალთა შინა ღმერთისა, ქუფნასა ზედა
მშვიდობა და კაცთა შორის სათნოე-
ბა“ (ლუკა 2.14).

ყოვლადწმიდა სამების მოწყალებით
„სიტყვა ხოლციელ იქმნა და დაემკვიდრა
ჩვენს შორის საგსე მადლითა და ჭეშ-
მარიტებით“ (იოანე 1.14).

დიახ, „დღეს დავითის ქალაქში
დაიბადა... მაცხოვარი, რომელიც არის
ქრისტე უფალი“ (ლუკა 2.11) და
უწოდებენ სახელად ემმანუელს, რაც
თარგმანებით ნიშნავს: ჩვენთან არ ს
ღმერთი“ (მათე 1.23).

გიხაროდეთ, ერნო, „რაც არ უხ-
ილავს თვალს, არ სმენია ყურს და
არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზა-
და ღმერთმა თავის მოყვარეთ“
(I ქორ. 27.6).

მაშ, მივეახლოთ მას და თაყვანი
ვსცეთ, ვითარცა მწყემსთა ბეთლემისა-



თა და შევწიროთ ძვირფასი ძღვენი,
ვითარცა მოგვთა აღმოსავლეთისათა.

იგი მოვიდა ამქეცნად, რათა მოუხ-
მოს თავის ცხოვართ და აზიაროს ისინი
ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედ-
ნიერებას.

ვინ შეიძლება შემოგვთავაზოს უკე-
თესი არჩევანი? ანდა რა შეიძლება იყოს
ამაზე მეტად სანუკვარი?! მაგრამ ამას
ბევრი ვერ ხვდება, არამედ მხოლოდ
ისინი, რომელიც სიცოცხლის აზრს
სწორად აცნობიერებენ.

საერთოდ, ყოველი გონიერი ადამი-
ანი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხ-
ვას, - რისთვის არის ამ ქვეყანაზე და
რა უნდა აკეთოს? ეს კი ცხოვრების
საზრისის, ანუ სამყაროში თავისი ად-
გილის პოვნას, გულისხმობს. თუმცა
არსებობენ ისეთნიც, რომელიც ასეთ

კითხვას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უსვამენ საკუთარ თავს და მიწიერ ყოფას უმიზნოდ და, შესაბამისად, უაზროდ ამთავრებენ. საზოგადოების ნაწილი კი თავის მრწამსს, თავის დანიშნულებას საკუთარ წარმოდგნაზე, ან სხვადასხვა თეორიისა და რელიგიის სწავლების საფუძველზე აყალიბებს. მათი ქმედება, რა თქმა უნდა, მოტივირებულია და ხშირად წარმატებულიც ამ ქვეყნაზე, მაგრამ სულის ცხონება, რაც ყველაზე მთავარია და არსებითი, ამ გზით ვერ მიიღწევა.

ყველასგან განსხვავებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცხოვრების საზრისი. მას შეიძლება „ქრისტესმიერი გონება“ ეწოდოს, რადგან იგი, პირველ რიგში, სულიწმიდის მადლმოსილებას გულისხმობს, შემდეგ კი ადამიანურ შესაძლებლობებს.

„ქრისტესმიერი გონის“ შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც წმიდა პავლე მოციქული ჭეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ იგი არ ქედმალლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერს ითმენს, ყოველთვის იმედი აქვს. ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები.

ქართული სულის ერთ-ერთი სახასიათო თვისება შოთა რუსთაველმა ასე გამოთქვა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“. ზოგიერთი ვერ ხვდება მის შინაარსს, რადგან, მიწიერი ლოგიკით, სხვისთვის მიცემული ნივ-

თი თუ ქონება გამცემს აღარ ეკუთვნის და ეს ნათქვამი, ბუნებრივია, მისთვის გაუგებარია.

არადა, აღნიშნული აფორიზმი შეიცავს ღრმა ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის უკვდავების შესახებ. მორწმუნეს სწამს, რომ მის მიერ აღსრულებული უანგარო ქველმოქმედება სათნოა ღვთისათვისაც და ადამიანისათვისაც. ამასთან, იცის, რომ რასაც გასცემს ამქვეწიურ დროებით ყოფაში, მას მარადიულ ცხოვრებაში დაიუნჯებს და ეს არის მიზეზი მისი სულიერი სიხარულისა, ხოლო რასაც არ გასცემს, ბუნებრივია, ის მას მარადიულ ყოფაში მოაკლდება.

მიტომაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულის სულისთვის, ლოცვასთან ერთად, მის სახელზე მოწყალების გაღება აუცილებელია, რაც დიდად შეეწევა გარდაცვლილს.

სწორედ ასეთი აზროვნებიდან მომდინარეობს ქართველი კაცის სტუმართმოვარეობა, ხელგაშლილობა, თანადგომისა და თავგანწირვის უნარი; ისიც, რომ იგი ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს, უშურველად წირავდა მოყვასისა თუ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეს დამოკიდებულება იმდენად შეისხლხორცა ჩვენმა ერმა, რომ იგი მის განუყოფელ თვისებად იქცა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“,

- საუკუნეებია შთამომავლებს

დევიზად გადაეცემათ ეს სიტყვები. ასე იზრდებოდნენ თაობები; რა თქმა უნდა, მათ შორის მუდამ იყვნენ კარიერისა და პირადი კეთილდღეობის სურვილით საკუთარი მეობისა და ქვეყნის ინტერესების ნებაყოფილობით უარმყოფელნი და საზოგადოებისათვის ცუდი მაგალითის მიმცემი, მაგრამ დღემდე სწორედ იმიტომ მოვაღწიეთ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი გაჰყენა არა მათ, არამედ ჩვენი ეროვნული მეობისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულებს.

ახლა დრო შეიცვალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება; განსხვავება კი ის არის, რომ თუ ადრე დაპირისპირებული მხარეების საჯარისო ნაწილები ომობდნენ, ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისთვის, მიმდინარეობს, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება;

ძირითადად ამ გზით ვრცელდება ფსევდოკულტურა და ანტირელიგიური ღირებულებათა სისტემები, რომელთა ქვაკუთხედსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას ეგოიზმი წარმოადგენს. ეგოიზმის წინ წამოწევა კი ხელს უწყოს პიროვნებაში მომხმარებლური და მომხვეჭელური მისწრაფებების განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოების საერთო დეგრადაციას, ხოლო გარემოში - ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, ფაქტობრივად,

არავინ არის მათი სწორად ფორმირებისათვის ხელისშემწყობი, რადგან სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც სათანადოდ ვეღარ ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას, არც მშობლებს სცალიათ შვილებისათვის; ეკლესიაც მასთან მისულთა მიმართ ძირითადად აღსარებითა და ზიარებით იფარვლება. ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს და რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისთვის კი არსებული კითარება სწორად უნდა შევაფასოთ.

ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ.

ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც უნდა გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ღირსება და მათგან კეთილი შეითვისონ.

მაგრამ ყოველივე ამას შეიძლებს მხოლოდ ის, ვისაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული ეროვნულ-ქრისტიანული საზრისი. ამისთვის კი აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ქართული ფოლკლორი, კულტურა და ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები..., ჩვენ უნდა

შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ღირებულებებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავნებს. ეს კი დიდად დაექმარება ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევებს.

ამაშია საქართველოს გადარჩნა. ახლა კი თქვენს ყურადღებას საქართველოს ისტორიაზე შევაჩერებ. სამწუხაროდ, ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიშმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში.

ადრეც მითქმას, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენტურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრულ დარგებად მიიჩნეოდა.

ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირ-

დათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე.

ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უსსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა.

მაგალითად, გავიხსენოთ წმიდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიაღს, რასაც, ალბათ, ისც განაპირობებდა, რომ ურარტუელთა სამ მთავარ ღვთაებას შორის უპირველესს „ქალდი“ ერქვა.

„ურარტუელი ქართველთა წინაპარი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცნი,“ - წერს იგი „ქვათა ღალადში“ და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამყარებს.

თავის ცნობილ ნაშრომში, - „ივერიას კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში,“ - კათოლიკოს-პატრიარქი კირიონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველი შთამომავალი არიან ქალდეველთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

საყურადღებოა, რომ „ქალდი“ დღესაც პეტა უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები. „ქალდეად“ ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროვაც.

ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „კუალად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაქეშენეს იგინიცა ქართლს“.

სიტყვა „ქალდიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც“, რომელსაც, ალბათ, უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა.

სინამდვილეში „ქალდი“ საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის, ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღმი, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან“ მომდინარეობს.

ამდენად, ქალდი - ქართი - ქართლი - ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია. საერთოდ, ეს საკითხი შემდგომ კვლევასა და გაღრმავებას საჭიროებს. საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ჩვენმა გენმა გაუძლო ათასი ჯურის გარეშე ძალებისა და სხვადასხვა იმპერიის არაერთ მცდელობას, რომ გავეთიშეთ და დავენაწევრებინეთ; ჩვენ შევძელით, საკადრისი პასუხის გაცემა მათს ვერაგულ ქმედებებზე და დღემდე ერთობითა და ერთსულოვნებით მოვაღწიეთ. ჭკვიან მტერსა და უგუნურ მოყვასს დღესაც უნდა ჩვენი გაყოფა, მაგრამ, ღვთის მოწყალებით, ამას ვერ მიაღწევთ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ვიყოთ არა როსტომ ხანის, არამედ ცოტნე დადიანის მემკვიდრენი.

ჩვენი ერის ერთიანობის უნიკალურობა ჩვენს საოცარ მრავალფეროვნებაშია. ყველა კუთხე თავისებურებებით გამოირჩევა: განსხვავებულია მათი სიმღერა, ცეკვა, სამოსი, სამზარეულო, მუტყველება, კოლო; მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეს ერთიანი ქართული სულის განუყოფელი ნაწილია.

ხასიათიც განსხვავებული გვაქს; ზოგი უფრო ფიცხია, ზოგი დინჯი, ზოგი იუმორით სავსეა, ზოგიც მკაცრი, ზოგი სიტყვაძუნწია, ზოგი სიტყვამრავალი, ზოგი უფრო აღლოიანია, ზოგი კი დამყოლი ბუნებისა და მიამიტი...; მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად, გვახასიათებს მთავარი საერთო თვისებებიც: სიყვარულის ნიჭი, მადლიერების განცდა, გულწრფელობა და სიაღაღე...

ჩვენს ერის ყოველთვის ჰქონდა მადლიერების გრძნობა ღვთისაღმი. ამის დადასტურება საუკუნეთა მანძილზე, - განსაკუთრებით კი ყველაზე დიდი გაჭირვების უამს, - აშენებული ეკლესია-მონასტრების სიმრავლე. ეს განცდა მას ათეისტურმა საშინელმა რე-

ჟიმბაც კი ვერ ჩაუკლა. ამიტომაცაა, რომ ახლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიუხდავად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხანგრძლივი კრიზისისა, მთესუდავად გარედან თავპირზე ვეული შეიარაღებული კონფლიქტებისა, ხალხის ძალისხმევით ათასობით ეკლესია-მონასტერი აღდგა და აშენდა, ამჟამად კი ღვთის სადიდებლად და სამადლობლად, მრევლის შესაწირით, შეიქმნა უნიკალური ხატი, „საქართველოს იმედი”, რომელზეც ჩვენი ეკლესიის ყველა წმიდანი და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობნი არიან გამოსახულნი, რათა მათი მეოხებით გადავრჩეთ და გადარჩეს ჩვენი ქვეყანა; ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფლის წინაშე ვალი მოვიხადეთ და გასაკეთებელი აღარაფერი გვაქვს.

ურწმუნოთა 70-წლიანმა ბატონობამ ჩვენს საზოგადოებას ღრმა კვალი დააჩნია, და დაამახინჯა ჩვენი ცხოვრების წესი და აზროვნება; სხვადასხვა სახით ეს დღესაც ვლინდება. მათ შორის მადლიერების განცდასთან მიმართებაშიც.

ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ განკურნებული ათი კეთროვანიდან მხოლოდ ერთი, სამარიტელი, დაბრუნდა მაცხოვართან მადლიბის სათქმელად და ამიტომაც ღირსი გახდა შემოქმე-

დი ღმერთი შეეცნო და ცხონების გზა ეპოვა, ხოლო დანარჩენმა ცხრა განკურნებულმა კეთროვანმა, რომელნიც აბრამის შთამომავალნი იყვნენ და „სასუფევლის ძედ” იწოდებოდნენ, უმაღურობით დაკარგეს უფალი.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ საიდუმლო სერობის შემდეგ ღვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იქსო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა. ამიტომაც, იუდა ღალატთან ერთად, უმაღურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

მადლიერების გრძნობა ღვთისაგან გვაქვს მონიჭებული, - წერენ მამები, - და თვით ადამიანური ბუნება გვიბიძგებს ასეთი დამოკიდებულება გვქონდეს ჩვენთვის მზრუნველობით. შინაური ცხოველები და მზეცებიც კი ავლენენ სიყვარულს კეთილისმყოფელთადმი და რაოდენ გვმართებს, ეს განცდა გამოვხატოთ მის მიმართ, რომლისგანაც შეიქმნა ყოველი, რომელმაც მოგვმადლა ქვეყანა „უთვალავი ფერთა”, მოგვანიჭა სიცოცხლე, გონება, თავისუფალი ნება, ჯანმრთელობა, სიყვარულის უნარი, ბედნიერების განცდა, სამყაროს აღქმა, რომელიც გვითენებს ყოველ დღეს, გვაძლევს საკვებს, სითბოს, ჰაერს, წყალს და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი ჯვარცმისა და მსხვერპლშეწირული სიყვარულის ფასად ბოძებული წარუვალი ნეტარი ცხოვრების შესაძლებლობა.

განა შეიძლება, რომ ყოველ წამს არ ვგრძნობდეთ მის მზრუნველობას, ვიყოთ ყოველივე ამის მომზმარებელნი

და არ გამოვხატავდეთ მისდამი გულწრფელ მადლიერებას?!

ვიქევით კი ასე?

ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად მადლიერებას, ასე თუ ისე, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ. მოჩვენებით მადლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა იგი ღვთისა და კაცის წინაშე. გავიხსენოთ კაენისა და აბელის მაგალითი. რაჭომ შეიწირა ღმერთმა აბელის მერ მირთმეული სამადლობელი ძღვენი, ხოლო კაენისა - არა? იმიტომ, რომ აბელმა თავისი ქონების საუკეთესო ნაწილი გაიღო და ეს უფლისადმი მთელი სიწრფოებითა და მადლიერებით გააკეთა, კაენმა კი უგულოდ, მოვალეობის მოხდითა და ამპარტავნებით.

სწორედ ამიტომ განიძარცვა იგი მადლისაგან და დაუუფლა საშინელი შური ძმის მიმართ, შემდეგ კი იმდენად დაცა, რომ ყურად აღარ იღო აღარც შემოქმედის გაფრთხილება: „თუ სიკეთის მქმნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“ (დაბ. 4.7) და მკვლელობის უსაშინელესი ცოდვის პირველი ჩამდენი გახდა.

ამის მთავარი მიზეზი კი უმაღურობა იყო.

უმაღურობა ამპარტავნთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ.

ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ

ყველაფრისათვის, მათ შორის ავადმყოფობისა და სხვადასხვა განსაცლელთათვის, რადგან უფლის განგებულებით აღსრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის.

„ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო მოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს... და თუ შორის ხართ აღზრდისაგან, ნაბუშრები ხართ და არა შვილები“ (ებრ. 12,6,8), - გვასწავლის პავლე მოციქული.

შეჭირვებისა და მწუხარების მადლიერებით დათმენის საუკეთესო მაგალითია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმ. ოთანე ოქროპირი. იგი იყო მსოფლიო ეკლესიის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, გამორჩეული თეოლოგი, მჭერმეტყველი; მისი ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებია ქრისტიანული რელიგიით დაინტერესებულთათვის.

წმ. ოთანე ოქროპირი როგორც საზოგადოებაში, ისე სამეფო კარზე უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ შურითა და ცილისწამებით სავსე ადამიანებმა იმდენი შეძლეს, რომ იმპერატორის ბრძანებით პატრიარქობიდან გადააყენეს და უსამართლოდ დევნილი და შეურაცხეოფილი გადასახლებაში გაგზავნეს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი - საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, სოფ. კომანში, სადაც აღსრულა კიდეც-

ასეთი დამცირების მიუხედავად, იგი სიცოცხლის ბოლომდე ქრისტეს ერთგულ მხედრად დარჩა და მაცხოვრისა და მოყვასის სიყვარული არასოდეს დაშრეტია; პირიქით, აქედან ანუგეშებ-

და ბიზანტიაში დარჩენილ თავის სამწყის და მოუწოდებდა, ნებისმიერ სიტუაციაში მადლიერნი ყოფილიყვნენ უფლისა.

სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის”, რაც, ფაქტობრივად, პავლე მოციქულის ნათქვამის გამეორებაა: „მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იქსომი”. (I თესალ. 5.18) ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მძიმე მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და ხვედრს დავმორჩილდეთ, ანუ ბედისწერის შესახებ არასწორი სწავლება გავიზიაროთ.

არა, მუდამ საჭიროა ლოცვა და სწორი ქმედება, როგორც ბრძანებს უფალი ჩენი იქსო ქრისტე: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და - ჰპოვოთ” (მათე 7.7) ოღონდ, ამას არ უნდა ახლდეს დრტვინვა და მრისხანება, არამედ შემოქმედისაღმი ყოველივე მადლიერებით უნდა აღესრულებოდეს და თუ ჩვენი სურვილი იმ ეტაპზე ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, მაცხოვარი აუცილებლად შეისმენს მას.

გავიხსენოთ მართალი იობი, როგორი სიმშვიდით, მოთმინებითა და მადლიერებით მიიღო მან თავსდატეხილი დიდი განსაცდელი; სანაცვლოდ კი უფალმა ამქვეყნადვე მრავალწილად დაუბრუნა ქონებაც, დიდებაცა და პატივიც.

სამწუხაროდ, ათეისტური აზროვნების გავლენითაა, რომ განსაცდლის დათმენა და მადლიერებით მიღე-

ბა თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად გაუგებარია, რადგან ისინი ასეთი დამოკიდებულების კეთილ შედეგს მიწიერ ყოფაში ვერ ხედავნ და, ამასთან, არ სჯერათ, რომ გარდაცვალების შემდეგ მარადიული სიცოცხლე იწყება. ამიტომაც ესწრაფვიან დიდებასა და კეთილდღეობას ამქვეყნად.

ურწმუნო ადამიანი როდესაც სიკეთეს აკეთებს, ფიქრობს, რომ მხოლოდ იგია მადლიერების ღირსი და მას ეკუთვნის სათანადო დაფასება. იგი ვერ აცნობიერებს, რომ ასეთი ქველმოქმედება პირადად მისთვის ახალი დიდი ცოდვის მიზეზი ხდება, რადგან ქება ამპარტავნებას უძლიერებს და მის სულს კიდევ უფრო აზიანებს.

ხოლო, როდესაც მორწმუნე აღასრულებს სიკეთეს, ამას უფლის სახელით იქმს და ამასთან, მადლობს შემოქმედს, რომ საშუალება მისცა სხვისთვის სიხარულის მინიჭებისა; ხარობს გაცემით, თუმცა თავს აღსრულებული ქველმოქმედების მხოლოდ გამტარად, საშუალებად აღიქვამს, ამიტომაც ჩრდილში ყოფნას ირჩევს და მადლობას და დიდებას უთმობს ღმერთს.

უფლისა მადლიერებას ყოველდღიური ლოცვებიც გვასწავლის, ხოლო კინც ჯერ კიდევ ეკლესიურად არ ცხოვრობს და ეს ლოცვები არ იცის აუცილებელია, გულში მაინც თქვას მადლობა თუნდაც საჭმლის მიღების შემდეგ; ასეთი მცირედი წრფელი ქმედებაც კი მადლს მოაპოვებინებს და ცხონების გზას აპოვნინებს მას.

ამ თემაზე განსაკუთრებული ფურა-

დღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მადლიერება უმთავრესი ქრისტიანული სათნოებათაგანია და მასთან დაკავშირებით ჩვენი დამახინჯებული დამოკიდებულებები, აუცილებლად, უნდა გამოვასწოროთ.

მაშინ, როდესაც მოიწევა აღსასრული, „წინასწარმეტყველებანი განქარდებან, ენები დადუმდგებან და უქმი გახდება ცოდნა" (I ქორ.13.8), როდესაც რწმენაც განხორციელდება და აღსრულდება სასოებაც, ადამიანის სულს სასუფეველში მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და მადლიერების განცდა გაპყება. იგი ჭეშმარიტი სიყვარულის თანმდევია ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და მასთან ერთად ზეიმობს მარადიულ ნეტარებაში.

წმ. ამბროსი ოპტინელი წმ. პავლე მოციქულის დარიგების გათვალისწინებით, გამოყოფს ოთხ უმთავრეს სათნოებას და გვასწავლის: 1) იყავით მრავლის დამთმენნი; 2) მარადის ხარობდეთ; 3) მუდამ ილოცეთ; 4) მადლიერნი იყავით ყოველთვის; და ამასთან აღნიშნავს, რომ ამ სათნოებათა მოპოვება ბოლოდან ანუ მადლიერებით უნდა დავიწყოთ, რათა მადლი შევიძინოთ.

მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაუცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა იღვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: „ამპარტაგანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს" (I პეტრე 5.5).

ამასთან, ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს. მადლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერთს კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას. ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს.

მართალია, უღმერთობის ხანა დასრულდა და ხალხი ეკლესიური გახდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილის სარწმუნოება მაინც ნელ-თბილია, რადგან ყველაფერს გარეგნულად უგულოდ აკეთებენ. ქრისტეს სახელი მხოლოდ გონებასა და ბაგებზეა, გულში კი ისევ „ძველი კაცი" სახლობს. ისინი, მართალია, ამბობენ აღსარებას და ასრულებენ საეკლესიო წესებს, მაგრამ, ამავე დროს, მათთვის უცხო არ არის განკითხვა, ცილისწამება, ამპარტავნება, სიცრუე, უჭვი, უსიყვარულობა, გულგრილობა, სიზარმაცე, შური, მრისხანება...; დაცემა და ადამიანური სისუსტენი ყველას აქვს, მაგრამ „მორწმუნეთა" ამ ნაწილისათვის ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება მისაღები გახდა და შეეჩივნენ ამ მდგომარეობას. ღმერთისთვის კი ასეთი მიუღებელი არიან და, ბუნებრივია, არც მათი სათხოვარი შეისმინება.

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში კითხულობთ: „ვიცი საქმენი შენნ; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოპ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ... ამიტომ ამოგანთხევ პირისაგან ჩემისა" (3. 15-16).

ღმერთმა ნუ ქნას ამ მდგომარეობაში დაამთავროს ვინმებ სიცოცხლე. მაში, მოვიკრიბოთ შინაგანი ძალა, ვისწავლოთ სწორი დამოკიდებულება ღვთისადმი და მოყვასისადმი; დავიწყოთ ყველაზე მარტივით, მაღლიერებით. ელემნტარულ სიკეთეზეც კი გულწრფელი მაღლიერება გამოვთქვათ, ხოლო კაცთა შორის განსაკუთრებული მაღლობა გვმართებს შშობლებისადმი, „რათა კეთილი გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედა“. ასევე უნდა მოვიქცეთ ხანდაზმულთა და გარდაცვლილ წინაპართა მიმმართ.

განვაგდოთ ჩვენგან „ძველი კაცი“, გულის კარი გავუღოთ მაცხოვარს; და იგი ჩვენში აუცილებლად დაივანებს. ხოლო როდესაც ეს აღსრულდება დავინახავთ, რომ ჩვენს შინაგან სამყაროში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და უფალიც მოგვაგებს თხოვნისამებრ. საყვარელნო შვილნო, უდიდესი კრძალვით, სიყვარულითა და მაღლიერებით განვუფინოთ ჩვენი სული, გული და გონება ბეთლემის ბაგასა შინა მწოლ ყრმას, ჩვენს უდიდეს მარადიულ ნუგეშსა და იმედს და შევლაღადოთ უფლის წინაშე ჩვენს საოცარ

მეოხსა და მფარველს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს:

„მოწყალებისა კარი განგვილე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ!“

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო და ბერძენნო, რუსნო და უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო და სომებნო, ასირიელნო და უდინნო..., საქართველოს მკვიდრნო ყველა სხვა ერის წარმომადგენელნო, მართლმორწმუნებო, „მოიპოვეთ შეუძვრელი სასუფეველი და იქონიეთ მაღლი და „მოადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქებს ცოცხალი ღმერთისას, ზეციურ იერუსალიმს და ანგელოზთა უხილავ სიმრავლეს. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას და ახალი აღთქმის შუამდგომელს იესოს“(ებრ.12. 28, 22-23) და გიხაროდეთ, რამეთუ დღეს იშვა ქრისტე!

სიყვარულით თქვენთვის მღოცველი იღია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი


შობა ქრისტესი
თბილისი, 2012 წელი

**დოგმატური ლიტურეგისტრისა და იდეალისტური
ცილისოფის ზოგიერთი მსოფლიშვილისათვის
საპირო საბჭო**

დოგმატური ლიტურეგისტრისა და იდეალისტური ფილოსოფიის მეცნიერული ურთიერთშესაბამისობის საკვანძო პრობლემები იკვეთება კრეაციონიზმის და ანტროპოცენტრიზმის ამოცანებში.

ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ობიექტურ იდეალისტურ ფილოსოფიურ სისტემებს, ვინაიდან თანამიმდევრულად განვითარებული სუბიექტური იდეალიზმი ღმერთის უარყოფის გზით მიდის. ის ვინც თვლის, რომ არსებობის კრიტერიუმი არის აღქმა, არ შეიძლება მორწმუნე იყოს. ღმერთი აღქმაში არ გვეძლევა. იგი არა მარტო უხილავია ჩვენი გრძნობითი ორგანოებისათვის, ამავე დროს მიუწვდომელია აზროვნებისთვისაც. მხოლოდ ობიექტური იდეალიზმი უახლოვდება ლიტურეგისტრისა კიდევ მეტიც, ხშირად ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდიან.

წინასწარ შევნიშნავთ, რომ კრეაციონიზმის ცნების ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ რაიმეს შექმნა, არამედ არარაობიდან სამყაროს ქმნადობა. ანთროპოცენტრიზმი კი უძველესი დროიდან დღემდე ნიშნავს, რომ ადამიანი სამყაროს ცენტრში დგას. ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, მას ემსახურება. თვით სამყაროც ად-



ამიანისათვის არის შექმნილი. კრეაციონიზმი და ანტროპოცენტრიზმი, "წმიდა წერილის" მიხედვით, ერთმანეთისათვის ახლობელი საკითხებია.

"ბიბლია" იწყება სიტყვებით: "დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი" [1.1]. ეს არის კრეაციის პირველი აქტი. მანამდე კი "ქუეყნა" [დედამიწა] იყო "უხილავ" და "განუმზადებელ" [1.2], რაც იმას ნიშნავს, რომ იყო სიბ-

* იდეალისტური ფილოსოფიის ძირითადი დებულებების გადმოცემისას ვისარგებლეთ პროფ. სერგი ავალიანის ნაშრომებითა და ავტორის კონსულტაციებით, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ნელე, სიცარიელე [""უხილავ"] არ არ-სებობდა არაფერი და მაშასადამე "განუმზადებელი" იყო ადამიანის შესაქმნელად. ახალშექმნილ ქვეყანაზე ღმერთმა სიბნელე გაფანტა და სინათლე შემოიტანა. "თქუა ღმერთმან იქმნინ ნათელი და იქმნა ნათელი". კრეაციის პირველი დღე ნათელისა და ბნელის განცალკევებით დამთავრდა. მეორე დღეს ღმერთმა ცა და დედამიწა ერთ-მანეთისაგან გამოყო. ხმელეთზე შექმნა მცენარები, მსხმოიარე ხეები, რაც აგრეთვე ადამიანისთვის იყო განკუთვნილი. მეორხე დღეს იქმნება მზე და ვარსკვლავები. "დასხნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა, რათა ჩნდეს ქუეყანასა ზედა" [1.17]. მზე მთვარე და ვარსკვლავები იმისათვის შექმნა, რომ დედამიწიდან დავინახოთ. ასე მზად-დება სამყარო ადამიანის შესაქმნელად. მეხუთე დღეს ღმერთმა შექმნა ცხოველები და ფრინველები, რომელთაც გამრავლება უსურვა. ხოლო როდესაც სამყარო ისე მოეწყო, რომ შეიძლებოდა დედამიწაზე მყუდრო გარემოში ცხოვრება, მაშინ რმერთმა მეექსე დღეს შექმნა ადამიანი [ადამი] "ხატისაებრ და მსგავსებისაებრ" ღვთისა, რომელიც უნდა "მთავრობდეს თეგზთა ზღუისასა და მფრინველთა ცისასა და პირუტყვთა და მზეცთა ქუეყანასა, ყოველთა ქვეწარმავალთა მავალთ ქუეყანასა ზედა" [1.26] ეს ნიშნავს რომ ყველაფერი შექმნილია ადამიანისათვის, რომელმაც სამყაროს უნდა დაეპატრონოს, ანუ ყველაფერი მის ნებას უნდა ემსახურებოდეს. ეს არის მთავარი ანთროპო-ცენტრისტული სწავლება, რომელიც

შექმნის მიზანს წარმოადგენს.

აქვე შევნიშნავთ, რომ სამყაროს შექმნისათვის აღწერილი ექვსი დღე არ შეიძლება მარტივად გავიგოთ. წმინდა პეტრე ეუბნება თავის მოწაფეებს. "არც ეს უნდა იყოს დაფარული თქვენთვის, საყვარელნო, რომ ერთი დღე უფლისათვის, როგორც ათასი წელი და ათასი წელი, როგორც ერთი დღე" [პეტრე, 2.3.8]

ღმერთმა ადამი მიწისაგან [მტკრისაგან] შექმნა, ხოლო შემდეგ "შთაბერა პირსა სული სიცოცხლი-სა და იქმნა კაცი სრულად ცხოველად" [2.7]. აქ ის აზრია გამოთქმული, რომ ადამიანი ამქვეყნიური არსებაა, ბუნებრივი მინერალებისაგან არის შექმნილი, მაგრამ მას აქვს ღვთისაგან "შთაბერილი სული", რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მატერიალურისა [სხეულისა] და იდეალურის [სულის] ერთობლიობას წარმოადგენს. სიცოცხლის წყარო არის სული, რომელიც ღვთაებრივია და მაშასადამე, უკვდავია, ხოლო სხეული დროებითი, ნივთიერი საწყისია, იგი სულის მსახურია, სული მართავს ინერტულ მატერიალურ სხეულს.

ღმერთი კვლავ ადამზე ზრუნავს, მას ცხოვრების აუცილებელი პირობები აქვს, მაგრამ მარტობას განიცდის, განმარტოებით არსებობა უჭირს. "თქუა ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამისა მარტოსა; უქმენით მაგას შემწე, მსგავსი მისი" [2.18]. აქ ყურადღებას იპყრობს ის ანთროპოცენტრისტული მარცვალი რომ ღმერთს სურს ადამი სრულ ბედნიერებას გრძნობდეს;

მაგრამ მარტოობაში ეს არ მოხერხდება. მას ესაჭიროება მეორე ადამიანი, მისი "შემწე". ღმერთმა ევა ადამის ნეკნიდან ამოიყვანა და მას "ცოლი" უწოდა, რომელიც არის ადამის "ხორცი ხორცაგანი", ანუ "ერთხორცი". ღმერთმა მათ გამრავლების მადლი მიანიჭა.

სამოთხეში მრავალი მსხმიარე წეა, მაგრამ მათგან ორი გამორჩეულია; "ზე ცხოვრებისა" და "ზე ცნობად კეთილისა და ბოროტისა". ღმერთმა ადამს ნებელობის თავისუფლება მიანიჭა, მას შეუძლია ყოველი ხილის მიღება, მაგრამ თავისუფლებასთან ერთად მან პასუხისმგებლობაც უნდა იტვირთოს. უნდა დაიცვას დვოთის სიტყვა, არ უნდა მიეკაროს აკრძალულ ხილს. ადამიანი არ არის აბსოლუტურად თავისუფალი; მას არა აქვს იმის უფლება რაც მას სურს. მისმა თავისუფლებამ არ უნდა გადალახოს აუცილებლობის საზღვარი, რადგან უსასრულო თავისუფლებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს.

ეშმაქმა აცდუნა ევა, ევამ-კი ადამი; იხმიეს აკრძალული ხილი, ჩაიდინეს "პირველი ცოდვა", რასაც ედემიდან მათი განდევნა მოჰყვა. ადამმა შეიცნო კეთილი და ბოროტი, ღმერთმა დასაჯა ერთიც და მეორეც. ადამის სულში სიკეთე და ბოროტება ჩასახლდა; შვა კეთილი და ბოროტი შვილები და სიკვდილიც მაღე გაცხადდა.

პირველი სიკვდილი აბელმა იგემა კაენმა მოკლა კეთილი აბელი.

"პირველი ცოდვის" მიუხედავად, ღმერთი მაინც არ ტოვებს ადამიანს; იგი მას რჩევა-დარიგებებს აძლევს. პირველი ადამიანები (ადამი და ევა)

ჯერ ღმერთს განუდგნენ და ბოროტებას შეეკედლნენ, მისი რჩევა მიიღეს, შემდეგ კი მას განუდგნენ და კვლავ ღმერთს დაუბრუნდნენ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არ არის ბოროტი. ის შეიძლება შეცდეს, მაგრამ ცოდვების მონანიებაც შეუძლია.

კრეაციონისტული და ანთროპოცენტრისტული ჰიპოთეზები მეოცე საუკუნის მეცნიერებამ, განსაკუთრებით კოსმოლოგიამ ფუნდამენტურად ახსნა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია "დიდი აფეთქების" თეორია, რომელმაც გაიზიარა არარაობიდან რაობის ქმნა-დობის უძველესი თეზისი და შეარყია მატერიის მარადიულობის შეხედულებების სიმტკიცე.

თანამედროვე კოსმოლოგია ვარაუდობს რომ დაახლოებით 15-20 მილიარდი წლის წინ არ არსებობდა სამყარო; არ იყო არც მზე, მოვარე, დედამიწა, ვარსკვლავები, მით უმეტეს გალაქტიკები, სივრცე და დრო, არამედ იყო მარტოდენ გავარვარებული "ცეცხლოვანი ბურთი", რომლის ზომა ასანთის კოლოფზე მცირე იყო. იგი შეკუმშულ მდგომარეობაში იმყოფებოდა უძლიერესი გრავიტაციული ძალის ზეგავლენით. მისი სიმკვრივე წყლის სიმკვრივეს აღემატებოდა ათას მილიარდჯერ, ხოლო ტემპერატურა ას მილიარდ გრადუსს აღწევდა. ასეთ პირობებში, ცხადია, შეუძლებელი იყო მატერიის შემადგენელი ელემენტების (ატომები, ელექტრონები, პოზიტრონები და სხვა) არსებობა. მაშასადამე, ეს "ცეცხლოვანი ბურთი" არ იყო არც მატერია და, მით უმეტეს, იდეა. იგი იყო არარაობა.

ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, რაც გაურკვეველი შემთხვევითობით მიზიდულობის ძალები შეცვალეს განზიდვის ძალებმა და "ცეცხლოვანმა ბურთმა" კატასტროფული სიჩქარით დაიწყო გაფართოება, ანუ სამყაროს შექმნა. "ცეცხლოვანი ბურთის" აფეთქებიდან სამი ათასი წლის შემდეგ წარმოიშვა ატომები, პირველი მძიმე ელემენტები-რკინა და უანგბადი. ერთი მილიარდი წლის შემდეგ იქმნება სამყარო, ხოლო ხუთი მილიარდი წლის შემდეგ გალაქტიკები, პლანეტები და სხვა. სამყაროს გაფართოება და მატერიალური ნაწილაკების წარმოქმნა ამჟამადაც გრძელდება.

სამყაროს გაფართოების საკითხი არ არის მხოლოდ ვარაუდი ან სპეკულაციური მოსაზრება, თუნდაც მარტოოდენ მათემატიკური გამოთვლები, არამედ მისი კვალის არსებობა უმძლავრესი ტელესკოპების დაკვირვებებით დასტურდება. ასე გამოეცალა საფუძველი მატერიის მარადიულობის კონცეფციას, რომელიც შეცვალა იდეალისტურმა და თეოლოგიურმა შეხედულებებმა, ამას ცხადია მეცნიერებიც არ უარყოფენ. "სამყაროს შექმნის მეცნიერული სურათი, - წერს ერთი ცნობილი მკვლევარი, - ღრმად ბიბლიური ალმოჩნდა, ვინაიდან იგი ასახავს არა მარტო მატერიის, არამედ, სივრცის დაბადებასაც. მაშასადამე, დიდი აფეთქება არ მომხდარა სამყაროში. ეს იყო თვით სამყაროს შექმნა მთლიანად და ზუსტად არარასაგან" [1]

თანამედროვე კოსმოლოგიური თეორიების ფილოსოფიური გააზრებ-

ის შედეგად ბევრი მეცნიერი იმდასგნამდე მივიდა, რომ ადამიანი არ არის შემთხვევითი მოვლენა. სამყაროში არსებული გასაოცარი კანონზომიერება ადამიანის მიზნებს ემსახურება ანუ სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ადამიანმა არსებობა შეძლოს. მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ე.წ. კოსმოლოგიურ-ანთროპული დებულებები. ერთ-ერთ ასეთი მოსაზრების მიხედვით, "სამყაროში ყველაფერი ისეა შექმნილი, რომ ჩვენ შეგვეძლოს მასში სიცოცხლე და თუკი სამყარო ოდნავ მაინც განსხვავებული იქნება, მაშინ სიცოცხლეს ვერ შევძლებდით". ერთი სიტყვით, სამყარო "მორგებულია" ადამიანს. იგი აღჭურვილია ადამიანის არსებობის ყველა პარამეტრებით. ამ გარემოებას პროფესორმა ლოურენს ჰენდერსონმა "გარემოს ვარგისიანობა" უწოდა. მან ბიოქიმიური ექსპერიმენტებით გამოიკვლია ცოცხალი სისტემებისათვის გარემოს ვარგისიანობის საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძირითადი ბიოქიმიური ნაერთები სიცოცხლის დამკვიდრებას ემსახურება. ასეთებია წყალი, უანგბადი, ნახშირბადი და მრავალი სხვა ელემენტი, რომელთა გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. იგი წერს: "ელემენტების თვისებები უნდა განვიხილოთ როგორც ტელეოლოგიური თვისებების მქონე". მისი ტელეოლოგიური მნიშვნელობა ცოცხალი სამყაროს, ძირითადად ადამიანის მომსახურებაში მდგომარეობს. "მატერიის თვისებები და კოსმოსური ევოლუციის კურსი ამჟამად ჩანს შინაგანად დაკავშირებული ცოცხალი არსების

სტრრუქტურასა და მის მოქმედებასთან, მთელი ბიოლოგიური პროცესი-კოსმოსურიც და ორგანულიც-ერთია და ბიოლოგიას შეუძლია ამჟამად მართებულად განიხილოს სამყარო მის ნამდვილ არსებაში, როგორც ბიოცენტრული"- აღნიშნავს ავტორი. [2]

ანთროპოცენტრიზმის მოძღვრება მეცნიერებასა და ფილოსოფიაში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მას ჯერ კიდევ ძველი ბერძნი ფილოსოფის სოკრატე [470-399] იცავდა. მისი მიმდევრები იყვნენ როჯერ ბეკონი [1214-1293], რობერტ ბოილი [1627-1691], კეპლერი [1571-1630] და თვით ვოლტერიც [1694- 1778].

შემდგომში ჩამოყალიბდა რამდენიმე ანთროპული პრინციპი, რომელთაც აშკარა ტელეოლოგიური ხასიათი აქვთ. ამ საკითხზე მოსაზრებებს გადმოგვცემს ცნობილი ფიზიკოსი ჯონ უილერი: სამყარო ისეა მოწყობილი, რომ განსხვავებულ შემთხვევაში "ადამიანი არსებობას ვერ შეძლებდა ასეთი მიღონით სიცოცხლის მომცემი ფაქტორი სამყაროს მთელი ორგანიზაციისა და ღიზანის ცენტრში ძევს"[3]. ცნობილმა ასტრონომმა ბრანდონ კარტერმა ჩამოაყალიბა "სუსტი" და "ძლიერი" ანთროპული თეორიები, რომლებიც განავითარებენ ზემოაღნიშნულ შესხდულებებს.

აღსანიშნავია რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება არის მონოთეისტური. "მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი,"- ვკითხულობთ "სარწმუნოების სიმბოლოს" ტექსტში-ამასთანავე ღმერთი ერთია, მაგრამ სამ-

პიროვანი: მამა ღმერთი, მე ღმერთი და სული წმინდა ღმერთი. ამაში მდგომარეობს ერთი ღმერთის აღიარების იდეა.

მონოთეისტური აზრი ჯერ კიდევ ბერძნმა ფილოსოფოსმა ქსენოფანე კოლოფონელმა (VI ს. ქრისტეს შობამდე) გამოთქვა. იგი უარყოფდა პოლითეიზმს მრავალღმერთიანობას, რაც წარმართულ რელიგიებში იყო გავრცელებული. ქსენოფანე აკრიტიკებს ჰომეროსისა და ჰესიოდეს თხზულებებს. "ჰომეროსმა და ჰესიოდემ, ამბობდა იგი, - ღმერთებს მიაწერეს ყველაფერი, რაც ადამიანთა შორის სამარცხინო და საძაგელია", [4] ქსენოფანე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანთროპომორფიზმთან. ასეთი თვისებები ადამიანებს აქვთ, მათ კი ღმერთებზე გაავრცელეს. ღვთაება არ ემსგავსება ადამიანს. ღმერთი არ შეიძლება ბუნებისა და ადამიანების მიხდვით მოვაზროთ, იგი მათზე მაღლა დგას. ქსენოფანე მონიზმის პრინციპის დამცველია, მისი აზრით ღმერთი ერთია, ხოლო მრავალი ღმერთების აღიარება ღმერთის უარყოფის ტოლფასია. "ერთია ღმერთი ღმერთთა და ადამიანთა შორის, - ამბობს ქსენოფანე, - და ის არ ემსგავსება ადამიანებს არც სხეულით არც აზრით" [4]. ღმერთი შორს დგას ადამიანისა და ბუნებისაგან. ეს უკანასკნელი წარმავალია, დროებითია, ღმერთი კი უკვდავი და მარადიულია, იგი არც გაჩენილა და არც მოისპობა. ღმერთი როგორც აბსოლუტური სუბსტანცია, არაფერს არ საჭიროებს. მას არაფერი

არ აკლია, ყოვლადსრულქმნილი და იდეალურია. ასეთია ქსენოფანეს მსოფლმხედველობა. ქსენოფანე ქრისტეს შობამდე ცხოვრობდა. მას არ ჰქონდა წარმოდგენა სამქანის, როგორც ერთარსების შესახებ. მიუხედავად ამისა, მის მიერ დახასიათებული ღვთაების ფუნდამენტური ნიშნები მტკიცედ დამკვიდრდა რელიგიურსა და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში.

ქსენოფანე კოლოფონელის ნააზრევის მთავარ ღირსებას მონისტური მსოფლმხედველობის დაცვა წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ქსენოფანეს იდეებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს შემდგომი ეპოქების მოაზროვნების მონისტური თვალსაზრისი როგორც რელიგიაში, ასევე ფილოსოფიაში.

ეს შეხედულებები ფილოსოფიაში მონიზმის თეორიამ შეცვალა. ღმერთი გაგებულ იქნა როგორც აბსოლუტური სუბსტანცია, ერთადერთობა, უსასრულობა, მარადიულობა, იდეალურობა. ახალ დროში ღმერთის, როგორც აბსოლუტური არსის შესახებ მოძღვრება ჩამოაყალიბა ჰოლანდიელმა ფილოსოფოსმა ბენედიქტ [ბარუხ] სპინზამ (1632-1677). მისი მთავარი თხზულების "ეთიკა" პირველ ნაწილს ეწოდება "ღმერთის შესახებ", რომელშიც, დაცულია მონისტური თვალსაზრისი. ღმერთი, სპინზას აზრით ერთადერთია და მაშასადამე, აბსოლუტურია. იგი არის უსასრულო, თვითმიზეზი, თავისი არსებობისათვის სხვას არაფერს არ საჭიროებს. "ღმერთის ქვეშ, -წერს იგი, - მე ვგულისხმობ აბ-

სოლუტურად უსასრულო არსებას ესე იგი სუბსტანციას, რომელიც უსასრულო ატრიბუტებისაგან შედგება, რომელთა შორის თითოეული გამოხატავს მარადიულსა და უსასრულო არსებას" [5].

მონოთეიზმის მიმდევრებს შორის გამოირჩევა დეკარტი [1596-1650], რომელიც ღმერთს აგრეთვე აბსოლუტურ სუბსტანციად თვლიდა. მისი აზრით, ღმერთმა შექმნა სამყარო და მარადიული წესრიგი. იგი აღწერს მატერიალურ და იდეალურ სუბსტანციებს. თუმცა ნამდვილი [უსასრულო] სუბსტანციად ღმერთს თვლიდა, რომელმაც შექმნა მოელი სამყარო, მათ შორის ზემოხსენებული ორი სუბსტანციაც. თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ დეკარტი წარმოგვიდგება როგორც ჭეშმარიტი მონისტი.

ღმერთის ერთადერთობის იდეა ასევე აშკარად წარმოდგენილია გერმანელი ფილოსოფოსის ლაიბნიცის [1646-1716] თხზულებებში. ლაიბნიცის ბუნება ესმოდა როგორც სულიერი სუბსტანციების [მონადების] ერთობლიობა. ამდენად იგი თითქოს წარმოგვიდგება როგორც პლურალისტი [მრავალი სუბსტანციის არსებობის დამცველი]. მაგრამ იგი სინამდვილეში დოგმატურად დგას მონიზმის პოზიციებზე. თავის ერთ-ერთ მთავარ ნაშრომს ["მონადოლოგია"] ამთავრებს სიტყვებით: "ღმერთი ერთია და ეს ერთი ღმერთი კმარა"

მონისტურ შეხედულებებს იცავს პეგელის (1770-1831) მოძღვრებაც აბსოლუტური იდეის ანუ ღმერთის

შესახებ. მთელი სამყარო, პეგელის მიხედვით, ასოლუტური იდეის ანუ აბსოლუტური სულის შემოქმედების ნაყოფია.

მართლმადიდებელ ეკლესიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სარწმუნოების ფუნდამენტურ საკითხებს.

მაცხოვარი განუმარტავს მოწაფების რწმენის სიდიადეს: "თუ რწმენა გენებათ და არ დაეჭვდებით, მარტო იმას კი არ გააკეთებთ, რაც ლელვს დაემართა, არამედ ამ მთასაც რომ უთხრათ აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, ასე მოხდება. [მათ.21.21] და შემდეგ: "ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მოგეცემთ" [მათე 21.22]. ქრისტეს რწმენა კი შემოქმედის აღიარებას რწმენას ნიშნავს. "ვისაც ჩემი სწამს – ბრძანებს მაცხოვარი-ჩემი კი არ სწამს არამედ იმისი ვინც მე მომავლინა" [იოანე12.44] და კვლავ "რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისათვის მოსაწონად ყოფნა ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს" [ებრ11.6]

უფალი იესო ქრისტე ასე მიმართავს ერთ-ერთ დაეჭვებულ მოციქულს "შენ მირწმუნე, იმიტომ რომ მიხილე, ნეტარ არიან, ვისაც არ ვუნახივარ და სწამთ" [იოანე.20.29]

კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესში რწმენის დაცოდნის ურთიერთთანაარსებობის საკითხი წმინდა მამების და მეცნიერების დიდ ყურადღებას იპყრობს. უპირატესად აღინიშნება თანამოაზრების

პრინციპი, კომპრომისული მოსაზრებები, მაგრამ ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობებსაც.

რომაელმა ფილოსოფოსმა ტერტულიანემ [160-220] წამოაყენა დებულება "ცრედო ქუია აბსრდუმ" ("მწამს, თუმცა აბსურდია") იგი განმარტავს რომ თუ სასწაულებს გონების (ცოდნის) თვალით შევხედავთ, მაშინ ისინი აბსურდად მოგვიჩვენება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მის რწმენას. რელიგიური სასწაულები ლოგიკურად არ საბუთდება; ამიტომ ისინი უნდა გვწამდეს. როგორც ვხედავთ, აქ რწმენა ცოდნაზე მაღლა დგას, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ქრისტიანულ რელიგიაში. ნეტარი ავგუსტინე [353-430] ამტკიცებდა, რომ თეოლოგიის საგანია რწმენის შემცნება, მისი ცოდნად გადაქცევა. ანსელმ კენტერბერიელმა (1033-1109) კი რწმენას ცოდნის სტატუსი მიანიჭა, როცა გამოთქვა დებულება: "მწამს და მესმის". აქ უკვე აღარ ვხვდებით ცოდნისა და რწმენის დაპირისპირებას. თომა აკვინელი (1225-1274), ცოდნისა და რწმენის პარმონიას მიუთითებს. სქოლასტიკური ფილოსოფია, რომელიც შუა საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული, უშვებდა ორგვარიცოდნისა და რწმენის – ჭეშმარიტებას, ცხადია, კვლავ რწმენის პრიმატით. დაახლოებით ამავე პოზიციებზე დგანან თომა აკვინელის თანამედროვე მიმდევრები-ნეოთომისტები.

რწმენის დაშვების აუცილებლობას ისიც ქმნიდა, რომ ღმერთი, როგორც

აბსოლუტური და უსასრულო არსი ადამიანის გონიერისათვის მიუწვდომელია. წმიდა ოოანე ოქროპირი (354-407) ამტკიცებდა, რომ ღმერთი გამოუთქმელი და ჩენი შემტკიცებისათვის მიუწვდომელია, რის გამოც მისი მხოლოდ რწმენა შეიძლება. ნიკოლო კუზანელი (1402-1464) ასწავლიდა, რომ ღმერთის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი არ ვიცით. ღვთისმეტყველების ისტორიაში დამკიდრებული პრინცი პები საფუძვლად დაედო ცოდნის აღიარების, მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებებს.

ღოგმატური ღვთისმეტყველების კიდევ ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს სიყვარულის სათნოება.

"ეხლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული, ეს სამი, ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი," გვასწავლის წმინდა პავლე მოციქული [I კორ. 13.13]. უწინარეს ყოვლისა სახარება მიუთითებს ღმერთის სიყვარულს". "შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა; ეს არის პირველი მცნება". [მკ.12.30]

მართლმადიდებელი ქრისტიანობა გვიქადაგებს ადამიანთა შორის სიყვარულსაც, სიყვარულს გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობით შემოსავს. "სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს, ამიტომ სიყვარული რჯულის აღსრულებაა" [რომ.13.10]

ღმერთი თვით არის სიყვარული. იქსო ქრისტე არაერთგზის შეგვაგონებს თანამომმის მსახურებას, "ყოველი ვისაც სტულს თავის ძმა, კაცისმკვლელია" [1.ოოანე, 3.15] სიყვარული საქმით უნდა იყოს დამტკიცებული და არა მხოლოდ სიტყვით. "შვილებო გვიყვარდეს, არა სიტყვებით და ენით, არამედ საქმით და ჰეშმარიტებით" [1.ოოანე, 3.18] მაგრამ ძმისა და მოყვასის სიყვარული საქმარისი არ არის. უნდა შეგეძლოს მტრის პატივისცემაც. ქრისტე ასწავლის თავის მოწაფეებს: "გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყვარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსაც მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის" [მათე 5.44]. ეს არის უზენაესი კაციმოყვარეობის სიტყვები. ქრისტიანული რელიგია უაღრესად შემწყნარებელი და ჰუმანურია.

ზოგჯერ ადამიანი განუდგება ღმერთს და უღირს საქციელს ჩაიდენს. ეს თემა ზნეობრივი ღვთისმეტყველების საგანს წარმოადგენს. ეს საკითხი განხილულია სპინოზას თხზულებაში აფექტების შესახებ. მისი აზრით, ადამიანს მუდამ თან ახლავს აფექტები (სიამოვნება, უსიამოვნება, შიში, შური და სხვა) –სულიერი მდგომარეობანი, რომლებიც მის პიროვნებას აბრკოლებს. ადამიანის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, სისუსტეების მართვა. ნაკლოვანებების დამარცხება თვითშემტკიცებით შეიძლება, ხოლო თვით-შემტკიცება ღმერთის სიყვარულია. ად-

ამიანი მუდამ უნდა მიისწრაფოდეს ღმერთისაკენ. თუ ღმერთს შეიყვარებ, მაშინ ისიც შეგიყვარებს. ეს არის ღმერთისადმი შემეცნებითი სიყვარული [6].

ჩვენს მიერ განხილული რელიგიური და ფილოსოფიური თხზულებების ზოგადი კომენტარები ასახავს კაცობრიობის შემეცნებითი აზროვნების განვითარების ისტორიულ პროცესში რწმენისა და ცოდნის, დოგმატური ღვთისმეტყველების და იდეალისტური ფილოსოფიის სულიერი ნათესაობის და მეთოდოლოგიური სიახლოვის ფუნდამენტურ კანონებს.

ლიტერატურა

1. . . , . 1989
gv 22
2. Henderson, L. J. The Fitness of the environment, Gloucester, gv 1970 gv 312
3. Barrow J.D. Tipler F.J. the anthropic cosmological principles, Oxford, N.Y 1996 gv.7
4. ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1926
5. სპინოზა, ეთიკა, ნაწილი პირველი, ღმერთის შესახებ, მექანიკური საზღვრება.
6. კ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1969 გვ. 200

არქიმანდრიონი ელისე /წერეთელი/

**„აპაპი გვიცოცხლოს უფალმა“
გამოხმაურება წერილზე – „აკაკი წერეთლის წმინდანად
კანონიზების შესახებ“**



ორიათას ათი წლის დეკემბერში, საზოგადოების იმ ნაწილთან ერთად, რომელიც მიწვეული იყო საპატრიარქოში აკაკი წერეთლის ქართული ეკლესიის წმინდანად კანონიზების დისკუსიაზე, ჩვენც გვხვდა პატივი მონაწილეობის მიღებისა. შეხვედრას წარმართავდა მეუფე დანიელი და მეუფე ანანია. კამათის თემა ერთი იყო – ეკუთვნის თუ არა აკაკი წერეთელს შერაცხილი იქნას ქართული ეკლესიის წმინდანთა რანგში. ცხრა გამომსვლელთაგან, რომელთა შორის იყვნენ ფილოლოგები, ისტორიკოსები, თეატ-

რის მოღვაწე და ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, ცხრაგემ დადებითი დამოკიდებულება გამოხატა აღნიშნული საკითხის მიმართ. ოპონენტად მოწვეულმა სამღვდელო პირმა, თავის მოკლე გამოსვლაში, წინ წამოსწია უკვე ცნობილ საკითხთა წრე, რომელიც აკაკი წერეთლის ვნებათა ღელვიან ცხოვრებას უკავშირდება და აშეგვახსენა, რომ ამ მიზეზთა გამო მის წმინდანთა რანგში შერაცხვას შესაძლებელია სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეს. ეს კითხვა ამ დისკუსიაზე უნდა დასმულიყო და დაისვა კიდეც (მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს იყო საზოგადოების ერთი ნაწილის აზრის დაფიქსირების მცდელობა და მას არ გააჩნდა არავითარი ოფიციალური ხასიათი).

ხელისშემშლელი მიზეზები, რომელიც ოპონენტმა ზოგადად გაახმოვანა, თითქმის ყველასთვისაა ცნობილი და მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ რაიმე დოკუმენტური მასალა ამ ბრალდებათა შესახებ არ არსებობს და იმ ორმოცდაათზე მეტ წიგნში, რომლებიც აკაკის შესახებაა დაწერილი, ასობით

მოგონებასა თუ „პორტრეტში“ რომელთა შორის აკაკის არაკეთილმოსურნე ავტორებიც ერივნენ, ვერავინ შეძლო რაიმე არსებითი დოკუმენტური მასალა წარმოედგინა რაც პოეტის „ცნობილ დანაშაულებებს“ დაადასტურებდა.

ესაა მარადიული ჭორი, რომლის გავრცელებისთვის საგანგებო სამსახურები არსდებოდა და არსებობს, იქ მომუშავე ადამიანებს დავალებები ჰქონდათ მიცემული რომლის კარგად შესრულებნისათვის საზოგადოებაში წინაურდებოდნენ, თანამდებობებს აღწევდნენ, პარტიულ ინტერესებს ატრებდნენ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ასეთი სამსახურისთვის ხელფასს იღებდნენ, რაც ასე სჭირდება ადამიანს ყოველდღიური არსებობისთვის. სხვათაშორის, ამ ინსტიტუციის არსი მთელი სიღრმით წარმოაჩინა ჩვენმა საიქადულო მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა თავის „დათა თუთაშნიაში“. ესაა ულმობელ ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც კერძო ინტერესისათვის ყველაფერს კადრულობენ, და რომლებმაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ხოლო აკაკი წერეთლი ლოთად და მექალთანედ გამოაცხადეს. ეს ერთხელ აგორებული ჭორი აგერ უკვე საუკუნეზე მეტია ადამიანის ღირსებებისა და დამსახურების მიმართ ლიანგური აზროვნებითა და ნიჰილისტური დამოკიდებულებით.

მისი ქმედითობა არათუ ძველი ინერციითაა გამოწვეული, არამედ ახალთახალი მხარდამჭერებითაა გაძლიერებული და იგი მანამდე არ მოიშლება, სანამ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ეროვნული ინტერესები გაბაიბურების საჭიროება და ამ ინტერესების სამსახურში ჩამდგარ ადამინათა ვნებანი. ამიტომ, ამ მიზეზთა გამო, ანუ სრული საგამომძიებლო პროცედურების ჩამოუყალიბებლად, სათანადო მამხილებელი დოკუმენტურის წარმოუდგენლად და ყველა დანარჩენი არესებით გარემოებათა გამოუკველად, უზნეობად მიგვაჩნია აკაკის ბრალეულობათა შესახებ კამათი და უფლებას ვიტოვბებთ არ გავიზიაროთ ისინი. ასეთი იყო და არის ჩვენი რწმენა, ასე შევყურებდით ამ საკითხს მუდამ და არასოდეს მოგვკვლია აზრათ ამ არასასიამოვნო ოპუსებისაგან დაგვეცვა ჩვენი დიდი მგოსანი. ამას არც ახლა ვაპირებთ, მაგრამ შეუძლებელია არ გამოვეხმაუროთ ცნობილ თეოლოგს ბატონ ედიშერ ჭელიძის წერილს - „აკაკი წერეთლის წმინდანად კანონიზების შესახებ“. უფლებას ვერ მივცემთ ჩვენს თავს ბატონი ედიშერი მიგიჩნიოთ იმ წრის წევრად, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. პირიქით, იგი გვეგულვება საქართველოში თეოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან წარმომადგენლად, საეკლესიო მწერლობის მცოდ-

ნეთ და ზოგადად, ჩვენი ეკლესიის ძლიერების მოსურნედ.

ვფიქრობთ, რომ ამ სურვილმა უკარნახა მას დაეწერა წერილი, რომელიც უფრო ვრცელი დასკვნის სახითაა წარმოდგენილი, ვიდრე დასაბუთებულ გამოკვლევად და მიზნად ისახავს პასუხი გასცეს აკაკის კანონიზაციასთან დაკავშირებული დისკუსიის ყველა იმ მონაწილეს, რომლებმაც მხარი დაუჭირა პოეტის წმინდანად შერაცხვას, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მას სურს ეკლესია ააცილოს გარკვეულ უხერხულობას და ამავე დროს, როგორც ეკლესიის საკითხებში ყველაზე მეტად მცოდნებ, თავისი წონიანი სიტყვით თავის ადგილას დაგვაყენოს. „საერო სახელგანთქმულობის მქონე ავტორიტეტები“, რომლებიც უფრო ხშირად ასეთ საკითხებს, არა ცოდნით, არამედ საკუთარი „გუნება-განწყობილების მიხედვით წყვეტენ“.

ჩვენ გუნება-გონწყობილებასა და სახელგანთქმულობაზე არაფერს მოგანსენებთ, ყველას აქვს უფლება თავისი აზრი გააჩნდეს სხვა ადამიანთა შეძლების ან შეუძლებლობის შესახებ, მაგრამ ის კი ნამდვილად გაგვირვებია ედიშერ ჭელიძეს როგორ იოლად გადაუჭრია თავისი ექვსგვერდიანი წერილით აკაკის უზარმაზარი მემკვიდრეობის ათეისტურობის საკითხი, უფრო მეტიც – პოეტის მტრობამდე

მისული დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, რომელსაც თითქოს „ვანდალური სიშლევით ფანატიკურად გაუნადგურებია წარმართული საქართველოს დიდი კულტრურა“. ვისაც თუნდ ერთი წერილი წაუკითხავს აკაკისა, როგორ დაიჯერებს, რომ ეს სასტიკი ფრაზა მას ეკუთვნის და თუ არ ეკუთვნის და ამას ბატონი ედიშერი პოეტს მიაწერს, მაშინ უფლებას ვიტოვებთ მის პოლემისტურ სამართლიანობაში ეჭვი შევიტანოთ. სხვათა შორის, ბატონი ედიშერი, საქართველოს წარმართულ კულტურაზე ერთობ უარყოფითი წარმოდგენისაა და საერთოდ კატეგორიულად წინააღმდეგია წარმართული და ქრისტიანული კულტურების ურთიერთმიმართებისა. იგი არ აღიარებს ქართველთა ქრისტიანულ ყოფაში რაიმე გადმონაშთების არსებობას და მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულებანი ჩვენ მეცნიერთა „ზედაპირული ხედვის ნაყოფია“. ადრეულ წლებში გატარებული ეს აზრი მას სურს ეფექტურად გამოიყენოს აკაკის წინააღმდეგ, რომლის „დანაშაული“ მხოლოდ ისაა, რომ პოეტი წარმართული ხელოვნების და, მასთან ერთად, ქართული ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, რომელიც შესაძლოა თავისი იდეურობის გამოქრისტიანობაში გაანადგურა. ბატონი ედიშერი, თეოლოგის გარდა ისტო-

რიულ მეცნიერებასაც რომ სწყალობდეს, უთუოდ ეცოდინებოდა, რომ ეს აზრი ეკუთვნის ჩვენს დიდ ისტორიკოდებს და არა აკაკის, რომელიც ბატონი ედიშერისაგან განსხვავებით პატივს სცემდა ქართველ მეცნიერთა ნაღვაწს, საუკეთესოდ იცოდა საქართველოს ისტორიის წყაროები და თავისი ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევანი.

როგორც უპვე ითქვა ბატონი ედიშერი თეოლოგია და „პირად გუნება-განწყობილების პერსონებთან“ შედარებით, ორი თუ არა ერთი თავით მაღლა მაინც დგას. უპირატესობის ასეთი მაღლი განცდით მოსილი შეგვაგონებს, რომ „მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიზებული წმინდანი უპირველესად, ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი უზაკველობისა და მართლმადიდებლური აღმსარებლობისადმი თავდადების ნიშნით უნდა ხასიათდებოდეს და არა მარტოდენ პატრიოტულ თუ საქველმოქმედო საქმეთა სიმრავლით. ამასთან, ამა თუ იმ პირთან დაკავშირებით, როდესაც, ვთქვათ ასი ფაქტიდან ოთხმოცდაცხრამეტი მის ღირსებაზე მეტყველებს, მაგრამ ერთი ფაქტი საწინააღმდეგოა, ამგავრი პირის კანონიზება არ ზღება“. ბატონ ედიშერს აქ რომ ერთი სიტყვით მაინც ეთქვა, რომ ეს ეხება საეკლესიო მოღვაწეს, დავეთანხმებოდით და მართალ-

იც იქნებოდა, რადგან ასეთი საეკლესიო პირი ჭეშმარიტად სულხორციანად სამაგალითო უნდა იყოს თავისი განვლილი მოღვწაეობით, ასევე გასაგებია მის მიერ მოხმობილი კირილეალექსანდრიელისადმი თეოდორიტე კვირელის კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ, რაც გახდა მიზეზი თეოდორიტე კვირელის წმინდანად არშერაცხვისა, მაგრამ ავიწყდება, რომ აქ ლაპარაკია ეკლესიის ორი დიდი მოღვაწის შესახებ, რომლებსაც ერთმანერთში უთანხმოება ჰქონდათ ნესტორის მწვალებლური სწავლების ირგვლივ ანუ ქრისტიანობის უძირითადესი საკითხის – რწმენის სიმბოლოს განმარტებასთან დაკავშირებით (თეოდორიტე ნესტორის მწვალებლობას იცავდა) და მიუხედავად იმისა, რომ თეოდორიტემ მოგვიანებით შეცდომა მოინანია, ეკლესიამ მას მაინც არ აპატია და წმინდანთა რანგში არ აიყვანა. დანაშაულს უთუოდ გააჩნია თავისი კატეგორია, რასაც ეკლესიის კანონიკური წყობა საუკეთესოდ აყალიბებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს კომპრომისს იქ, სადაც მისი მორალის ავტორიტეტულობას ეხება საქმე.

რაც შეეხება საერო პირებთან დამოკიდებულებას, აქ, ეკლესიის მიღომა ცოტა უფრო სხვანაირია, ვიტყოდი, რომ უფრო შემწყნარებლურია. შესაძლოა კანონმდებლობაში ასეთი რამ

ასახული არ იყოს, მაგრამ ეკლესიის პრაქტიკული ცხოვრება ამის უამრავ მაგალითს გვთავაზობს. ეკლესიის ძალისა და, თუ გნებავთ, შემწყნარებლობის სიძლიერე სწორედ ისაა, რომ მას აქვს უფლება აპატიის და შეუნდოს საერო ადამიანს თავისი შეცოდება. ქართული ეკლესიის მესვეურებს შეუძლებლად რომ მიაჩნდეთ ამ საკითხის გადაწყვეტა და აკაკი ჩაეთვალათ ისეთივე მკრეხელად, როგორც ედიშერ ჭელიძე თვლის, მაშინ საერთოდ არ დააყენებდნენ საკითხს განსახილველად. ის, რომ ეკლესიამ თავის დროზე დაუშვა საერო პირთა წმინდანად აღიარების პრეცედენტი, აუცილებლად გაითვალისწინა საერო პირთა ცოდვილობის შესაძლებლობაც. როგორი ორთოდოქსული მიმართულებისაც არ უნდა იყოს ეკლესია, მას აქვს თავისი საეკლესიო დიპლომატია, წინდახედულება და პრაქტიკული განჭვრეტილობა. ეკლესია თავს ვერ მოიზღუდავს ხალხისაგან, ვერ აღმართავს გამყოფ ბარიერს „სუსტ“ საერო ფენასა და ასკეტ მორწმუნებს შორის. ქრისტიანობას რომ ამ განჭვრეტილობით არ დაეწყო თავისი ისტორია, იგი სათავეშივე იქნებოდა განადგურებული. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება მის მორალსა და დოგმატიკას. ეს ეხება მისი მოწყობის საკითხს, საყოფაც ხოვრებო ყოველდღიურობასთან მის დამოკიდებულებას.



ქრისტიანობა იქ პოულობს თავის გამართლებას, სადაც სულიერად ამყარებს უფლებას მორწმუნებზე, ამისთვის კი საჭიროა არა ასკეტური მოღვაწეობის საყოველთაოდ დაკანონება, არამედ საზოგადოების ანუ უბრალო ადამინათა შესაძლებლობის განსაზღვრა და იმ წრეში მოქცევა, სადაც მათვის ღმერთის სამსახურის აღსრულება ტანჯვად არ იქცევა. სულიერი მოღვაწეობის უმაღლესი ხარისხი ყველასთვის როდია მისაღწევი. ეკლესიის ისტორიის მკვლევართა შეხედულებით აღმოსავლეთის მართლმადიდებლობას არასდროს უარყვად თრი ხელისუფლების იდეა, ესაა ე.წ. „ბიზანტიური სიმფონია“ და იგი გარკვეულწილად აისახა საეკლესიო და საერო ხელისუფლებათა კანონმ-

დებლობაში. ეს იყო აუცილებელი პრაქტიკულობით ნაკარნაზევი პრობლემა რისი მოგვარების აუცილებლობას კარგად ხედავდნენ, როგორც საეკლესიო, ისე სასულიერო ხელისუფალნიც. უფრო მეტის თქმაც შეიძლება – ეს პროცესი შეიმჩნევა თვით ადრეულ ქრისტიანობაშიც – ასკეტური მოღვაწეობის შიგნით. ბერ-მონაზვნობის საფუძვლების ჩამყრელი ანტონი დიდი ოცდათხუთმეტწლიანი ასკეტური ცხოვრების შემდეგ გამოვიდა მღვიმიდან და დაარსა ბერ-მონაზვნობის კინოვიური ფორმა, რომელიც შემდგომში განავრცო და კანონიკურ ჩარჩოებში მოაქცია პახომი დიდმა. მაკარ მეგვიპტელს დიდი სურვილი ჰქონდა ბოლომდე განდევილ ასკეტ ბერად დარჩენილიყო, მაგრამ ანტონის მითითებით იგი სათავეში ჩაუდგა სამონასტრო მოძრაობას, დააფუძნა ბერ-მონაზვნობის ფართო კორპორაციები - „ღმრთის შვილებისა და შვილიშვილების“ გამოსაზრდელად, რაც ქრისტიანობის გაძლიერების პრაქტიკული მიზნებით იყო გამოწვეული. უდიდესი საეკლესიო მამის ბასილი დიდის ცნობილი თეზა „ქრისტიანული სრულყოფა“, რაც გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენის ქრისტეში ერთიანობას, არის უგონიერესი დამოკიდებულების ნიმუში ეკლესიის გამარჯვების გზაზე. შეუძლია ჭეშმარიტება განსაკუთრებული

ეთიკის სფერო იყოს ორთოდოქსი ასკეტი ბერებისათვის და გაუგებარი დანარჩენი ქრისტიანებისათვის, ვისაც არ შეუძლია იყოს გმირი შეუძლია ამისათვის დაისაჯოს და სამუდამოდ დაეხშოს სალოცავი კარები. დიდმა ასკეტმა გრიგოლ ნოსელმა ცოლი მხოლოდ იმიტომ მოიყვანა, რომ მორწმუნეთათვის დაენახვებინა ამ მოქმედების უდანაშაულობა და ეკლესიას კი არ მოწყვიტა დაქორწინებულნი, არამედ დაუახლოვა მას.

სხვათაშორის, ანახორეტული პედანტიზმის საპირისპიროდ, ქართულ ეკლესიას განსხვავებული თვისება ჩამოუყალიბდა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II სიტყვებით რომ ვთქვათ: „გიორგი მთაწმინდელი ეკლესიაში წეს-ჩვეულებების სიზუსტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა..., იგი უფრო ჭეშმარიტ-ქრისტიანულ, ნამდვილ-ქრისტიანულ განწყობილებასა და სულიერებას აფასებდა, ქრისტიანულ სიყვარულში ერთიანობის გულისათვის მზად იყო შემწენარებელი ყოფილიყო“.

საყველთაოდ ცნობილი ფაქტია: სასულიერო პირთა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც რუსი ეგზარხოსის მეთაურობით მიმდინარეობდა, ეს მაღალი სამღვდელო პირი აღუშფოთებია იმ გარემოებას, რომ წმ. ნინოს სასწავლებელში პატარა მეჩეთი ყოფილა

მუსულმანთათვის და როცა მას, აღშფოთებულს, განმარტება მოუთხოვია ამის თაობაზე, მეუფე კალისტრატეს (ცინცაძე), რომელიც მაშინ მღვდლის ხარისხში ყოფილა, მიუგია, რომ ეს ფაქტი სავსებით ნორმალურად მიაჩნია, რომ ადამიანები ღმერთს ლოცვას აღუვლენენ თავიანთი შეგნების, ცოდნისა და განვითარების შესაბამისად, ტაძარი და მეჩეთი ერთი ცაგვალის ქვეშაა და არაფერია აქ გასაკვირი.

ყველა აქ მოხმობილი მაგალითი ნიმუშია წინდახედულობის, პრაქტიკულობის, ტოლერანტობის, შემწყნარებლობის, ადამიანთა სუსტი ბუნების თანაგრძნობის და თუ რამდენად სცილდებიან ისინი „უცვლელი დოგმატიკის სფეროს“, ამის გარკვევას ბატონი ედიშერ ჭელიძეს მივანდობთ.

ბატონი ედიშერ ჭელიძის მოტანილი მაგალითები აკაკის „სარწმუნოებრივი მდგომარეობის სრული შეუსაბამობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის ხარისხთან“, მეტი რომ არ ვთქვათ სუსტია, რამდენადმე პროვოკაციული და მოკლებულია კეთილგანწყობილებას. ჩვენ ვეთანხმებით ოპონენტს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აკაკის პუბლიცისტიკას „სახუმარო ტონი“, „შეუფერებელი სილალე“ მართლაც ახასიათებს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ აკაკი თავისი ფელეტონების პერსონაჟია, რომლის პოზიცია

არავითარ შემთხვევაში არ ეთანადება მის მწერლურ-მართლმადიდებლურ პოზიციას, იგი საუბრობს თავის მობაასე-მოპაუქრეებთან იმ ენითა და ენაკვიმატობით, რომელიც ყოველდღიურობას ახასიათებს, ამას ემატება კალმის ლაფუსუსებიც, რომლისგან არავინ არაა დაზღვეული. ყველაზე მეტად აკაკიმ იცოდა თავისი პუბლიცისტიკის ეს ნაკლი და თავის თხზულებებში არაერთგზის აქვს გულისტკივილით ნათქვამი, რომ მას როგორც ცხოვრების შეაგულში მოტრიალე კაცს, ძალაუნებურად უწევდა ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, ისეთი ინტერესების დაკმაყოფილება და ისეთ საქმეებში ჩართვა, მის სულიერ მიღრეკილებებთან არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდათ: „ამიტომ ჩემს ნაწერებში მეათედიც კი არაა იმის ღირსი, ყურადღებას რომ იმსახურებდესო“, - ეს ნათქვამი ბატონმა კიდიშერ ჭელიძემ მიიღო აკაკის მონანიებად, ოღონდ გვაპატიოს თუ ვერ დავუზუსტებთ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე თქვა, თუ ერთი საათით. აკი შეგახსენებს: „მოღვაწეს შეიძლება სრულად შეენდოს ბევრი რა უღირსი ნამოქმედარი ადრეული ცხოვრებიდან, თუ მან ისინი შემდგომში გულწრფელად მოინანია“. სამწუხაროდ, აკაკის ასეთი რამ არ გაუკეთებიაო – ქვეტექსტით გვაწვდის ავტორი. როგორც ბატონ ედიშერს აქვს იმის საბუთი, რომ აკაკის

თავისი შეცოდებანი არ მოუნანიებია სიკვდილის მიწურულს, ისევე ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომ 1915 წლის 2 ოქტომბერის, სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიის მღვდელმა ვლადიმერ აბრამიშვილმა მას შეუნდო თავისი შეცოდებანი...

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიის წმინდანმა, ცოტნე დადიანმა, კოხტასთავის შეთქმულების შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა და, როგორც საერო კაცს, შესაძლებელია ცხოვრების მიწურულს დაქშვა შეცდომა, ეს შეიძლება გავრცელდეს თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე, ექვთიმე თაყაიშვილზე და თვით ილია ჭავჭავაძეზეც, რომელიც ბერის მოწამოებრივი ცხოვრებით კი არ აღესრულა, არამედ მოკლეს. არა გვვონია ბატონ ელიშერზე ნაკლებ პატივს სცემდნენ „უცვალებელი დოგმატის“ საკითხებს ქართული ეკლესიის მამები, როცა ჩამოთვლილი საერო მოღვაწენი წმინდათა რანგში ამაღლეს. მაშ რა იყო ამ შემწენარებლობის, მიმტკვებლობისა და აღიარების მიზეზი?

რა თქმა უნდა სამშობლოსთვის გაღებული ღვაწლი, ვალდებულება ქვეყნისა და ერის წინაშე, რაც მათ პირნათლად აღასრულეს. თუ მართლმადიდებლობა და ქართველობა ჩვენში ერთმანეთს დაეტოლა, როგორც ილია მართლამა ბრ-

ძანა, მაშ რითაა აკაკი წერეთელი ისე-თი სუსტი თავისი ქართველობით, რომ ღირსეულ მართლმადიდებლად ვერ ქცეულა. საბედნიეროდ, აკაკის ყველა უმნიშვნელოვანეს ნაშრომში ღვთის ნებაა გაცხადებული, ვის არ შესძრავს „ბაში-აჩუკში“ მოთხრობილი სიზმარი მოძღვრისა და წმინდა მხედრის ხატისა, ქართულ სიწმინდეს დაუფლებულ ურჩხულს, რომ უგმირავს გულს, „თორინიკე ერისთავისა“ და „ჩემი თავგადასაგალი“-ს მხატვრული ქსოვილი, რომელიც მართლმადიდებლური რწმენისადმი უფაქიზეს ნიუანსებითაა ნაკერი. აკაკის არ ავიწყდება გვითხრას, თუ როგორ განიცდიდა დედამისი, როცა როსტომი (მისი მეუღლე) სახარების კითხვისას ქრისტეს აღსრულებულ საქმებს თავისი კომენტარებით ამკობდა და თვლიდა, რომ ასეთი რამ მიუღებელი იყო წმინდა წიგნის მიმართ. ასეთი დედის გაზრდილი აკაკის ნაძღვილად მეტი კეთილგანწყობა ექნებოდა მართლმადიდებლობის მიმართ, ვიდრე ამას ბატონი ედიშერ ჭელიძე წარმოგვიდგენს.

ბატონი ედიშერი თავის წერილში ერთ გვერდს უთმობს იმის ახსნას, თუ რა დაემართება დიდი მგოსნის სულს თუ მას წმინდანად შერაცხავენ. ამ მძიმე სტილით დაწერილი შებრალების ოპუსიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ აკაკის წმინდან-

ად აღიარების შემთხვევაში, მისი სახელის ეკლესიური მოხსენიება, კანონიკიდან გამომდინარე, უნდა შეწყდეს. იგი ამ აქტით ვერც წმინდანობას მიაღწევს როგორც უღირსი, და ჩვეულებრივი მოკვდავთავის დანიშნულ საპანაშვიდო მსახურებასაც დაკარგავს. სამწუხაროდ, ამ აზრს ბატონი ედიშერს ვერც გულმოწყალებად ჩავუთვალით და ვერც თანაგრძობად ეს უფო ირონიაა – უადგილო და შეუფერებელი.

საკვირველია, ისეთმა ქრისტიანმა კაცმა, როგორიც ბატონი ედიშერ ჭელიძეს თავისი თავი მიაჩნია, რატომ შეიძინა თავისი ცოდნისა და სიმართლის მიმართ ასეთი პატივისცემა და სიყვარული. ასე დარწმუნებისთ რომ ლაპარაკობს აკაკის შემოქმედების სრული შეუსაბამობის შესახებ მართლმადიდებლობასთან, მისი დროის სამღვდელო პირთა აზრი ხომ მაინც უნდა სცოდნოდა, ისინი ხომ აკაკის ეპოქის შვილები იყვნენ და გაცილებით მეტი ხელშესახები მასალა ექნებოდათ აკაკის ავკარგიანობაზე, ვიდრე ბატონ ედიშერ ჭელიძეს გააჩნია.

აი, როგორ აფასებს აკაკის ეპისკოპოსი ლეონიდე (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი): „გახარებული, ბედნიერი და ნეტარია დღეს ჩვენი სამშობლოს თვითეული ქალაქი, ბრწყინვალედ დღესასწაულობს და მხიარულობს დღეს საქართველოს

დაბა-სოფელი. აგერ მთასაც გაუხსნია თავისი ჩათხრობილი გული და მხიარულობს თვისებურად. „მომილოცნია აკაკის ოუბილე“, „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“, „გახარება აკაკის დღეს“. აი, რა გაისმის დღეს ყველგან საქართველოში. აი, რას ულოცავს დღეს ქართველი ქართველს მსგავსად საამო „ქრისტე აღსდგასი“. სულ მცირედაც გაგებულ ქართველს, თუკი მას ოდნავ მაინც კიდევ ეტყობა, სვეტიცხოვლის წმინდა მირონი, აკაკის ერთი სახელის გაგონება სიამოვნებით უდელვებს გულს. ამ სახელით, მისი წარმოთქმით ყველანი ვიზრდებით საკუთარ თვალში, მისი ხშირად გამეორება ყველას გვიმატებს საკუთარი ღირსების შევნებას“. „რომელი საშვალებით მიაკვლია აკაკიმ ქართველი ერის გულამდე“, კითხვას სკამს დიდი სამღვდელო პირი და იქვე პასუხობს; „წრფელი და უანგარო, გაბედული და პირდაპირი, მტკიცე და შეუდარებელი, შევნებული და ნათელაზრიანი თავდადებით, უსაზღვრო სიყვარულით მშობელი ერისადმი“... დეკანზ ნესტორ ყუბანეიშვილის თქმით – აკაკიმ მთელი თავისი ნიჭი და ენერგია სამშობლოს მოახმარა. „ამ მხრივ ის შეიძლება შევადაროთ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს. თუნდაც მოსე წინასწარმეტყველს“. კარგად აქვს შენიშნული ნესტორ ყუბანეიშვილს, რომ იმ სიმართლისა და

პირდაპირობისათვის, რომელიც აკაკის ახასიათებდა „ბევრი გაუგებარი და უგუნური ადამიანი ემდუროდა. მაგრამ გონიერ ადამიანებს უყვარდათ.... როგორც იტყვის სოლომონ ბრძენი „ამხილე უგუნურთა და შეგიძლონ შენ, ამხილე ბრძენთა და შეგიყვარონ“ ეგეთ უგუნურებას აკაკი არ ერიდებოდა და არ ეფერებოდა“. **არქიმანდრიტ სიმონ მჭედლიძის შეფასებით**, აკაკი ბიბლიური სიძეა - „საქართველოს

ღვიძლ შეიღლთა ძირითად იდეათა და მისწრაფებათა მატარებელი..., აკაკი ფოკუსია, რომელშიც საქართველოს ანგელოზმა შეკრიბა ყოველივე რაც მაღალია და უზენაესი, იგი ის დაკუთხული ბროლია, რომელმაც გაატარა თავის შორის საქართველოს მომხიბლავი სილამაზე“. უერნალ „მწყემსის“ რედაქტორი დეკანზი დავით დამბაშიძე ასე მიმართ ვდა აკაკის: „ვაშა თქვენ უანგარო მოღვაწეობას! ვაშა თქვენს სასარგებლო და ნაყოფიერი ხალხის მსახურებას, კურთხეულ იყოს თქვენი სახელი ამიერიდან უკუნისამდე“.

აյ მოტანილი ციტატები არის უმნიშვნელო ნაწილი იმ შეფასებისა, რომელსაც ქართული სამღვდელოების გამოჩენილი და ავტორიტეტული მოღვაწენი მიაგებდნენ აკაკის. ზოგადი შეხედულებით ესაა უდიდესი დაფასება და პატივი, რაღაც არაბუნე-

ბრივი სიყვარული, რომელიც განშესაჭვალულია სახალხოობის, ეროვნულობის, უდიდესი მასშტაბურობით. ამის დანახვა შეუძლებელია, ამის არცნობა და დაუფასებლობა გაკვირვებას იწვევს. მით უმეტეს, რომ სამღვდელო პირები, რომელთა აზრები აქ მოვიტანე, არც საღვთისმეტყველო და არც ეროვნულ საკითხებში, არავითარ შემთხვევაში არ მიმართა ედიშერ ჭელიძეზე ნაკლებ ავტორიტეტებად.

სიტყვა ისედაც გამიგრძელდა და არ მინდა შევეხო აკაკის მართლმადიდებლობისადმი მიძღვნილ პოეტურ ნამოღვაწარს, მის პოემებს - „ანდრია პირველწოდებულსა“ და „წმინდა ნინოს“, საჯარო გამოსვლებს, უამრავ წერილს და ზოგადად პოზიციას, რომელიც ამ დიდ კაცს ეჭირა ქრისტიანობის მიმართ. ერთს კი ვიტყვი – აკაკი თავიდან ბოლომდე, თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით არის მართლმადიდებლური კულტურის ნაყოფი, რომლის მსხმოიარე ხიდან ყველას შეუძლია აიღოს იმდენი, რამდენის ათვისებასაც შეძლებს.

გაკვირვებას იწვევს ჩვენი ოპონენტის საყვედური – აკაკის თეატრალურ ხელოვნებასათან დამოკიდებულების შესახებ. ესაა ყოვლად უსაფუძვლო, ეჭვით დამძიმებული ბრალდება, რომელსაც ბატონი ედიშერ ჭელიძე ასე აყალიბებს: „აკაკის მიერ მხ-

ოლოდ ხელოვნება, მათ შორის თეატრალური, მიწნეული ყველაზე რჩეულ საქმედ, ხოლო ხელოვანნი, მათ შორის თეატრალური, „მომავალი აღთქმის მოციქულ წინასწარმეტყველებად“, რომლებითაც პოეტის მიერ ფაქტობრივად ხდება ეკლესის ჩანაცვლება, რადგან მხოლოდ ისინი ცდილობენ თურმე კაცობრიობის „სულისა და გულის გასტეტაკებას“ და ამას აღწევენ სცენაზე, რაც აკაკის თქმით „სწორედ რომ ტრაპეზია.“ ეს აზრი სრულიად უცხოა ეკლესისათვის“. გვაპატიოს მკითხველმა მკაცრად თქმა, მაგრამ ამ სიტყვებში შეა საუკუნეების ინკვიზიციის ინტონაცია იგრძნობა. გამოდის, რომ თუ აკაკი თეატრალურ ხელოვნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ იგი ამით მართლმადიდებლობის როლს ამცირებდა. არადა აქ სულ საპირისპირო ვითარებასათან გვაქვს საქმე: აკაკი სცენას ადარებს წმინდა ტრაპეზის, ხოლო თეატრალუბს მომავალი აღთქმის ახალ მოციქულ-წინასწარმეტყველებს უწოდებს. რა არის აქ დასაძრახი და შეუფერებელი. თუ ადამიანი ღმერთის სახედ და მის მსგავსად შეიქმნა და ამით ღმერთი არ მცირდება, მაში რატომ უნდა დამცირდეს ასეთი შედარებით წმინდა ტრაპეზი და მოციქულები. აკაკიმ ესეც თქვა: „ჩემი ხატია სამშობლო“-ო, ამ

კონტექსტიდან გამომდინარე მაშინ ხატის მიმართაც მისი უპატივცემულობა უნდა ვაღიაროთ. გვსურს მკითხველს შეავახსენოთ, რომ ეს სიტყვები დაწერილია ქართული ეკლესის დამცრობის ხანაში, რუსული ეკლესის ბატონობის დროს, მართლმადიდებლური სიწმინდეების განადგურებისა და დამტკიცების უამს (სხვათაშორის ამ ნადგურცემაში ზოგიერთი ქართველი სამღვდელო და საერო პირიც იღებდა მონაწილეობას). ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ნაწილი ცდილობდა არ შეგუებოდა ამ ვითარებას და ვისაც როგორ შეეძლო და ხელეწივებოდა ისე იღვწოდა ქართველთა შეურაცხყოფილი ავტორიტეტის დასაცავად. სამღვდელო პირთაგან ამის ქრესტომათიული მაგალითი გვიბობა დიდმა სამღვდელო პირმა, ქართული ეკლესის წმინდანმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, რომელიც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში არნახული ძალმოსილებით, უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში, არათუ ქართველები, მუსლიმნი აფხაზების დიდი ნაწილიც მოაქცია ქრისტიანობაზე, მან ხალხის ენაზე გასაგები ქადაგებით, გონიერებითა და წინდახედულობით (და არა დეკლარაციული და ხისტი გამოსვლებით) მოახერხა აეღორძინებინა ერში მართლმადიდებელი რწმენის უპირატესობა

და ნიპილისტურად განწყობილი ხალხი ქრისტიანული სულიერებისაკენ შემოაბრუნა.

გაბრიელ ეპისკოპოსი სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობდა და ოღვწოდა ისე, როგორც ჭეშმარიტ სასულიერო პირს შეეფერება, აკაკი საერო ასპარეზზე გამოდიოდა და წინ წამოსწევდა ისეთ თემებს, რაც საზოგადოების ფართო ფენებს აინტერესებდა. ადამიანთა საზოგადოებას რელიგიის გარდა სხვა რამეც რომ ესაჭირება ეს ფაქტია და იმ პერიოდში, ანუ ისევ და ისევ, რუსული მმართველობის ჟამს, როცა ჩვენს ენას და კულტურას ასე უჭირდა, თეატრი იყო ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი უძლიერესი სფერო, საიდანაც არა მხოლოდ ქართული სიტყვა გაისმოდა, არამედ მთელი ერის პატრიოტული სულისკეთება იღებდა სათავეს. ამ აზრის დასტურად მკითხველს შევახსენებ, თუ როგორი რეზონანსი პქონდა „სამშობლოს“ დადგმას ქართული თეატრის სცენაზე, როგორი სული შთაბერა ამ ერთმა სპექტაკლმა მაშინდელ საზოგადოებას და რამდენი რწმენაშერყეული ადამიანი შემოაბრუნა ეროვნულისაკენ.

თეატრის ეს უდიდესი მნიშვნელობა პქონდა აკაკის მხედველობაში მაშინდელი საქართველოსათვის და ამიტომაც უწოდებდა მის მოღვაწეებს

„ახალ მოციქულებს“. გაბრიელ ეპისკოპოსიცა და აკაკი წერეთელიც, სხავდასხვა ასპარეზზე მოღვაწებით, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ – ქართველობასა და მართლმადიდებლობას, მართლმადიდებლობასა და ქართველობას - „ერთმანეთს დატოლებულთა და განუყრელთ“ (ილია), ამიტომ არიან ისინი თანაბარი სიდიდის მოღვაწენი.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ბატონი ედიშერ ჭელიძის წერილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნაჩეკარევად, გამოუმიებლად და სულსწრაფობითაა“ დაწერილი. მან ძალიან იოლად შეპბედა აკაკის, შეპბედა ამაყობით და არავითარ ნიშანს არ ატარებს მისი წერილი, რომ ასეთი საპასუხისმგებლო განაჩენის გამოტანის წინ, გულდასმით, დაკვირვებითა და კეთილგანწყობით წაიკითხა ის თხუთმეტი ტომი, სადაც მეტ-ნაკლები სისრულითაა წარმოდგენილი პოეტის დიდი მემკვიდრეობა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბატონი ედიშერის წარმოდგენები ამ მიმართულებით დამყარებულია იმ მავნე ტრადიციაზე, აკაკისთან დაკავშირებით რომ ჩაუყარეს საფუძველი მისსავე სიცოცხლეში და ასე უანგაროშოდ იმეორებს ყველა არაკეთილმოსურნე. დიმილის მომგვრელია ბატონი ედიშერის მუქარა, როცა გვაშინებს: აღარ ვიკადრე აკაკის შემოქმედების დაწვრილებით ჩხრეკა და

მბიმე ციტირებისაგან თავს ვიკავებ, თორებ სრულიად ვაჩვენებდი „მისი სარწმუნოებრივი მდგომარეობის სრულ შეუსაბამობას მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანობასთან“. მართლაც რომ სწორუპოვარი დიდსულოვნებაა, იმაზედაც მაღლობელნი ვართ, რომ დანდობის გრძნობა გასჩენია და ოდნავი საჭიროება უგვრძნია ზომიერების დაცვისას.

ჩვენ არ ვიცით ვინაა ბატონი ჯდიშერისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ქართველ საერო მოღვაწეთაგან, მისი აზრი რომ მოგვეტენა აკაკის შესახებ, მაგრამ იქნებ გაეხსენებინა აკაკის მოღვაწეობის შეფასება მის თანამედროვეთაგან, ხომ არ იცნობდნენ ისინი მასზე უკეთესად აკაკის „ცოდვა-ბრალიან“ ცხოვრებას და თუ იცნობდნენ, რატომ არ წერდნენ ასე ზელალებით მისი უღმერთობის შესახებ??!

იაკობ გოგებაშვილმა თქვა: „აკაკი პატარა საქართველოა“, თუ ვისმეს ჰვინია, რომ ამ თქმაში მხოლოდ ქება იგულისხმება, ძალზე შემცდარა. აკაკი თავისი ბედითა და ცხოვრებით ჰგავს საქართველოს, იგი მიკრო-მოდელია თავისი ქვეყნისა – ნიჭიერებით, იმუდგაცრუებით, წარმეტებით, ტანჯვით და ნაკლით. აკაკი არც სიმონ მესვეტეა და არც სალამან მდუმარე, მათსავით არაადამიანური ნები-

სყოფით რომ მოეპოვებინა ქრისტიანული დიდება. ადამიანური თვალსაზრისით იგი იყო ჩვეულებრივი მოგვდავი, მისთვის დამახასიათებელი ნაკლით, ისეთივე როგორც თითოეული ჩვენთაგანი, მაგრამ თავისი მიზან-მართულებით იყო შეუმცდარი, თავის სამშობლოსთან იყო მართალი.

აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედების მიზანს, მისი დაუშრეტელი და მაძიებელი სულის საგანს სამშობლო წარმოადგენს. იგი განსაცვიფრებლად მიზანდასახულია, რადგან ამორჩული ჰყავს თავისი სათაყვანო და როგორც პილიგრიმი, ჯიუტად მიაბიჯებს ხიფათით სავსე გზებზე - „აღთქმული ქვეყნისაკენ“ - რათა გულმხურვალედ ილოცოს მისთვის.

მას შეურყევლად სჯერა თავისი ქვეყნის სიდიდისა და პოეზიის ლითონიდან ადნობს სტრიქონებს - „ჩემი ხატია სამშობლო“. ამ მიმართებით უმტკიცესია მისი ნება და საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილში, რომელიც ძალუმად ისვრის ჭუჭყიან ქაფს, სამშობლოს უღელი შეურყებულად და ფაქიზად აქვს გამოტარებული.

აკაკი შენივთებულია თავის სამშობლოს. როგორც გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა - „მისი ბუნება ქართველთა ბედის ნატეხია, ჩვენი ერის მებრძოლი სული მის ბუნებაში განსახიერდა, აკაკის

ღიმილი ქართველთა სულის სუნთქვას აუცნაურებდა და რუსთაველის შემდგომ, ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი აკაკია“.

XIX-XX საუკუნეთა საქართველოს გონიერი ცხოვრება წარმოუდგენელია აკაკი წერეთლის შემოქმედების გარეშე. მისი მოღვაწეობის პერიოდში არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო, ყურადღების მიღმა რომ დარჩენოდა. მწერალმა თამაზ ჭილაძემ აკაკის „წელშიგაწყვეტრილი, ხელებდაკოურილი, მშრომელი ადამიანი“ უწოდა და ეს შეფასება არის ყველაზე მართალი, რომელიც კი ოდესმე უთქვამთ მისი მოღვაწეობის შესახებ, ჩვენი ერის ბედნიერება იყო ის, რომ ამ პრაქტიკას შეერწყა „ღვთიური სიმსუბუქით მქროლავი სიტყვის მაგია პოეტისა და აკაკი იქცა ახალი პოეზიის წინამორბედად“. (გ. რობაქიძე)

მნელია ჩვენს მწერლობაში დასახელდეს მეორე პოეტი, რომელიც ისე ახლო ყოფილიყო ხალხთან, როგორც აკაკი. მისი შემოქმედების ზეობის საფუძველს ხალხის ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნა და საქართველოს სულიერ კულტურასთან თანაზიარობა წარმოადგენდა.

თუ ადამიანი ნამდვილი გულით არ მიეცემა თავისი ოცნების

საგანს, თუ არაა სრულყოფილი და გულწრფელი, იგი ვერასდროს დაიმკვიდრებს დიდებას. ერი გულთამზილვის ძალით გრძნობს ჭეშმარიტი სიმაღლის შემოქმედს, მას უყვარს თავისი დამფასებელი, ეროვნული სულიერების დამცველი და გამღვივებელი, არ არსებობს ძალა ამ სიყვარულზე მაღლა რომ იდგეს. სწორედ ამ თვისებათა გამოა აკაკის პოპულარობა უმაგალითო. ამითაა იგი წმინდა კაცი.

აკაკის მოღვაწეობის ასპარეზი ვეებერთელაა, განცდათა სპექტრი მრავალფეროვანი, ინტერესთა სფერო უფართოესი, დამოკიდებულებები ვნებათაღელვით სავსე, ხოლო უმთავრესი, რითაც იგი თავის კოლოსალურ ენერგიას წარმართავს, სამშობლოს სიყვარულია. ამ გზაზე მისი დევიზი ლაკონურია - „წინ სამშობლოსაკენ“. ესაა მისი მოწოდება და გასაღები ყოველი ქმედებისა.

ეს ხმა ახლაც ზარივით რეკს ყოველი ქართველისათვის. ესაა ხმა ჩვენი კულტურის გადარჩენისა, ეს ხმა აკაკის ხმაა, რომელსაც დადუმება არ უწერია.

ამიტომ იმსახურებს იგი, რომ შერაცხულ იქნეს ქართული ეკლესიის წმინდანთა რიგში.

**ელდარ ნადირაძე
პროფესორი**



2011 წლის ბოლოს ბატონ ნუგზარ წერეთელს პოეზიის კრებულისათვის „რჩეული“ და მთელი შემოქმედების გათვალისწინებით მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის პრემია.

სარედაქციო კოლეგია, „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და ლექტორები გულითადად ულოცავენ ბატონ ნუგზარს პრემიას და უსურვებენ ხანგრძლივ ნაყოფიერ სიცოცხლეს.

მართვის პულტურა

**თანამედროვე ხელმძღვანელი:
ავტორიტეტი. მუშაობს სფილი,
ორგანიზაციული მუშაობა**



კაცობრიობას სოციალური ობიექტების, ადამიანთა კოლექტივების მართვის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს (მშენებლობა, წარმოება, სამხედრო საქმე და სხვა).

მიუხედავად ამისა, სოციალური ობიექტების (მათ შორის, მედიცინის) შრომითი კოლექტივების მართვის თეორია და პრაქტიკა კვლავ ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. ორგანიზაციული მუშაობის კონკრეტული მიზანი და, ამდენად, ის საკმაოდ დამოკიდებული ფენომენია (თვით ხელმძღვანელსაც კი არ შეუძლია მასზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა, ვინაიდან ისიც შეზღუდულია არსებული კანონმდებლობით).

ინტუიცია, გამოცდილება, საღი აზრი, მართვა (განსაკუთრებით, შესრულების ორგანიზაცია) კვლავ რჩება ინდივიდუალურ ხელოვნებად.

ნებისმიერი კოლექტივი სოციალურად რთული ორგანიზმია. ორგანიზაციის სტრუქტურული სქემა, ფორმალური სტრუქტურა კოლექტივის მდგრადობას, სტაბილურობას ანიჭებს. ორგანიზაციულ წესრიგს გარკვეული ავტომატიზმი შეაქვს დაწესებულების მუშაობაში და, ამდენად, ის საკმაოდ დამოკიდებული ფენომენია (თვით ხელმძღვანელსაც კი არ შეუძლია მასზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა, ვინაიდან ისიც შეზღუდულია არსებული კანონმდებლობით).

სტრუქტურის დანიშნულებაა, გადალახოს სოციალური სირთულე, გაამარტივოს ის (უფრო სწორად, სირთულე კი რჩება, მაგრამ ის სამსახურებრივ ურთიერთობათა ჩარჩოებს გარეთ ექცევა). მაგრამ ფორმალური სტრუქტურა (ეგრეთ წოდებული, წრფივი სისტემა) ტიპურია, კონსერვატიული და ყოველთვის ჩამორჩება ფაქტობრივს.

ორგანიზაციის ფორმალურ სტრუქტურას აქვს თავისი დაშვების სივრცე, „ხერელები“ (ყოველთვის რჩება მოქმედების არარეგლამენტირებული

ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს

სფეროები). არასრული ფორმალიზაცია სასრგებლოც კია, ვინაიდან საშუალებას იძლევა ვიმოქმედოთ გარემოებისდა მიხედვით. ამრიგად, რაც უფრო ნაკლებად რეგლამენტირებულია ორგანიზაციული კავშირები (ეგრეთ წოდებული, მატრიცული სისტემა), მთავრო საიმედოა ისინი.

მატრიცული „გუნდური“ მუშაობის პრინციპის დარღვევის შედეგია ის „ინფორმაციული სისარბე“, რომელიც დამახასიათებელია ზოგიერთი სამინისტროსა და უწყებისათვის, რაც ადგილებზე ზედმეტი ცნობების მოთხოვნით გამოიჩატება (არსებული წესებით ეს აკრძალულია).

სტრუქტურის გარდა რეალურ ცხოვრებას დაკანონებული ნორმებიც ჩამორჩება, რომელთა გარკვეული ნაწილი ძველდება და ჯერ კიდევ ახალი დებულებების შექმნამდე ხდება მათი პრაქტიკული ამოღება. ამის გამო თანამშრომლები უდანაშაულო დამნაშავის როლში გამოდიან. ამას ხელს უწყობს უამრავი ინსტრუქცია და მითითება (ზოგჯერ ურთიერთსადაწინააღმდეგოც), რომელთაც დაწესებულება სხვადასხვა ინსტანციიდან იღებს.

დაწესებულება, ორგანიზაცია მხოლოდ რომელიმე მიზნის მიღწევის იარაღს არ წარმოადგენს. იგი ყოველთვის იყო და იქნება განსაკუთრებული ადამიანური გარემო, სოციალური ერთობა. ამიტომ ორგანიზაციის ფუნქციონირებას თავისი შინაგანი

კანონზომიერება აქვს.

თავისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, კოლექტივს ორგანიზაციული ენერგიის უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ ენერგიის ეფექტური გამოყენება სწორედ მართვის ამოცანას წარმოადგენს და აյ ბევრია დამოკიდებული ხელმძღვანელზე. მაინც, როგორ გავაერთიანოთ თანამშრომლები ერთიან, ხალისიან კოლექტივში? რამდენად არის ეს დამოკიდებული ხელმძღვანელის მუშაობის სტილზე?

ადამიანთა ურთიერთობა, ფსიქოლოგიური კლიმატი მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ მუშაობის ეფექტზე, ფსიქოლოგიური კლიმატი კი, თავის მხრივ, ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელობაზე, მის ავტორიტეტზე, რატომაა, რომ ადამიანები ერთ ხელმძღვანელს უფრო აფასებენ, ვიდრე მეორეს? რატომა, რომ ერთს მიიჩნევენ „თავის ადგილზე“, მეორეს კი დაუმსახურებლად დაწინაურებულად? საერთოდ, როგორ უნდა იყოს კარგი, ავტორიტეტული ხელმძღვანელი? ეს საკითხი ნებისმიერი კოლექტივისათვის ცხოვრებისეულია.

კარგი ხელმძღვანელი საქმიან განწყობილებას ქმნის კოლექტივში, კარგი განწყობილება კი მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. გამოდის, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტაქტი, ყურადღება, ზრდილობა (რომელიც დიდხანს ეკუთვნოდა ზნეობრივ კატეგორიებს) ახლა „საწარმოო“

ფაქტორიც გახდა. „ხელქვეითები ოპტიმისტებად აქციო“ - ასე მოკლედ აყალიბებს ფორმულას ზოგიერთი მკვლევარი. კარგი ხელმძღვანელობისას სამუშაოც საინტერესო ხდება. მნელია დაუკერო მუდამ შეწუხებულ, მოღუშულ, პესიმისტ ხელმძღვანელს.

ხელმძღვანელს მიზნის მისაღწევად ზემოქმედების ორი გზა აქვს:

იძულება და გავლენა. პირველს სჭირდება უფლებები (ეს როგორც წესი, ხელმძღვანელს აქვს), გავლენას კი სჭირდება ავტორიტეტი. რაც უფრო ნაკლები ავტორიტეტი აქვს ხელმძღვანელს, მით მეტი „შიშველი ადმინისტრირება“ საჭირო. ეს კი მართვის საუკეთესო მეთოდი როდია (დიდი დოზით მას უკუჯაჭრი აქვს).

თუ 40-50-იან წლებში ხშირად საკმარისი იყო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გამომდინარე ავტორიტეტი, დღეს ხელქვეითისთვის არ კმარა თანამდებობის პატივისცემა. მან პატივი უნდა სცეს ხელმძღვანელს, როგორც პიროვნებას. საბოლოო ანგარიშით, მორალურ ავტორიტეტს ხელმძღვანელს ისევ კოლექტივი უქმნის.

როდესაც ხელმძღვანელს არ ეხერხება ადამიანებთან ურთიერთობა, ის იწყებს ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებას („რკინისებრი მომთხოვნელობა“, მუქარა, სასჯელი, შიშის გრძნობის ჩანერგვა, აკრძალვების სისტემა და სხვა). როგორც წესი, ეს იწვევს კოლექტივისაგან იზოლაციას,

ხელქვეითები „იკეტებიან“ თავის თავში და მითითებათა უბრალო შემსრულებელი ხდებიან.

დღევანდები „ადმინისტრატორი“ თავის კაბინეტში აღარ იკეტება. ის ხშირად მართავს თათბირებს, მოუწოდებს აქტიურობისაკენ. მაგრამ, თანამშრომლები მას უკვე აღარ ენდობიან, იციან, რომ ვერაფერს შეცვლიან და დუმილს ამჯობინებენ. მათ არც კოლეგების კრიტიკის სურვილი აქვთ – ხელმძღვანელი ამას ისედაც ხშირად აკეთებს.

მაინც რაში მდგომარეობს კარგი ხელმძღვანელობის „საიდუმლოებანი“?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს ისეთი მძლავრი იარაღის არსებობა, როგორიც ადამიანის სულიერი და მორალური განწყობაა. ამ ძალას სასწაულები მოუხდენია. თანამედროვე წარმოდგენით, მატერიალური სტიმულირება (შრომის ანაზღაურება, პრემია, ჯილდოები) მხოლოდ დროებით, წარმავალ ეფექტს იძლევა.

ხელმძღვანელის პიროვნების შეჩერებისას, ძირითადია მისი მორალური სახე. ხელმძღვანელმა რომ დაიმსახუროს ადამიანთა პატივისცემა, თვითონ უნდა ექცევოდეს მათ პატივისცემით (უხეშობა და უესტები შთაბეჭდილებას ვერ ახდენს). ხელმძღვანელისთვის, რომელსაც თანამშრომლები პატივისცემით ექცევიან, ხელქვეითები „მსხვერპლსაც“ კი გაიღებენ.

კარგი ხელმძღვანელი მომთმენია

ადამიანის სუსტი მხარეების მიმართ, არ უხირდება წვრილმანებს, შეუძლია პატიება. თანამშრომლებთან ურთიერთობის ფორმას, სტილს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თუ გვსურს ხელმძღვანელის მუშაობის ხარისხის შეფასება, პირველ რიგში არა მისი პროფესიული კვალიფიკაციით და პირადი ხასიათით უნდა დავინტერესდეთ, არამედ თუ როგორ მუშაობენ მისი ხელქვეითები.

საერთოდ, ორგანიზაციული მუშაობის კანონზომიერებანი ჯერჯერობით ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. თუ ინფორმაციის დამუშავება და გადაწყვეტილების მიღებისას უკვე დაიწყეს ტექნიკური საშუალებების გამოყენება, გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას ხელოვნებად რჩება. არასწორია ტრადიციული შეხედულება, რომ გადაწყვეტილების მიღება უფრო ძნელია, ვიდრე შესრულების ორგანიზაცია.

ხელმძღვანელის ყველა შეცდომის

დაგროვება, ხარვეზების გამოვლენა (დროსა და სივრცეში) შემსრულებელთან ხდება. ამიტომ იქმნება ილუზია, თითქოს მხოლოდ შემსრულებელთან გვაქვს საქმე.

ამასთან, შემსრულებლის შეცდომა იქვე ობიექტურ სახეს იღებს, თანამშრომლების თანდასწრებითაა და ამიტომ დიდ ემოციურ რეაქციას იწვევს. ერთდროულად, გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებული ხელმძღვანელის შეცდომები შენიდბული რჩება. საორგანიზაციო მუშაობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელი ორგანიზაციას უწევს არა მხოლოდ თავის, არამედ სხვების მოქმედებასაც. ადამიანს თვითონაც უჭირს თავი განაწყოს დაძაბული შრომისათვის, გადალახოს სიძნელები და, რამდენად ძნელია, ზეგავლენა მოახდინოს სხვა ადამინებზე!

ასეთია მოკლედ თანამედროვე ხელმძღვანელის მუშაობის სტილი და ორგანიზაციული კულტურა.

მართვის პულტურა

თანამედროვე სატელეფონო პულტურა

ტელეფონის შექმნის იდეა (1861 წ.) ეკუთვნის სკოლის მასწავლებელს, გერმანელ ფილიპ რეისს. ამ იდეას შემდგომი განვითარება მისცა ყრუ-მუნჯ ბაგშვთა პედაგოგმა, ამერიკელმა ფიზიკოსმა ალექსანდრ გრემ ბელმა და 1876 წ. შეიტანა განაცხადი გამოგონებაზე, თითქმის იმავდროულად განაცხადი შეაქვს ამერიკელ ე. გრეის, მაგრამ საბოლოოდ, პატენტი „მოლაპარაკე ტელეგრაფზე“, რომელიც ბეგრებს მხოლოდ 500 მეტრზე გადასცემდა, აიღო ბელმა. ამის შემდეგ, 12 წელი ტელეფონი მხოლოდ სათამაშოდ ითვლება... დღესაც კი, უმეტესობის ცნობიერებაში ტელეფონი ფიგურირებს, როგორც პრიმიტიული აპარატი, მაშინ როდესაც ის ტექნიკური აზრისა და საზოგადოების კულტურის სფეროებს მოიცავს. ჭეშმარიტი სატელეფონო კულტურისაგან კი ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ.

ამჟამად, მსოფლიოში 900 მილინტე მეტი ტელეფონის აბონენტია. მობილური ტელეფონების გავრცელება კი ამ რიცხვს ყოველწლიურად ზრდის.

განსაკუთრებით დიდია აპარატთა რაოდენობა დიდ ქალაქებში, სადაც საშუალო რანგის მენეჯერს ყოველდღიურად რამდენიმე ათეული სატელეფონო კავშირი აქვს. თუ ყოველ საუბარზე რამდენიმე წუთს ვიანგარიშებთ. დღეში საკმაოდ დიდი დრო

(1-2 სთ.) ტელეფონზე მოდის.

გამოყენების ასეთი ფართო მასშტაბის შემდეგ, ტელეფონი უკვე ცუდად მოქმედებს ადამიანზე. გაჩნდა დარეკვის მოლოდინთან დაკავშირებული დაბაბულობა. სატელეფონო ნევროზები, ყურმილის აღების შიში – მიკროფონისა და სხვა. ამიტომაცაა, რომ საქმიან ადამიანთა უმეტესობა როგორც მტერს, ისე უყურებს ტელეფონს. ამდენად, მნიშვნელოვანია ტელეფონით სარგებლობის გარკვეული ტექნიკური, პროფესიული თუ ეთიკური წესების დაცვა.

ტრადიციული „ალო“ („ჰელოუ“) ინგლისური ფრაზის (იყავ ჯანმრთელი) ტრანსფორმირებული და შემოკლებული ვარიანტია, რომელიც ძირითადად ინგლისურენოვან ქვეყნებშია გავრცელებული.

ფინეთში, მაგალითად „ალო“ ცუდ ტონად ითვლება და ბინიდანაც კი პასუხობენ ტელეფონის ნომრის ან სახელის მითითებით.

იაპონიაში გაიგონებთ „ილაპარაკე“, ესპანეთში - „ტელეფონთან ვარ“, საფრანგეთში - „მზად ვარ“, რუსეთში კი - „გისმენთ“, საყოფაცხოვრებო დონეზე გავრცელებული ეს ე.წ. ნეიტრალური რეაქცია საქმიან წრეებში ინფორმაციული რეაქციით უნდა შეიცვალოს: ყურმილს ვიღებთ (როგორც წესი, პირველ ზარზე), დაწესებულების,

განყოფილების ან გვარის დასახელებით (ერთიანი სტანდარტი არ არსებობს). ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს მენეჯერი, რომელიც ოთხი ზუმერის შემდეგაც ჯიუტად აგრძელებს რეკვას.

ურთიერთწარდეგნის ტემპი და ტონი ისეთი უნდა იყოს, რომ თანამოსაუბრე ჩვენს ხმას შეეწიოს (ამასთან, ღიმილი აუმჯობესებს ტემპრს), სახელის შეხსენება კი უმჯობესია გვარის შემდეგ, ბოლოს.

არასწორია:

- საიდან არის? ვინ ლაპარაკობს? ვისი ბინა?
- გცალიათ? (პასუხი გულწრფელი მაინც არ იქნება)
- ბოლიშს ვიხდი, ხომ ვერ მეტყვით (ძველმოდურ-პროვინციულია).
- ვინ კითხულობს? რა საკითხზე რეკავთ?

სწორია შეკითხვა:

- გამარჯობათ (პაუზა) უნივერსიტეტიდან გაწუხებთ, მაისურაძე ვარ, გია.
- თათბირი ხომ არაა? გაქვთ (თავისუფალი) ორიოდე წუთი?
- შეგიძლიათ ლაპარაკი? (მობილურის ნომერზე)

ამის შემდე საჭიროა პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ (ჩვენთან ესეოდენ გავრცელებული, უკვე მოსაწყენ ფორმალობად ქცეული „თავაზიანი ნაწილის“ გარეშე).

ჩვენს სინამდვილეში ხშირია შეუფერებელ დროს (საქმიანი საუბარი, თათბირი, ინტერვიუ და სხვა) აწკრიალებული ტელეფონი. მათი უმეტესობა რიგითი გამოძახებებია, ასე რომ,

გამოცდილი მენეჯერი არ მოხვდება „ძალზე მნიშვნელოვანი“ ზარების ხაფუანგში და შეეცდება ისინი მინიმუმზე დაიყვანოს.

საერთოდ, საქმიანი ადამიანი ყურმილს პირველი არც უნდა იღებდეს. ეს ხომ მდივნის (თანაშემწის) მოვალეობაა.

სწორია პასუხი:

- მაპატიეთ, კოლეგა, ახლა თათბირია, დარეკეთ 20 წუთში...
- უკაცრავად, გასულია, შეიძლება თავად დაგირეკოთ?
- ახლა დაკავებული ვარ, თუ შეიძლება მერე თვითონ დაგირეკავთ.

ამ გზით მენეჯერი თავისუფლდება პირდაპირი (ხშირად ემოციებით დამუხტული) გამოძახებისაგან. სამაგიეროდ მდივნი მას წარუდგნს უკვე „გაფილტრულ“, მხოლოდ აუცილებელ ტელეფონის ნომრების სიას. ეს კარგად ესმით ამერიკელებს: მათ არ უყვართ ტელეფონის ნომრის მიცემა („თვითონ დაგირეკავთ“), არც ყურმილის აღება. შემოსულ ინფორმაციას (შინ, ოჯახშიც კი) ავტომობასუხე აფიქსირებს. მენეჯერი, „სპიკერფონის“ რეჟიმში უსმენს, მაგრამ ყურმილს მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე იღებს.

ასეთ ოტიმალურ პირობებში მომუშავე მენეჯერს აღარ სჭირდება ჩვენთან ესოდენ პრესტიული 4-5 ტელეფონი მაგიდაზე. ეს დღეს უკვე ანაქრონიზმად ითვლება.

ცხადია, სატელეფონო საუბარზე ვრცელდება ის წესები, რომლებიც რეკომენდირებულია სტანდარტული

(უტელეფონო) საქმიანი საუბრისას: დარეგამდე ზელთ უნდა გვქონდეს საჭირო დოკუმენტი, ავტოკალამი, დროის სარტყელების სქემა (საერთაშორისო კავშირისას) და სხვ. წინასწარ უნდა ვიფიქროთ შეკითხვაზე და პასუხის ვარიანტებზე, გვახსოვდეს რეკომენდებული ფრაზები („თქვენ ალბათ გინდოდათ... თქვენ შეიძლება დაინტერესდეთ“ და არა „მე მინდოდა... ...მე ეს მაინტერესებს“). მაგრამ „სტანდარტული“ საქმიანი საუბრისაგან განსხვავებით საქმიანი სატელეფონო საუბარი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს: აქ უკვე საჭიროა მინიპაუზები, ბერების (განსაკუთრებით თანხმოვნების) უფრო მკაფიო გამოთქმა, „სარკის ეფექტის“ გათვალისწინება (თუ ჩვენ ხმამაღლა ვლაპარაკობთ, პარტნიორიც ასევე გვპასუხობს – ჰგონია, რომ არ გვესმის). არ შეიძლება ერთდროულად დიდი ინფორმაციის მიწოდება (შეიძლება დავაბნიოთ მოსაუბრე). ასევე, უნდა ვერიდოთ ხანგრძლივ საუბარს: „გაჯერების კანონით“ წარმოიშობა დაძაბულობა, ხოლო ჩვენი სახის მიმიკის (ხმის ტემბრით) გრძნობის მოსაუბრე.

მოსალოდნელი რთული საუბრისას, დაგვეხმარება ღრმა სუნთქვა, წელში გამართვა, სკამის ზურგზე მიყრლობა, ან ფეხზე ადგომა (მეტი ჰაერი ფილტვებში). ამიტომაცავა, რომ ინსტიქტურად თანმაღებობის პირთან საუბრისას სკამიდან წამოდგებიან-ხოლმე, ხოლო მოსაუბრის გუნება-განწყობის უკეთ გაგების მიზნით, ფურმილი მარცხ-

ენა ყურთან უნდა გვეჭიროს (ემოციების ნახევარსფეროს სწორედ ის ემსახურება), ერთდროულად, მარჯვენა ხელი თავისუფალია ჩანაწერებისათვის. თუ ცუდ გუნებაზე ზართ, უმჯობესია საერთოდ თუ არ დავრეკავთ.

ცნობილია, რომ როცა ვინმე გველოდება დასარეკად, მაშინ უფრო მეტს ვლაპარაკობთ („ტერიტორიული ინსტიქტით“).

ცუდი სმენადობისას, სიტყვების გადაცემას, ჩვენს პრაქტიკაში, ცალკეული ბერებით (ადამიანის სახელებით) ვახერხებთ. საინტერესოა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ესეც სტანდარტიზებულია, რათა ექსტრემალურ პირობებში (პოლიციელი, მეხანიკე, ექიმი) ან საქმიან საუბარში გამოირიცხოს გაუგებრობა.

ინგლისურნოვან ქვეყნებში ამ წესს უკვე სკოლის სახელმძღვანელოდან ასწავლიან:

Alfred	Jack	Samuel
Benjamin	King	Tommy
Charlic	London	Uncle
David	Marry	Victor
Edvard	Nelie	William
Frederik	Oliver	X-ray
Georgie	Peter	Yellow
Hurry	Queen	Zebra
Isaac	Rober	

ჩვენ შევეჩვეთ, რომ საქართველოს ქალაქებში 4-7 ციფრიანი ტელეფონებია, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნების ნომერში ათი და მეტი ციფრია. ამიტომ, დამახსოვრების მიზნით, ნომრის ასაკრეფ ღილაკზე (0 და 1 გარდა) ციფრებს ასოებით ცვლიან (სამი

ასოდან ირჩევენ ერთ-ერთს, რომ მარტივი სიტყვა გამოვიდეს) მაგალითად, ნომერი 103-25-39 იგივეა, რაც 103 ALEX.

ტელეფონმა, რომელიც ერთი სუკუნეა, თოთქმის არ შეცვლილა, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი მოღვარიზაცია განიცადა: ფართოდ გავრცელდა ფიჭური სისტემები, სერვისის სხვადასხვა სახეები, ჩვენთანაც გამოჩნდა „სუპერტელეფონი“ ინტერნეტ-ტელეფონი...

საიმედოობის გაზრდის მიზნით, დისკიანი (იმპულსური) აპარატი გამოდევნა ღილაკიანმა (ტონალურმა) აპარატმა, რომელიც უკვე ადვილად ერთიანდება საოფისე (მინი) სადგურში, სადაც ერთ ხაზს (ნომერს) რამდენიმე აპარატის მომსახურება შეუძლია (მუსიკალური პაუზით).

ტელეფონის აპარატს გაუჩნდა გასაღები (საქალაქთაშორისო კოდების ბავშვებისაგან დასაცავად), შემოსული ნომრის ავტომატური ამოცნობის ინდიკატორი, რადიოყურმილი მენეჯერისათვის, რომელიც ხშირად იცვლის სამუშაო ზონას (ზაზთან მიერთებულია მხოლოდ ძირითადი აპარატი), აკრეფილი ნომრის ინდიკატორის (კურსორის) დუბლირება „ადამიანის ხმით“ (მიკროპროცესორით), შემოსული და გასული ზარების მეხსიერება (თარიღი, ხანგრძლივობა) ასეულობით ნომერზე, ელექტრონული „ბლოკნოტი“ ჩანაწერებისათვის, რამდენიმე „მაღვიძარა“, რომლებიც დღის რეზის გვახსენებს, „შავი სია“ არასასურველი ნომრების ბლოკირებისათვის, ოფისიდან გასვლისას ნომრის სხვა ხაზზე (ავ-

ტომანქანა, ბინა) გადამრთველი. გარდა ამისა, კომპიუტერთან შეერთებულ ტელეფონს („ხმოვან მონაცემთა ბანკი“) შეუძლია მდივნის ნაცვლად დაურეკოს კლიენტს.

სულ უფრო მეტ გავრცელებას პოლობს წერილზე სწრაფი და ტელეგრამაზე ვრცელი მონოლოგი – ტელეფონოგრამა. მისი ტელეფონით კარნახი და ჩაწერა წარმოებს პირველ პირში. სატელეფონო საუბრისგან განსხვავებით, ტელეფონოგრამას დოკუმენტური, იურიდიული მნიშვნელობა აქვს, შეიძლება მისი მრავალჯერადი გამოყენება და ამდენად, საარქივო დამუშავება.

ფიჭური („მობილური“) ტელეფონის რამდენიმე სტანდარტიდან ჩვენთან, ძირითადად, გავრცელდა ევროპული ციფრული სტანდარტი GSM-900.

ფიჭური ტელეფონის სერვისი სულ უფრო უმჯობესდება: გამოჩნდა მიკროფიჭური ქსელები (1 კმ-ზე ნაკლები რადიუსის საბაზო სადგურებით). ხმის (ვოის-მაილ) ფოსტა (მომსახურების ზონიდან გასული აბონენტი ზონაში შემოსავლის შემდეგ მიიღებს შეტყობინებას, რომელიც შენახულია სადგურის მაგნიტოფონზე), ერთდროულად ორდიაპაზონიანი (მაგ. 900 და 1800 მჰც) ტელეფონი შეერთების დასაჩქარებლად, წინასწარ გადახდის („ამოსაფხევი“) ბარათები, ინფრაწითელი ხაზი მეზობელ აპარატთან საუბრისათვის, ტელეფონები ელექტრონული კალენდრით, რომელშიც ჩაწერილია დაბადების (ან სხვა) დღეები, რადიომიმღებით და სათანადო ფურსაცმით, კომპიუტერული თამაშებით, დარტყმის

გამძლე და წყალგაუმტარი აპარატებიც კი. ფიჭური ტელეფონი იმდენად გავრცელდა მთელ მსოფლოში, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (რეკლამის მიზნით) აპარატებს უფასოდ გასცემენ, ხოლო

10 წლიდან ბავშვებს, მშობლისაგან კონტროლის მიზნით, მობილური ტელეფონი აქვთ, ამას მოჰყვა საუბრის საშუალო ხანგრძლივობის (რომელიც უკანასკნელ დრომდე 2.5 წუთს არ აღემატებოდა) გაზრდა და ქსელის გადატვირთვა.

ფიჭურ ტელეფონს საყოველთაოდ ცნობილ დადებით მხარეებთან ერთად, უარყოფითიც აქვს: მას სჭირდება აკუმულატორის სისტემატური დამუხტვა, თუ დაგვაგიწყდა გამორთვა, შეიძლება განწყობა გაგვითუჭოს საინტერესო სკექტაკლზე, ლექციაზე და სხვ., ამასთან დაუცველი ვართ ზედმეტად თამამი ადამიანებისაგან; ხშირია გავრცელების ცუდი ზონა, კავშირის გაწყვეტა, მათ ხშირად იპარავენ პრესტიული მოსაზრებით (და არა მარტო ჩვენთან).

თუ საუბრის დროს ტელეფონი გაითიშა, არსებობს წესი: რეკავს მხოლოდ საუბრის ინიციატორი (რათა ერთდროული გამოძახებით ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ).

ფიჭურმა ტელეფონმა ძალზე შეცვალა მფლობელთა ფსიქოლოგია: ისინი აღარ ერიდებიან საუბარს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კონცერტზე, დაკრძალვაზე, ლექციას თუ თათბირზე,

ოფიციალურ სუფრაზე (მიღებაზე), საჭესთან ყოფნისას. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში გამოჩნდა ბრომურები მობილური ტელეფონით სარგებლობის ეტიკეტზე.

„მაპატიეთ, მაგრამ ძალიან დამჭირდა... მოითხოვს სატელეფონო ეტიკეტი საზოგადოებრივ ადგილებში მობილური ტელეფონის ხმარებისას (ისევე, როგორც ცხვირის დაცემინებაზე ცხვირსახოცის ამოღებისას).“

განსაკუთრებით საშიშია ტელეფონით სარგებლობა ავტომანქანის მართვასთან ერთად (უნდა სასწრაფოდ შევწყვიტოთ საუბარი, თუ თანამოსაუბრე საჭესთანაა).

საზოგადოება იძულებული მობილურ ტელეფონების მფლობელებს ისევე მოექცეს, როგორც თამბაქოს მწეველებს: გამოყოს მათთვის ცალკე ვაგონები ტრანსპორტში, მაგიდები რესტორანში, გააკრას გამაფრთხილებელი ნიშნები და წარწერები, შემოიღოს წინასწარი განცხადებები (სკექტაკლი, ლექცია).

და ბოლოს, 1988 წელს აშშ-ში გამოჩნდა და ამჟამად ყველა სოლიდურ ფირმაშია კომპიუტერული, ინტერნეტ-ტელეფონი (I Phone) ესაა ფაქტობრივად ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი მიკროფონით, რომელსაც უფრო უკეთესი სმენადობა და უფრო იაფი ტარიფები აქვს, ვიდრე ფიჭურ ტელეფონს.

მართვის პულტურა

საოცის ეფიკატი სამშაო გაგიდაზე

საოცის სივრცის ორგანიზაციის სამი ძირითადი ტექნოლოგია არსებობს: ტრადიციული (კაბინეტური), „ღია ოფისი“ (ყველა ერთ დარბაზში) და კომბინირებული (ჩამოთვლილი ორის კომბინაცია, მინებით იზოლირებული დარბაზი).

კაბინეტური სისტემის ნაკლი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. გარდა იმისა, რომ ის უსაქმურ ატმოსფეროს უწყობს ხელს, არაფორმალური დაჯგუფებების და კონფლიქტების წყაროცაა. ღია ოფისს (Open Space) ეს ნაკლი არ აქვს – იქ არავითარი საიდუმლოება არ არსებობს – ყველაფერი „ხელისგულზე“, მაგრამ ეს ხელს უშლის ზოგიერთი პროფესიის მუშაკებს (მაგ. იურისტებს). კომბინირებულ ვარიანტში კი გაერთიანებულია ორივე სისტემის უპირატესობა. იქ მუშაობენ თანამედროვე პრინციპით „გამჭვირვალე ოფისი – ერთიანი გუნდი“.

თანამედროვე საოცის ავეჯის დიზაინის უუძემდებლად გნინალური ფრანგი არქიტექტორი ლე-კორბუზიე ითვლება. შიდასაოცის სივრცის დაპროექტების მისეული იდეები დღემდე მაღაშია. თუმცა, ალბათ გლობალიზაციისა და ავტომატიზებული სამუშაო ადგილების ეპოქა (კომპიუტერი, ფაქსი, ქსეროქსი და სხვ.) გარკვეულ

კორექტივებს მოითხოვს...

ავილოთ თუნდაც „შემოქმედებითი უწესრიგობა“ სამუშაო მაგიდაზე, რომელიც „მოდაში აღარაა“ და მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ მენეჯერს ორგანიზებულობა აკლია.

ყველაზე უხეში და ფართოდ გავრცელებული შეცდომაა – საწერ მაგიდაზე (და არა მის გვერდით) განლაგებული კომპიუტერი. მომსვლელი კაბინეტის მფლობელს ესაუბრება ფაქტიურად მონიტორის და სისტემური ბლოკის კაბელების „ტყის“ ფონზე.

ფაქტობრივად, ორი საქმიანი ადამიანი საუბრობს ისე რომ, ერთმანეთს წესიერად ვერც ხდავს. არც დოკუმენტის (წიგნის) ერთად განხილვაა მოსახურებელი, მაშინ როცა საქმიანი ეტიკეტი მოითხოვს, რომ სივრცე თქვენსა და მოსაუბრეს შორის არაფრით არ იყოს დაკავებული.

ასევე გამნელებული კონტაქტი მენეჯერთან, რომლის მაღალზურგიანი სავარძელი განათებული ფანჯრის ფონზეა და ამიტომ მისი სახე კარგად არ ჩანს*.

თავისი ეტიკეტი აქვს პლასტმასის სასაბუთე თეფშების გამოყენებასაც (ზოგან ასეთი თეფშების „ცათამ-ბრჯენებს“ ნახავთ). სასაბუთე თეფშების რაოდენობა ხუთს არ უნდა

* საინტერესოა, რომ ამბიციურ ადამიანებს დიდი სივრცე უყვართ, (დიდი კაბინეტი, დიდი მაგიდა), ამიტომაცაა რომ ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, განსხვავებით კოლეგებისგან, მათ ისევ დიდ მაგიდებთან ვხედავთ.

აღემატებოდეს, ზედმეტი დოკუმენტები კი კარადაში (საქალალდეში) უნდა იყოს – მით უმეტეს თუ ინფორმაცია კომერციული ან კონფიდენციალურია.

სამუშაო მაგიდა არ უნდა იყოს გადატვირთული ბლოკნოტებით, უურნალ–გაზეთებით, კომპიუტერის დისკებით (ხშირად – საფერფლის მეზობლად), ზედმეტი ავტოკალმებით. საეჭვოა, რომ ასეთი მაგიდა მოეწონოს თქვენს კლიენტს, პარტნიორს და შეიძლება „აქტიური მუშაობის“ უნიჭოდებონსტრაციად ჩათვალოს.

მაგიდაზე არ უნდა დავტოვოთ დაჭმუჭნული ქაღალდები და პირადი ნივთები (სავარცხელი, ნახმარი ფინჯანი, მედიკამენტები, გასაღებები, სუნამო, პომადა და სხვ.). მაგიდაზე არ უნდა იყოს წიგნი ან უურნალი, რომელსაც კავშირი არ აქვს თქვენს ძირითად საქმესთან.

ჩვენს სინამდვილეში (მაღალი თანამდებობის პირებსაც კი) სამუშაო ადგილზე გამოფენილი აქვთ კულტის და რწმენის სიმბოლოები (ხატები, ჯვრები, სანთლები და სხვ.), რაც (ცხადია, ეწინააღმდეგება საოფისე ეტიკეტის. ასევე არა მიღებული საკულტე, აგრესიული ან ეროტიკული შინაარსის კედლის კალენდრები).

სამაგიდებო, კედელზე შეიძლება იყოს თქვენი და პლომები და საფირმო კალენდარი. კომპიუტერის ან კედლის „აჭრელება“ მიკრული ქაღალდის ფურცლებით (მით უმეტეს – პირადი შინაარსის ჩანაწერებით) ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თქვენ არ ხართ მობილიზებული და საქმეების დაგეგმვა არ შეგიძლიათ.

ეტიკეტის თანახმად, მაგიდაზე შეიძლება იყოს ოჯახის ფოტო, უბრალო ფინჯანი ლამბაქით, მობილური ტელეფონი, სათვალის ბუდე, სავიზიტო ბარათები, თქვენთვის მნიშვნელოვანი სუვერინი, ყვავილები.

სამუშაო ადგილზე შეუფერებელია ჭიქები, საშაქრე, ლარნაკი კანფეტით, ბუტერბროდები, ნამცხვარი და სხვ. ყველაფერი ეს შეიძლება მხოლოდ შესვენებისას, სამუშაო დროს კი „სამალავშია“ შენახული.

ინდივიდუალური ელექტრული ჩაიდანი არ უნდა „ამშვენებდეს“ ყოველ სამუშაო ადგილს – საჭიროა ერთი საერთო, რომელშიც ის, ვინც თავის ფინჯანს ბოლოს შეავსებს, მაშინვე ხელახლა ჩართავს.

თუ თქვენ ელიტურ ხარისხიან ჩაის ამჯობინებთ, ჩაის მოსახარშად ჩაიდანი ისეთი „ცხვირით“ შეარჩიეთ, რომ „ბადე“ არ დასჭირდეს – ეს შეუფერებელია ოფისში. ფინჯანები არ უნდა იყოს უცნაური, არასტანდარტული ზომის, სასაცილო (ან უხამსი) ნახატებით. საოფისე ფინჯანებსაც კი ოფიციალურობის ელფერი უნდა დაკრავდეს. ჩაის ფინჯანს და ლამბაქს შორის ქაღალდის ხელსახოცს დებენ, რათა შემთხვევითი წვეთები არ მოხვდეს კლავიატურას, საქმიან ქაღალდებს ან ტანსაცმელს (ხმაურიც ნაკლები იქნება).

შემოთავაზებულ ჩაიზე უარს არ ეუბნებიან (აწვდიან ჯერ ასაკით უფროს ქალს). როცა ჩაის ხელმძღვანელს მისაღებში (ან სხვა კაბინეტში) მიირთმევთ, თუ მაგიდა შორსაა თქვენგან, შეიძლება ლამბაქის ხელისგულზე (მკერდის სიმაღლეზე) დადება.

ჩაის ერთი და იგივე პაკეტის რამდენჯერმე გამოყენება – ცუდი ტონია. გამოყენებული პაკეტი უნდა გამოვწუროთ კოვზით და დავდოთ ლამბაქზე. ლიმონი კი – პირიქით, ფინჯანში უნდა დავტოვოთ (აյ საოფისე პტიკეტი წინააღმდეგობაში მოდის ე.წ. – საჩაიე ცერემონიალთან).

ეტიკეტით არა მიღებული ჩაის ბოლომდე დალევა (რათა უკანასკნელ მოქმედში თავი ბოლომდე არ გადავწიოთ).

ჩაიზე ყოველი შემოსწორებული კოლეგის მოწვევა აუცილებელი არაა, მაგრამ თუ კი თქვენთან კლიენტი (პარტნიორი) შემოვიდა ხანგრძლივი (15 წუთზე მეტი) საუბრისთვის – შესთავაზეთ ჩაი (ყავა).

საოფისე ეტიკეტით, სუნამოს ხმარებასაც თავისი წესები აქვს, საქმიანი ქალის კოლეგის მაგიდა თუ სამ მეტრზე ახლოსაა, უმჯობესია თუ სუნამოსგან თავს შეიკავებს, და უპირატესობას ოდეკოლონს ან ტუალეტის წყალს მიანიჭებს.

სუნამოს შერჩევისას ბევრი ნიუანსი უნდა გავითვალისწინოთ: წონა, კანის ფერი, სპეციალობა, სიმაღლე, ჩაცმის მანერა, დღის პერიოდი, სეზონი და სხვ. მაგალითად, საშიახურში წასვლის წინ გავრცელებული შეცდომაა, როცა ქალი ცდილობს რომ „სუნამო მთელი დღის განმავლობაში ეყოს“, დღის ბოლომდე არომატი მაინც ვერ შენარჩუნდება, ხასიათს კი თქვენს კოლეგებს დილიდანვე გაუფუჭებს (უმჯობესია,

ფლაკონის თან წაღება და დღეში რამდენჯერმე გამოყენება). დილის სუნამოს სუნი (ისევე, როგორც ცხელ სეზონში) მსუბუქი უნდა იყოს (ასეთია ციტრუსული ან ზღვის არომატები ოზონის შევერილობით). ზაფხულში კი მათ შეიძლება დაემატოს ყვავილოვან–ხილოვანი არომატები.

ყველა ქვეყნისათვის ერთიანი ეტიკეტი არ არსებობს და ზოგჯერ რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მაგალითად, ამერიკელებს კაბინეტის კარი ღია აქვთ (რადგან თვლიან, რომ მენეჯერი გარემოცვის განკარგულებაშია და თანამშრომლებთან დასამალი არაფერი აქვს), მაშინ, როდესაც ღია კარები გერმანელებში მოუწისრიგებლობის მაჩვენებელია, ამერიკელს არ შეუძლია არ დაელაპარაკოს ოთახში კოლეგას, დიდ ბრიტანეთში კი ეს მიღებულია.

ქვეყნის თანამედროვე დინამიური ცხოვრების ახალი მოთხოვნები, უცხოელებთან გახშირებული კონტაქტები, „ელექტრონული ოფისის“ მოთხოვნები სამუშაო ადგილის ტრადიციული გაფორმების ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

ალბათ, ისევე, როგორც ყველაფერში, აქაც „ოქროს შუალედია“ გამართლებული და განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ორგანულად უნდა შეერწყას მსოფლიოში აღიარებულ ტრადიციულ ქართულ ფასეულობებს.

მართვის პულტურა

საქმიანი პდემიანის გარებანი 08030

საქმიანი ადამიანის გარეგანი მოწ-
ესრიგებულობა, იერი პირველი ნაბიჯია
წარმატებისკენ, რადგან პოტენციური
პარტნიორისთვის თქვენი კოსტიუმი,
ხელჩანთა თუ ფეხსაცმელი ერთგვარი
სიგნალის, კოდის როლს ასრულებს.
ეს კოდი მიუთითებს ადამიანის რე-
სპექტაბელობას, საქმეებში წარმატე-
ბასა და საიმედოობას.

კოსტიუმი. საშუალო დონის
მიღებებზე, რომლებიც საღამოს 8 საათა-
მდე იწყება, შეიძლება ნებისმიერი კო-
სტიუმის ჩაცმა (გარდა „მყვირალა“
ფერებისა). ოპტიმალურია მუქი—ლურ-
ჯი ან თაგვისფერი. რასაკირველია, არ
ღირს მოლაპარაკებაზე მისვლა კურ-
ტაკებში, სპორტულ შარვლებში (ჯინ-
სებში), ტყავის პიჯაკებში და სხვ.

პიჯაკი, როგორც წესი, იკვრება
ყველა ღილზე, ქვედას გარდა (რომელ-
იც არასდროს არ იკვრება). სამლილ-
იან პიჯაკზე გახსნილია ზედა ღილიც.
შეკრული პიჯაკით შედიან თათბირზე
ნაცნობებთან, რესტორანში, თეატრში,
გამოდიან ჭრიბუნასთან. ღილების შეხ-
სნა კი შეიძლება სუფრასთან ან სა-
ვარძელში.

შარვალზე, თუ დაჯდომისას ჯი-
ბის ხაზი ჩანს, შარვალი პატარაა.
სქელძირიან ფეხსაცმელზე სქელი
ნაჭრისგან დამზადებული შარვალი
უნდა ვატაროთ და პირიქით, თხელ-
ლანჩიან ფეხსაცმელზე მიღებულია
მსუბუქი ნაჭრისგან შეკერილი.

შარვალი მოკლეა, თუ სიარული-სას მოჩანს წინდები, ხოლო ვინც სწრაფად დადის, მისი შარვლის სი-გრძე უფრო მეტი უნდა იყოს. ტოტე-ბზე გადმოკეცილი შარვალი ოფიციალ-ურ შეხვედრაზე არაა რეკომენდებუ-ლი.

პერანგი უნდა იყოს თეთრი, გახამ-
ებული ან რბილი საყელოთი, კევაზე
პიჯაკზე ერთი სანტიმეტრით ზევით.
პრესტიჟულია პერანგი გრძელი სახე-
ლოებით.

ქალი, ბიზნეს-ლეგი, რომელიც მი-
ისწრაფვის წარმატებისკენ, თავის იერ-
სახეს ბიზნესს უქვემდებარებს. საქმი-
ანი ქალის ტანისამოსისთვის დამახა-
სიათებელია კლასიკური ფორმები,
მრავალფუნქციურობა, არასექსუალობა.
ძირითადი სამოსია—კოსტიუმი (კაბა
შეიძლება მხოლოდ სიცხეში და ისიც
— ერთი ტონის). ქალის ტანისამოსის
ფერების არჩევანი უფრო ფართეა, ვი-
დრე მამაკაცის. კლასიკურია მუქი-
ლურჯი ფერი, გავრცელებულია წითე-
ლი, მუქი—რუხი და ყავისფერი. ძლიერ
პიროვნებად გამოგაჩნთ ლურჯი, მუქი
ნაცრისფერი ან ზოლიანი კოსტიუმე-
ბი, და პირიქით, ღია ლურჯი და ღია
ნაცრისფერი ნაკლებად მკაცრ შთაბე-
ჭდილებას ტოვებს. პიჯაკის ჩაცმა
შეიძლება შარვალზე, მოკლე კაბაზე,
სარაფანზე.

– ქვედატანის ტრადიციული სიგრძეა

რომელსაც მოკლე ჭრილი ამშვენებს. ზოგიერთ ფირმებში შარვალი დღემდე მიუღებელია, ამასთან შარვალის სტილი მხოლოდ მამაკაცური უნდა იყოს. რასაკვირველია, დაუშვებელია ბლუზონი, მაისური, კაბა ღრმა დეკოლტით, მალიან ვინწრო კაბა (შარვალი), გამჭვირვალე ტანსაცმელი, დიდი და მკვეთრი სამკაულები.

ვარცხნილობა, მაკიაჟი და ბიუტერია ორგანულად უნდა აქსებდეს თქვენს საქმიან კოსტიუმს. ვარცხნილობა უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ ერთდროულად, ელგანტურიც. აქსექსუარები უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლები. კოსტეტიკა კი ჩანდეს მხოლოდ ახლო მანძილზე, სუნამოს სუნიც ოდნავ უნდა იგრძნობოდეს.

ზაფხულის ტანსაცმელისადმი საქმიანი ეტიკეტი უფრო მკაცრია. პიჯაკი მამაკაცისთვის აუცილებელია (მოკლე სახელოიან პერანგზე ჰალსტუხის და პიჯაკის ტარებაზე ერთიანი აზრი არ არსებობს).

ქალებს პიჯაკის გარეშეც შეუძლიათ იარონ, თუმცა ზაფხულის კაბები და სარაფნები არ ითვლება საქმიან ტანსაცმლად.

ქალი ზაფხულშიც კოლგოტებში ან წინდებშია (თანაბარი ტექსტურით და ნეიტრალური ფერის, მქრქალი, ლაიკრის გარეშე). გოლფები და მოკლე წინდება შეიძლება მხოლოდ შარვალთან.

ჰალსტუხი საქმიან ადამიანს თვითგამოხატვის დიდ საშუალებას აძლევს. ოფისში მიღებულია მხოლოდ კონსერვატიულ-კლასიკური (და არა

მოდური) სტილის ჰალსტუხები: მუქი – რუხი, მუქი – ლურჯი, ბორდო, ხაჭი. ჰალსტუხის ფერი უნდა იყოს პერანგზე უფრო მუქი და კოსტიუმზე ღია. მისი ნახატი პერანგის ნახატს არ უნდა იმეორებდეს: თუ პერანგი ზოლიანია, ჰალსტუხი ერთი ტონის უნდა შეირჩეს. ჰალსტუხის ვიწრო მხარე არ უნდა ჩანდეს. არსებობს ჰალსტუხის შემდეგი ტიპები – ხელით შესაკრავი, შეკრული კვანძით და ჰალსტუხი – „პეპელა“.

ჰალსტუხმა უნდა დაფაროს ქამრის ნახევარი (ან ოდნავ ქვემოთ).

ქამრის ფერი ფეხსაცმლის ან საათის სამაჯურის ფერს უნდა ემთხვეოდეს, ზომის შერჩევისას კი მესამე ნახვრეტს იყენებენ.

ფეხსაცმელი. კლასიკური და უნიკურსალურია შავი ფეხსაცმელი, რომელიც პრატიკულად ნებისმიერ კოსტიუმს შეეფერება (ყავისფერი ფეხსაცმელი შავ კოსტიუმს არ უხდება). ელეგანტურ შთაბეჭდილებას ტოვებს ფეხსაცმელი ზონრით.

ამჟამად ათვისებულია სპორტულად სტილიზებული (ოღონდ არასპორტული) ფეხსაცმელი და სანდლები. თუ ადრე არ იყო მიღებული ფეხსაცმლის შიშველ ფეხზე ტარება, ახლა ეს დაშვებულია. ამიტომ სანდლებს შიშველ ფეხზე იცვამენ, წინდებში მათი ხმარება კი ცუდ ტონად ითვლება.

ფეხსაცმელი კარგად ინარჩუნებს ფორმას, თუ შენახვისას მას ქაღალდის ხელსახოცებით დავტენით.

ქალის ფეხსაცმელი ტყავის ან უამშისაა, დაბალ ან საშუალო ჭუსლზე.

გამორიცხულია სპორტული და კაუჩუკის ქესლიანი ფეხსაცმელი.

ზაფხულში ფეხსაცმელი უნდა იყოს მხოლოდ ნატურალური ტყავის – მასში სიცხვე ნაკლებად იგრძნობა. ფერი – ნებისმიერი ნეიტრალური, რომელიც შეუფერება კასტოუშს, ქმარს, პორტფელს, ჩანთას. შეიძლება ღია ფერებიც, (მაგრამ არა თეთრი), ისიც ღია ფერის კოსტიუმზე და დღის საათებში. რასაკვირველია, მიღებაზე შეუფერებელია ღია ფეხსაცმელი, სქელლანჩიანი დახურული და სპორტული ფეხსაცმელი.

წინდებრ კოსტიუმზე მუქი ფერის უნდა იყოს, რათა კოსტიუმის ფერი ფეხსაცმლის ფერში გადავიდეს, ყველაზე კარგი ფერებია მუქი – ლურჯი, მუქი – რუხი, შავი. დაუშვებელია თეთრი ან ფერადი წინდები. საღამოს კოსტიუმში არ შეეფერება აგრეთვე ზოლიანი და უჯრედებიანი წინდები.

წინდის სიგრძე ისეთი უნდა იყოს, რომ დაჯდომისას არ ჩანდეს შიშველი ფეხი.

წვიმაში საქმიანი ადამიანი ლაბადითაა. ლაბადაზე ჩექმას არ იცვამენ. წვიმაში შეიძლება ფეხსაცმელი ან კალოშები (აյ იგულისხმება არა ტრადიციული, რეზინის, არამედ ამერიკული „საქმიანი“ კალოშები კაუჩუკისგან).

საკუთარ ოფისში მიღებულია ფეხსაცმლის გამოცვლა (როგორც მამაკაცისთვის, ისე ქალისთვის). ფეხსაცმელს ინახავენ მუჟაოს ფუთში ან სპეციალურ ნაჭრის პარკში (და არა ცელოფანში).

თუ ოფისში საერთო გარდერობი არაა, ლიფტში სველი ლაბადით არ

შედიან. მას იხდიან და გადაიკიდებენ ხელზე. ეტიკეტის თანახმად, ლაბადის ნაცვლად შეიძლება ვისარგებლოთ ცელოფნის ლაბადით (კაპიუშონით).

ქოლგა უნდა იყოს შავი, შავი-რუხი, შავი-ლურჯი, საქმიანი ადამიანისთვის ქოლგა აუცილებელია, რადგან კოსტიუმი, რომელიც წვიმაში მოხვდა, კარგავს ფორმას და არასდროს არ იქნება ისეთი, როგორიც იყო. შენობაში შესვლის წინ ქოლგას ხურავენ. ჩვენს სინამდვილეში, ქოლგას გაშლილად აშრობენ, ეს ეტიკეტის უხეში დარღვევაა, დასაკეც ქოლგას კი დებენ პაკეტში და ინახავენ უჯრეში.

ხელჩანთა. საქმიანი კოსტიუმი კარგად ახასიათებს ადამიანს, მაგრამ ჩანთა, რომლითაც ის დადის სამუშაოზე, უკეთ ხსნის მის ხასიათს. კარგი საქმიანი პორტფელი იმიჯის ნაწილია, რადგან ცუდად ჩატმული ადამიანიც კი პროფესიონალად გამოიყურება, როცა მას ხელში ჩანთა უკავია. და პირიქით, სავსე ხელჩანთა და პლასტიკატის პაკეტი უარყოფითად მოქმედებს თქვენს იმიჯზე.

ხელჩანთა – საქმიანი ადამიანის საკიზიტო ბარათია.

მსხვილი საკეტები, ლითონის ნაწილები ჩანთაზე, გრძელი ქამრები შესაკრავად, აღარაა მოდაში. საშუალო რგოლის მენეჯერები ამჯობინებენ მხარზე გადასაკიდ, ვერტიკალურ ხელჩანთას, რომელსაც ერთდროულად სახელურიც აქვს – პლანშეტს. მამაკაცის ხელჩანთის ფერებია შავი, ყვაისფერი, რუხი.

ქალის ხელჩანთა კი შეიძლება

იყოს წითელი ან ლაკირებული. პატარა, ისევე როგორც დიდი ხელჩანთები აღარაა მოძაში. ოპტიმალურია საშუალო ზომის.

ყველაზე მნიშვნელოვანი საგანი ჩანთაში კალმისტარია. ყველაზე პრესტიულია კალმიანი კალმისტარი (ოქროს კალამი არასდროს გამოდის მოდიდან). ყველაზე ძვირფასი კალმისტარი მოოქროვილი ან მოვერცხლილია. ამჟამად პოპულარულია ჩინური ლაქით დაფარული კალმისტრები, რომელზეც არ რჩება ნაკაწრი ან ცხიმის ნარჩენები.

სარკე უმჯობესია ცალკე იყოს – არ ღირს ხალხმრავალ ადგილას საპულეს დემონსტრაცია. გასაღებს ბუდე სჭირდება, რათა დანარჩენი ნივთები არ დაკაწროს, უმჯობესია თუ ბუდე იქნება ნატურალური ტყავის ან თანამედროვე – მტკიცე სინთეტიკის და ამასთან ერთად, ერთი ფირმის კოლექციიდან (ისევე როგორც საფულე, ბლოკნოტი, კოსმეტიკური ნაკრები).

ზოის სათვალეს ჩვენს სინამდვილეში ყველგან ატარებენ, მაშინ როცა შენობაში მისი ტარება ულამაზოა. საქმიანი საუბრისას მზის სათვალეს ისნიან – მაშინაც, თუ შესვედრა ღია ცის ქვეშაა: ეტიკეტი მოითხოვს, რომ პარტნიორები ერთმანეთის თვალებს ხედავდნენ.

თქვენი სამოსის ელემენტები ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იყენებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა დეტალი, დაწყებული ფეხსაცმლით და დამთავრებული ქუდით, ერთ ფერში იყოს.

თანამედროვე შეხედულებით, საკმარისია მხოლოდ წყვილების შეხამება (მაგ. ფეხსაცმლის და ჩანთის), ხოლო ზოგიერთ ფერებს, როგორიცაა შავი, თეთრი, მუქი რუხი, წყვილი სულაც არ სჭირდებათ.

ამრიგად გარევანი იმიჯი, ელეგანტობა კარიერაში ჩვენი წინსვლის ფაქტორია. ამიტომ ის მუდმივ ფურა-დლებას მოითხოვს.

რედაქციისაგან: რუბრიკა „მართვის კულტურა“
რომელიც შემდეგ ნომრებშიც გავრძელდება, მიყავს პროფესორ ომარ შუდრას

ბზები შევღიალუ /ნაწყვეტი რომანიდან/

მანქანა დამეში სწრაფად მიქოდა
და ასუალტაცვენილ ოღონობოდრო
გზაზე, ბრახუნსა და რყევას აღარ
ერიდებოდნენ. გარშემო საშიში, წებოსავ-
ით სქელი, განუჭრუტელ სიშაგვდ შედ-
ედებული დამე იდგა, არსაით არაფერი
ჩანდა, სადმე მცირე სინათლეც კი არ
კრთოდა, მანქანა თთქოს გრძელ და
ბნელ გვირაბში იყო შესული. საშიში
იდუმალებით სავსე ამ დაუსრულებე-
ლი გვირაბის დამთრგუნველი სიმბიმე
ტვირთივით აწვებოდა მანქანაში მსხ-
ლარ ორივე მგზავრს.

ჩაწერილი დამის მდორე სი-
ჩუმეში უცებ ქუნილის მსგავსი სრო-
ლის ხმა გაისმა, თოფის ქუნილს
საშინელი ჭახანი და მინტბის მსხვრე-
ვის ხმა მოჰყვა, მანქანის სალონში
გამყინავი შეუილით შემოიჭრა ქარი,
მოულოდნელობისგან მძლოლმა მანქა-
ნის სვლაც კი შეანელა.

— არ შეაჩერო, ჩქარა, ჩქარა, მოუ-
მატე, — მთელი ხმით დაიყვირა წინა
სავარძელში ღრმად ჩაწეულმა გიგა
მაჩაბელმა. საჭესთან მჯდარმა საშა
კაფლანიშვილმა მაშინალურად მოუმა-
ტა სიჩქარეს, თავდაუზოგავად მიქროდ-
ნენ, მძლოლი ფარებს ხან ანთებდა, ხან
თიშავდა, რომ ვიღაც სისხლმოწყურე-
ბული არამზადისათვის წყვდიად ღამეში
გზაზე მიმქროლავი სამიზნე დაეკარგა.
ჭუხილივით კიდევ გაისმა სროლის ხმა,
ერთხელ, მეორედ, მესამედ, მაგრამ ყვე-
ლა ტყვია მიზანს აკდა.

თითქოს სამშვიდობოს გასულები

— მგონი გადავრჩით, საშა, თან
შემთხვევით გადავრჩით, ნახევარი
მეტრით კი არა, სულ ერთი წამით
გავასწარით უეჭველ სიკვდილს, უფ-
ლის ძალამ გადავრჩინა, თავის გაგლე-
ჯისაგან დაგვიცვა. ძალობა ღმერთს,
მის სახელსა და ძლიერებას ვენაცვალე.

— ნამდვილად შემთხვევით გადა-
ვრჩით, თანაც რამდენიმე ტყვია იყო
ნასროლი, შენ რომ მოგზვედროდა,
უჟველად მეც მომზედებოდა, ახლა რას
ვნახავთ, მაგრამ ორივე უკანა ფანჯარა
სულ ჩალეწილია, ნაღდად ძალიან ახ-
ლოდან იყო ნასროლი, ორივე შხარე
გაიტანა.

— ჰო, ეტყობა ტრასასთან ახლოს
იდგა და ფარებანთებული მანქანა
გამოჩნდა თუ არა პირდაპირი დამ-
იზნებით გვესროლა, საოცარია როგორ
აგვცდა.

— ვინ იყო ის ოხერი, ის გარეწარი,
ამ შუალამისას რა ჯანდაბა უნდოდა.

— რას გაიგებ, ახლა ათასი მკვლელი დადის საშოვარზე, დაინახეს ღამეში ერთადერთი მანქანა და შეუბრალებლად გვესროლეს, რაიმეს შოვნის იმედი

ქონდათ, იქნებ სულაც მანქანა უნდოდათ, მე შენ გეტყვი მიღიცა გამოჩნდება საღმე, რამდენიც გინდა ისროლე.

— ტყვიამ ერთი ფანჯრიდან მეორუში გაიარა, ანუ მარჯვნიდან მარცხნივ, თუნდაც შუაში ღერძს რომ მოხვედოდა, ასხლტებოდა და ერთ-ერთს მაინც გაგვაცივებდა თუ ორივეს არა.

— ღმერთმა დაგვიფაროს, როგორც რამდენიმე წუთის წინ დაგვიფარა. უკანა გზაზე დილაადრიან უნდა გამოვიდეთ, სულ დღის სინათლეზე თუ არ ვიარეთ, ან ეს ველურები დაგვხმოცავნ ან ჩვენები, ახლა ყველა გამხეცებულია, ყველას რაღაც საკბილო და სახეირო უნდა.

მგზავრობის მიზეზი ქალაქ სოჭ-ში დაგეგმილი კონფერენციის ჩატარება იყო. 1991 წლის ნოემბერი იდგა, დასანგრევად გამზადებული და დაჭრილი დათვივით გაბოროტებული საბჭოთა კავშირი ანუ დიდმპყრობელური რუსეთი თავის ყოფილ ქვეშევრდომებს ჯერ კიდევ ვერ ელეოდა, შეხვდრის ჩატარებამდე კარგა ხნით ადრე ბევრჯერ დარეგუს დაპატიჟების მიზნით, თხოვდნენ ჩასვლას, მონაწილეობის მიღებას, ძალიან იყვნენ დამტებარები. ადრე ასე არ იყო, მოვიდოდა ბრძანება დეპეშის სახით ან ცივი ოფიციალური ხმით დარეკავდნენ და გინდოდა თუ არა უნდა დამორჩილებოდი. ახლა კი თხოვნა არ დაუკლიათ, ეტყობოდათ ძალიან ცუდად ჰქონდათ საქმე და კიდევ რაღაც შორეულ მიზნებით იმედებდნენ თავს, ზესტად წყალწალებულის მხრიდან ხავსის მოჭიდებას გავდა მათი საქციელი. ბოლოს ერთ დროს ზვიადმა თავმჯდომარებაც დარეკა და თხოვათ ჩასულიყვნენ ღონისძიებაზე.

გიგა მაჩაბელს და საშა ყაფლანიშვილს წასვლა სულაც არ უნდოდათ, ფიქრობდნენ რა დროს კონფერენციებია, ქვეყნა ინგრევა, მაგრამ დათავლულ თხოვებთან ერთად სოჭში განავარდების სურვილმა დაძლიათ, თან ჯერ კიდევ არ განელებოდათ რუსული ტლანქი, დაუნდობელი ხელმძღვანელობის შიში, ხელმძღვანელის პირადმა დარეკვამაც შეაფიქრიანათ.

— ინგრევა, ვამბობთ და ასეც არის, ინგრევა, იშლება, მიწასთან სწორდება, სამარცხვინოდ მთავრდება სამოცდა-ათწლიანი სისხლიანი ბატონობა, ემბობა სოციალურ-კომუნისტური ეპოქა. — ბობოქრობდა გიგა.

— ვთქვათ და არ დაშალა, მერე ხომ შურს იძიებდნენ, ვიღას გაახარებენ ბოლმით დატენილი ლოთები, — შეეპა-სუხა საშა, — ჯობია როგორმე გავი-ჭირვოთ, საქმეები გადავდოთ და ვნახოთ რა უნდათ, რას აპირებენ. მოდი, მანქანით წავიდეთ, როგორმე ბენზინი ვიშოვოთ, სოჭამდის ჩასვლას რა უნდა, ბოლო-ბოლო სულ ექვსასი კილომეტრია, შვიდ-რვა საათში ადგილზე ვიქნებით, თან ღვინოსა და არაყს გაუწვალებლად ჩავიტანთ, რომ ჩაიხ-ეთქონ მუცლები, მატარებლით მგზა-ვრობა კიდევ უფრო საშიშია, ყოველ-დღე სისტემატურად ხდება გამარცები და დაყრჩალება, იქნებ მანქანით უკოუ-სად შევძლოთ გაღწევა, რას ვაშავებთ, რა ხელი აქვთ ჩვენთან.

დილიდნენვე ბევრი საქმე გამოჩნდა, ასე თუ ისე სამყოფი ბენზინის შოვნაც ძლივს მოახერხეს, უკვე დღის ორი საათი იყო ქალაქიდან რომ გავიდნენ. ზამთრისპირის მოკლე დღე უცებ მი-

ილია, სენაკს გასცდნენ თუ არა კუპრივით ღამეც ჩამოწევა, თან მოძველებულმა რუსულმა ავტომანქანა „ვოლგამზ“ იმდენი ბენზინი დახარჯა, შეეშინდათ შეიძლება ვერც ჩავალწიოთო, ზუგდიდის გარეუბანში ბენზინგასამართი სადგურის წინ გაჭიმულ გრძელ რიგში ჩადგნენ. სინათლე არ იყო, ხელოვნური გზით მკრთალად განათებული სადგურის თანამშრომლების მიერ გაცხოველებით მიმდინარეობდა ბენზინის ჩასხმა და აუცილებელ წესად ქცეული მოპარვა. რიგი ნელ-ნელა მიიწვდა წინ, ყველა იხვეწებოდა ან იმუქრებოდა მეტი ჩაქსხათ, მაგრამ ვიღაცის მიერ დაწესებულ სულზე ოცლიტრს გამყიდველების თუ მოგაჭრების გუნდი არაფრით არღვევდა. ორ საათზე მეტხანს რიგში დგომის მერე საშას ორმოცი ლიტრი ჩაუსხეს, ის მაინც იხვეწებოდა – შორს მივდივართ, ორნი ვართ და ცოტა მაინც დაგვიმატეთო. მიშველების მიზნით გიგაც გადმოვიდა მანქანიდან, საშას შეეხმაურა და მყისვე უკან დაბრუნდა, რომ რამე არ მოეპარათ.

გზას უკვე გვარიანად დაღამებულში დაადგნენ, ზუგდიდში სინათლე აქა-იქ მაინც ბუუტავდა. გალის რაიონში გადავიდნენ თუ არა საოცრად ჩაწყვდიადებულ მიდამოში მოხვინენ, თან კოკისპირულად წვიმდა, წყალი ლვარებად ჩამოდიოდა წინა საქარე მინაზე. გიგამ თქვა ამ თავსხმაში სიარული ძალიან ძნელია, იქნებ ოჩამჩირის სასტუმროში გავათენოთ ღამე და დილადრიან წავიდეთო. სწორედ ამ დროს მოხდა მოულოდნელი სროლა, რასაც სასწაულებრივად გადაურჩნენ, სულ რაღაც

ერთი ან ორი წამით, სწორედ ამ წამმა გადაარჩინა ღამის მგზავრები, მანქანის მინები კი ორივე მხარეს ჩალენა.

საშინელ სიბნელეში ვერაფერს ხდავნენ, ვერც ხვდებოდნენ სად იყნენ, საით მიდიოდნენ, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მანქანის ფარების შუქით განათებული მოენის დანახვისას მიხვდნენ ოჩამჩირეს გადიოდნენ. წვიმა თითქოს კიდევ უფრო გაძლიერდა, გზაზე დიდი გუბები იდგა, მანქანა შხუილით ჭრიდა გუბებს, აქაფებული წყალი ორივე მხარეს სქელი ფარდებივით ეკიდებოდა მანქანას. სასტუმროს მიგნებაც კი შეუძლებელი იყო, შორუული იმედიც არ ჩანდა ვინმე დაენახათ და ეკითხათ საით წასულიყვნენ, გაჩერებაც ვერ გაძლეს, ისევ გაყინული და გარედან შემოსხმული წვიმით უხვად დასველებული მანქანით სიარული ამჯობინეს, სხვა გამოსავალს ვერც ხედავდნენ. მოულოდნელი სასტიკი შემთხვევით დაზაფრულები მომხდარის განხილვას თავს ვერ ანებებდნენ, ხან ერთი წამოიძახებდა ეს რა მოხდა, როგორ გადავრჩიოთ, ხან მეორე, თან ასკვნიდნენ, რომ საქმე ძალიან ცუდად იყო და ეს ღამის აუტანელი წყვდიადი აუცილებლად დღესაც გადაწვდებოდა, სწორედ ეს იყო საშიში, თორემ ღამით ადამიანს ჩვეულების მიხედვით ძილი ცოტა ხნით მაინც წაიღებდა, დღის სინათლეზე არეულობის გადატანა კი ღამეულ კოშმარებზე მეტად გაჭირდებოდა.

დროებით სიჩუმის ჩამოვარდნის დროს გიგას მოძალებულ ფიქრებში ისევ და ისევ სიბნელისა და ჩამოვარდნილი გაჭირვების სურათები

უტრიალებდა თვალწინ ძველი დაუკი-
წყარი კინოკალრებივით.

დამთრგუნველი სიბნელე და
გაჭირვება ქვეწის ახალ ხელმძღვანელო-
ბას თითქოს ფეხდაფეხ მოჰყავა. ეს რა
თქმა უნდა, ერთი ან ორი ადამიანის
ბრალი არ იყო, თავად საქართველოს
ედგა უშმიშესი ცხოვრებისეული პერი-
ოდი, ქვეყანა ერთბაშად ჩაწყვდიადდა,
ხალხს დაღამების თოფივით ეშინოდა,
ყველა დროულად გარბოდა სახლში,
სადღა იყო სამსახურის დამთავრების
დრო ან ცნობილი პიკის საათები, შე-
იარაღებული გარეწრების გარდა ყვე-
ლა ცდილობდა შინ მისვლა შედამე-
ბაძე მოესწრო, ოთხ კვდელს შეა მაინც
იქნებოდნენ გამომწყვდეულები, ქურდე-
ბი და ყაჩაღები თუ არ დაესხმოდნენ,
დილამდის მაინც გაიტანდნენ თავს.
დამთ ქუჩებში სიარული ძალიან სა-
შიში იყო, ათასი ჯურის დამწყები ან
გამოცდილი დამნაშავე დათარეშობდა,
ყველას ჰქონდა ნაშოგნი რევოლვერი
თუ ავტომატი და რახან ჰქონდათ
უმოქმედოდ ხომ არ გააჩერებდნენ, უნდა
ესროლათ კიდეც, გული ბოროტი
საქმებისთვის ერჩოდათ. ძველ ცხოვრე-
ბასთან შედარებით ქუჩა დამნაშავეებ-
ის ერთ-ერთ ძირითად ასპარეზს წარ-
მოადგენდა, თითქოს ბოროტების სა-
ბაუოდ გადაქცეულიყო, მძიმე გადასახ-
ადის გადაუხდელად ფონს ვერავინ
გავიდოდა, გადასახადი ძალითა და
სიცოცხლის ხელყოფის შიშით მიჰქონ-
დათ.

სიბნელე და უპურობა უბედურებ-
ის დაწყების ნიშნად იქცა. იმ გატან-
ჯული წლების დროს მთებში ძღე-
ბარე დაბაში უხდებოდა ზაფხულო-

ბით ერთი თვით ყოფნა, სწორედ ყოფ-
ნა, თორებ დასეგნება ამას არ ერქვა,
მთელი დღე აღმაღალმა დადიოდა, რომ
პატარა შვილიშვილისთვის, ოჯახ-
ისთვის პური ეშოვნა. პური გაცილებით
მცირე რაოდენობით ცხვებოდა, ვიდრე
წინა წლებში. ყველა რიგს იკავებდა,
ადგილობრივი მცხოვრებლებიც და
ჩამოსულებიც, ანუ დამსვენებლები, ვი-
ღიას ეცალა დასვენებისათვის, ან ვიღიას
უნდოდა, მაგრამ პატარა ბავშვებს ვერ
ტოვებდნენ თბილისის ბუღსა და სიცხ-
ეში, მზად იყვნენ მათვის ყოველგვარი
გაჭირვება აეტანათ.

ბევრი ადამიანი, დაბის მცხოვრებ-
ნიც და უცხოებიც, მათ შორის უფრო
მეტად ხნიერები და მოხუცები ღამე-
საც კი ათევზნენ პურის მაღაზიის ანუ
პურის წერტის გვერდით, რომ რიგი
არ დაეკარგათ, სხვებზე ადრე აეღოთ
და უპუროდ არ დარჩენილიყვნენ.

უკიდურეს გაჭირვებას გიგას
გაროულებული აგადმყოფობაც ერთვო-
და, ხშირად სიარული და სუნთქვაც
კი უძნელდებოდა, მაგრამ დაწოლისთვის
ვის ეცალა, მხოლოდ წვალებით ნაშ-
ოვნ წამლებს სვამდა. მოუხედავად ამისა
დილის ხუთ საათზე ფეხზე დგებოდა,
ფართო ეზოს იქთ სამსაროულიან
სახლში მცხოვრები, დიდი ხნის ახლო
მეგობარი თედო წამალაიძე ფან-
ჯარასთან ახლოს მოსული ხმადაბლა
დაუძახებდა ხოლმე წავიდეთო. სრულ
სიბნელეში გაივლიდნენ ეზოს, თან
საჭიროების შემთხვევაში ძალების
მოსაგერიებლად გრძელი გამოთლილი
ჯოხები ეჭირათ, მერე სოფლის ოღრო-
ჩოღრო შარას აუყვებოდნენ, ან თუ
ნაწვიმარი არ იყო, ფიჭვების მეჩერ

ტყეში გათელილი ბილიკით ადიოდნენ მოზრდილ მოედანზე. მოედნის გვერდით ერთ-ერთ ძეველ მაღაზიასთან სიბნელეში უკვე იდგა გრძელი რიგი, რიგს იკავებდნენ, მერე მოელი საათების მანძილზე ან მოლაპარაკებს უგდებდნენ ყურს ან თავადაც საუბრობდნენ. პური მხოლოდ კარგად გათენებულში, ათი საათისთვის მოჰქონდათ. გამოჩნდებოდა თუ არა პურის დანჯლეული მანქანა, რიგი აჩინებოდა იწყებოდა გასწორება, მიწვე-მოწვევა, ძახილი, ხმამაღალი ყაფანი, რიგი ძალიან ნელა, გულის შემაწუხებლად ნელა მიწვევდა წინ, რადგან თითქმის ყველა ეხვეწებოდა პურის გამყიდველ ქალს ან მის ქმარს ერთი პური მაინც დაემატებინათ. ისინი იყვნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონები, განსაკუთრებით გურგეველი წარმომავლობის ფართოსახიანი შავი ქალი, ანუ ცოლი აქტიურობდა, მისი ხმა და შეძანილები მთელ ქუჩას წვდებოდა. უკვე თერთმეტი-თორმეტი საათისათვის პარკში ჩადებული ორი პურით, ან ძალზე იშვიათ შემთხვევაში ვითომ სულადობით გათვალისწინებული ძალზე მცირეწონიანი სამი-ოთხი პურით, უკვე დაღლილები, მაგრამ მაინც გამარჯვებულის სახით ბრუნდებოდნენ შინ.

ასე ხდებოდა ყველგან, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში აუტანელი გაჭირვება სადგურდებოდა. ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას გიგამ გვიანი საღამოთი ნახა დილისთვის ერთი ნაჭერი პურიც აღარ მოეპოვებოდათ. დაურეკა მეზობელსა და უახლეს მეგობარს ბორია მესხს, პური აღარ გვაჲს, წავიდეთ რამე ვიღონოთო, ბორიას

ოჯახშიც იგივე სურათი იყო, მანაც სასწარფოდ ჩაიცვა და მეგობართან გადმოვიდა. გამაგრების მიზნით თითო ჭიქა კონიაკი გადაკრეს და წავიდნენ. ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა, ვაკისკენ მიმავალ პროსპექტს დადგნენ, ქუჩის არცერთი ნათურა არ ენთო, მხოლოდ მანქანების ფარები ანათებდნენ ჩალუსკუმებულ გამზირს. რიგის ქუჩის კუთხეში პურისა და სხვა პროდუქტების მაღაზიასთან გრძელზე-გრძელი რიგი იდგა, ნაცნობმა ბიჭჭა თქვა, წელან გამოგვიცხადეს მალე მოიტანენ პურსო. სხვა გზა არც ქონდათ, ჩაღნენ რიგის ბოლოს. რიგს კიდევ ემატებოდნენ და ემატებოდნენ მომსვლელები. ღამის თორმეტი საათი იყო დაწყებული, როცა ტროტუარზე უკანა სვლითა და მყრალი კვამლის უხვად გამოფრქვევით შემოვდა ათუთუხებული ომისდროინდელი პურის მანქანა. მაღაზიის ორ თანმმრომელს რიგში მდგარი ხალხის მიერ გამოყოფილი ხუთი-ექვსი კაციც მიემატათ და მანქანა რაც შეიძლებოდა მოკლე დროში დაცალეს. როგორც იქნა რიგმა მოაღწია, შორიდან ნაცნობმა პურის გამყიდველმა თვალის ჩაკვრის შემდეგ დიდი პატივი სცათ და ხუთ-ხუთი აშკარად დაპატარავებული პური ჩაუდოთ წინასწარ გამზადებულ ცელოფნის პარკებში. გახარჯულები გამოვიდნენ ქუჩაში, მაღაზიაში შესვლამდეც დაიწყო წვიმა, ორიოდე წუთში კი უცებ მოუმატა და თავსხმა წვიმა დაიწყო. წვიმა მაგარი შეუილით მოდიოდა, მანქანების შინებმაც ხმაურსა და შხუილს უმატეს. სადარბაზოებში შესაფარებული ადგილიც არ იყო, იმდენი ხალხი შეტენილიყო.

ხელი ჩაიქნიეს და კედელ-კედელ წავ-
ადნენ სახლისკენ. შეძლეომა აღგა, უკვე
გვარიანად ციონდა, წვიმა უსიამოვნოდ
ჩასდიოდათ კისერში, გალუმპული
ტანსაცმელი ტანზე ეკროდათ, არც
მანქანა ჩანდა, არც საქალაქო ტრანს-
პორტი, რომ სახლის სიახლოვეს მაინც
მისულიყვნენ. პურს უფრთხოლებოდნენ,
რაც შეიძლებოდა ხალათის კალთებს აფარებდნენ. წვიმა კი გადაკარებას არ
აპირებდა, დასველება და გალუმპვა
საშიში იყო, შეიძლება ფილტვების
ანთებაც აეკიდებინათ. ამ დროს გიგა
მაჩაბელს გამწვავებული ბრონქიტი
აწუხებდა, ბორია მესხს კი სიკვდილ-
ამდე მხოლოდ წელიწადნახევარი რჩე-
ბოდა, უკვე ჰქონდა დაწყებული უმბი-
მესი ლიმფური ავადმყოფობა. უცებ
მანქანების ფარების შუქზე მეუღლებს
შეეფეოთნენ, კოკისპირული წვიმა რომ
დაიწყო ქურთუკები და ქოლგები წამო-
ელოთ. საბოლოო გალუმპვას გადარჩ-
ნენ, მადლობა გადაუხადეს ერთგულ
ადამიანებს და იღლიის ქვეშ შემალუ-
ლი პურის პარკებით შუალამის ოთხი
საათისთვის დაბრუნდნენ შინ. ყველა
ამბობდა რომ ქალაქში პური ბაღლინ-
ჯოიანი ფეხილით ცხვებოდა, მაგრამ
ამას უკვე არავინ დაგიდევდათ, ერ-
თეულები მდიდრდებოდნენ, დიდძალ
ქონებას იხვეჭდნენ, ხალხს კი საქონე-
ლივით დაპალ ქატოიან პურს აჭ-
მევდნენ.

ერთხელაც მეუღლესა და მეუღლ-
ის დედასთან ერთად ოზურგეთს მი-
ემგზავრებოდა. სამსახურებრივ ძველ
„ვოლგას“ მძღოლი ისე მიქროლებდა,
სიამოვნებდა კიდეც. უკვე ქუთაისისკენ
მიძავალ აღმართს შეუყვნენ, საგზაო

ფირნიშიც გამოჩნდა წარწერით სოფე-
ლი კვახჭირი, ამ დროს მანქანამ საეჭ-
ვო ხრიალი დაიწყო, რამდენიმეჯერ
თითქოს შეაძიგიგა და დადუმდა. მძღოლმა ბევრი უტრიალა მანქანას,
ეცადა, იწვალა, მაგრამ არაფერი გამოვ-
იდა. მერე იქვე ახლოს, აღმართის თავში,
გავაკებაზე მდებარე ავტომანქანების
პროფილაქტიკაში წავიდა და მაღლე სხვა
მანქანას გამობმული დიდი გაჭირვე-
ბით შეათრიეს პროფილაქტიკის ეზო-
ში, მგზავრები კი ამ დაწესებულების
პირდაპირ მდგარი შენობის ცემენტის
დაბალ აიგანზე ჩამოსხდნენ და ძალზე
ცუდ გუნებაზე დამდგარები ელოდნენ
რა იქნებოდა. მძღოლი გოგი არაბიძე
დალონებულ-შეშფოთებული სახით
დაბრუნდა, მითხრეს გაკეთებას ორი
დღე მაინც დასჭირდებაო. ორი დღე
ცემენტის ცივ იატაგზე ხომ არ ისხდე-
ბოდნენ, სასწრაფო ზომები უნდა მი-
ეღლოთ. უკან დაბრუნება უკვე შეუძლე-
ბელი იყო, ქუთაისის ჩაუმებულ სას-
ტუმროში გათენების სურვილიც არ
ჰქონდათ, ან კიდეც რომ გაეთენებინათ
ეს საქმეს მაინც არ შველოდა. გადაწ-
ყდა გოგი დარჩებოდა მანქანასთან,
სხვებს კი გზა უნდა გაეგრძელებინათ.
გიგამ დაიწყო მანქანის ძებნა, რამდენ-
იმე ტაქსისტმა უარი განაცხადა – უკვე
დამდება, მერე სიბნელეში საშინლად
ანგრუელ-დანგრუელი გზებით ჩემმა
მტერმა იაროსო. ბოლოს ერთი ახალ-
გაზრდა სიმპათიური ბიჭი დათანხმდა,
მე წაგიყვანთ და სასწრაფოდ დავბრუნ-
დებიო. სამტრედიასთან მისულებს უკვე
შემოაღამდათ, ბიჭმა თქვა ორივე გზა
ნანგრევებად არის ქცეული, ისევ ჩოხ-
ატაურის გზით წავიდეთ, გაცილებით

მოკლეაო. მანქანა წყვდიადის გვირაბში მიპქროდა, როგორც ახლა აფხაზეთის ველებზე. ყვითელი ფერის ძველ „უიგულს“ ახალგაზრდა ბიჭი ისე მიაქანებდა, ისე არ ერიდებოდა ორმოებიან გზასა და ხშირ-ხშირ ჩარტყმებს, რომ გიგას შიშიც შეეპარა, თქმაც მოერიდა ხელა იარეო. კუნაპეტი ღამით ტრასაზე ერთი მანქანაც არ შეხვდრიათ, ერთი სინათლის ციმციმიც არ დაუნახავთ. მხოლოდ ე.წ. ბერძნის წყაროსთან, სადაც ყოველთვის მცირე ბაზრობა იმართებოდა, წვრილმანი ვაჭრობისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ ჯიხურში მილეული სანთლის მკრთალი შუქი ფარფატებდა. ამის მეტი სინათლე იმედის შორეული ნაპერწკალივით მთელ გზაზე არსად ჩანდა. ოზურგეთში ისე შევიდნენ თითქოს მკვდრულ მდუმარებაში შედიოდნენ. ადრე გაჩირალდნებულ და სიცოცხლით სავსე ქალაქში მხოლოდ ორ ადგილას ბუუტავდა სინათლე, ძალიან მკრთალად გამგეობასთან და გაცილებით უფრო მეტად დეპუტატობის კანდიდატის შტაბში, თითქოს ამ წკვარამ ღამეში რაიმე სერიოზულ საქმეს აკეთებდნენ.

სრული სიბნელის შემაძრწუნებელი სურათები ახლაც თავში მტკივნეულად უტრიალებდნენ, თითქოს ველარაფერ სხვაზე ვერ ფიქრობდა. ამ დროს საშა ყაფლანიშვილმა თქვა — „მგონი მოვედით, აქაც რა უბედური სიბნელეაო“. გიგა მტანჯველი ფიქრებისაგან ძლიერ გამოერევა, გარეთ დაძაბული იცქირებოდა, ძალზე მკრთალ სინათლესა და მანქანის ფარების შუქზე ნაცნობი თეთრი შენობა აირეკლა, მიხვდნენ სოხუმის სადგური იყო, მალე

სალიანდაგო ბოგირქვეშ გავიდნენ და მარჯვენა მხარეს მოუხვიეს, სადაც ბაზრის სიახლოვეს სასტუმრო „თბილისი“ ეგულებოდათ, ქუჩებში ისევ სიბნელე და წყვდიადი მეფობდა, ოღონდ ოჩამჩირისაგან განსხვავებით აქ იშვიათად მაინც გაკრთებოდა მკრთალი სინათლე, რასაც ნავთის ლამპის ან სანთლის დროებითი ანთება აჩენდა. წყვდიადთან ასეთი მკრთალი ციმციმით შეჭიდება უიმედო საქმე იყო, უკუნეთ სიბნელეში ციცინათელების უძალო ფარფატებს გავდა.

სასტუმროს პოლიც გასაცოდავებული ყვითელი შუქით იყო განათებული, ღამის დარაჯს კართან ახლოს მდგარ საგარძლელში ეძინა. რამდენჯერმე დაბრახუნების შემდეგ მან როგორც იქნა გაიღვიძა და უაზრო სახით იცქირებოდა მინებიანი კარისკენ, გიგაშ ხელი დაუქნია მობრძანდი და კარი გააღეო. დარაჯი როგორც იქნა ადგა, კარი სანახევროდ გააღო და სპეციფიკური დამტვრეული რუსულით იკითხა ვინ გნებავთო. — ადმინისტრატორი სად არის, სასწრაფოდ დაუბახეო, უკვე გალიზიანებული ხმით უთხრა გიგამ. თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ ნამთვრალევი და ნამძინარევი ადმინისტრატორი ჩამობრძანდა ზემო სართულიდან, რა გნებავთო — მანაც სულელური რუსულით იკითხა. დაბალ შავწვერებიან კაცს საშინელი არყის და ნივრის სუნი ასდიოდა, შავი დაჭმუჭრულ-დაჭცლი კასტოუმი ეცვა, შავი პრიალა პერანგითა და შავი ჰალსტუხითვე დამშვენებული. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ადმინისტრატორს ეძინა ლოგინში, თან ისეთი მუსკე, უკმაყოფი-

ლო სახე ჰქონდა, ნაღდად იგრძნობოდა არავითარ სტუმრის მიღებას არ ელოდა და არც სურდა. მეორეჯერ ნათქვამ იღიოტურ შეკითხვაზე უკვე გაბრაზებულმა გიგამ უკვე ნაწყენი კაცის ხმით მიუგო – თქვენს სანახავად ნამდვილად არ ჩამოვსულვართ ამ შეაღამისას, ოთახი გვინდა ერთი ღამის გასათევად, დილადრიან კი სოჭში მივდივართ კონფერენციაზე, – თან საბუთი გაუწოდა. საბუთის ნახვამ და კონფერენციის ხსნებამ გათრიაქებული ადმინისტრატორი თითქოს გამოაფხიზლა, არც სხვა საბუთები მოუთხოვია, არც წესად მიღებული ბლანკების შევსება, ნახევარი დღის ფული წინასწარ აიღო და სტუმრებს ნომრის გასაღები გაუწოდა. გიგამ გასაღებს დახედა, ხუთასთოთხმეტი ოთახი, ანუ მეტეთე სართული, არ მოეწონა ამ სიმაღლეზე ასვლა და ისედაც ბაც სიბნელეში შავად გამომზირალ ადმინისტრატორს კითხა – დაბლა სართულებზე არ გაქვთ თავისუფალი ნომერი? – არა, მიიღო პასუხად, დღეს ყველა ნომერი დაკავებულია. კამათს, თხოვნას, ან ჩხუბს აზრი აღარ ქონდა, დილადის როგორმე უნდა გაეძლოთ. უხმაუროდ შეუყვნენ მეტეთე სართულის კიბეებს, საკმაოდ მოზრდილი ოთახში ნათურის ანთებისას მავთული ოდნავ შეწითლდა, ამ საცოდავ სინათლეზე დაინახეს საშინლად ანგრეულ-დანგრეული საწოლები აშკარად ჭუჭყიანი თეთრეულით. აქ გაჩერება შეუძლებელი იყო, სხვა გზა კი არ ქონდათ. ისედაც ცივი ოთახი განიავეს, თეთრეული გვერდზე მიყარეს, ტანისამოსიანად მიწვნენ, ახლად გაცნობილი ადმინის-

ტრატორივით, თავქვეშ საკუთარი თბილი ნაქსოვები ამოიდეს და პალტოები წაიფარეს. არაფრით არ დაეძინათ, კვლავდაკვლავ დიდხანს არჩევდნენ მომხდარ უსაშინლეს შემთხვევას და ასკნიდნენ, რომ რაღაც ნახევარმა მეტრმა ანუ 01 ან 02 სეკუნდმა გადაარჩინათ.

გამთენისას ჩაეძინათ, დილით გიგამ საათს დახედა, უკვე ცხრა საათი იყო. – აუ, როგორ ჩაგვძინებიაო, – ხმამაღლა დაიძახა, საშა ყაფლანიშვილსაც გაეღვიძა, უცებ წამოხტნენ, წვერი ხელად გაიპარსეს, რომ რუსებსა და სხვებს წვერმოშვებულები არ დანახვებოდნენ. ნაცნობი ადმინისტრატორი ადგილზე ისევ არ იყო, კრი უკვე გაღვიძებულმა დარაჯმა გაულოთ თან ოცი მანეთი მოითხოვა მთელი ღამე მანქანის ყარაულობისთვის, – სულ არ დაგიძინა და ისე ყარაულობდი, – დაცინვით ჰკითხა საშამ. – ღამე ძილი როგორ შეიძლება პოსტზე, ყველაფრისთვის მე ვარ პასუხისმგებელი, – გაიქაჩა დარაჯი, – თორემ მოვიდოდა ვინმე ქართველი და წაიყვანდა თქვენს მანქანას. – აფხაზები, სომხები ან რუსები არ ქურდობენ, მარტო ქართველებს შეუძლიათ მანქანის მოპარვა? – სომხები და რუსები კიდევ შეიძლება, აფხაზი კი ასეთ რამეს არ გააკეთებს, ის თავის სახლშია, საკუთარ ქვეყანაში და ქურდობას არ იკადრებს, აფხაზეთში ასეთი წესებია. – როგორ საქართველოში აღარ შედის აფხაზეთი? – არა, ეს ჩვენი მიწაა, ქართველები ძალით ჩამოასახლეს სტალინმა და ბერიამ.

გიგას და საშას მწარედ გაეცინათ,

აი, როგორ უწამლავენ ხალხს გონიქას, ძირძველ ქართულ კუთხეს თავის საკუთრებად თვლიან ეს აფსუები, — ჩაილაპარაკეს ქართულად, დარაჯს ოცი მანეთი მოუგდეს და გუნებაწმხდარები კარში გამოვიდნენ. ეზოში ათიოდე მეტრის დაშორებით საშას კუთვნილი მინებჩალენილი მანქანა იდგა, სხვაგან კი ნაკაწრები არც ეტყობოდა. ათვალიერებდნენ მანქანას, გარს უვლიდნენ და ბოლმით აქნევდნენ თავს. ამ დროს ზუსტად მათი მანქანის გვერდით თეთრი კრიალა ავტომანქანა „ნივა“ გაჩერდა. მძლოლმა წინ მჯდომს კარი გაუდო, ის იყო სასტუმროს კარისკენ უნდა წასულიყვნენ, რომ მარჯვენა კარიდან გადასული ანუ ნალი უფროსი გიგას შეეჯახა, შეხედა ერთხელ, მეორედ და გაოცებული ხმით დაიძახა ვა, ამას ვის ვხედავო, ცუდი ძილისგან გამოუფხინველმა გიგამაც წამით შეხედა და გახარებული ხმით დაიძახა ვა, ზებოო. ერთმანეთის გულიანად გადაეხვიენ, თან მხრებზე ხელებს მეგობრულად უტყაპუნებდნენ.

ზებო ანუ ზებედე შათაშვილი ცხნვალში მასთან ერთად სწავლობდა, ოღონდ პარალელურ კლასში, თან მეზობლად ცხოვრობდა, მათ სახლებს შეოლოდ ერთი ძველებური აივნებიან-რიკულებიანი სახლი აშორებდა, სკოლაში ხშირად ერთად მიღოლდნენ, ანდა კლასებს თუ უბნელ მეგობრებთან ერთად, აუყვებოდნენ ებრაელების დიდი უბნიდან ცხინვალის ცხნტრის გავლით სადგურისაკენ მიმავალ გზას, სადაც სახანძრო დაცვის მაღალი შენობის გვერდით იდგა სკოლის ოთხსართულიანი შენობა და ფართო ეზოც იყო გადაშლილი.

ცხინვალში გიგას ოჯახი მამის, ალექსი მაჩაბლის ათწლიანი უმძიმესი პატიმრობის შემდეგ თბილისიდან ასი კილომეტრის იქით, ხუთწლიანი გასახლების გრანიტით მოხვდა. უცხო ქალაქში ხუთი წლით გაძევებული მაჩაბლების ოჯახი ცხინვალელი გძრაელი ლევიაშვილების ოჯახში ცხოვრობდა. ოთხი წელიწადი გაატარეს ამ ორსართულიანი სახლის მოედნისაკენ გადამდგარ ფლიგელში. საშუალო სკოლა გიგამ უკვე თბილისში დაამთავრა და უურნალისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, ზებოც თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მასთან მეგობრობა ახალი ძალით გაგრძელდა. ზებოს ბევრისაგან განსხვავებით ფულის ხარჯვა ძალიან უყვარდა, როგორც კი ცხინვალიდან პროდუქტებსა და ფულს მიიღებდა, სასწრაფო წესით შეკრებდა მეგობრებს, სადმე რესტორანში წაიყვანდა ან საკუთარ ბინაში გაშლიდა სუფრას. ცხინვალიდან საქართველოში ხშირად ჩამოსული ბატონი მოშეც ესწრებოდა ხოლმე მეგობრულ შეხვედრებს, ეტყობა მოსწონდა, რომ მის ერთადერთ მექვიდრეს ამდენი კარგი მეგობარი ყავდა. მერე და მერე, როცა ბიჭებს დაუახლოვდა და მათთან შინაურად გრძნობდა თავს შვილის შესახებ ხუმრობდა კიდეც — „ეს ჩემი ზებო სულ მეშინა ქართველის გაკეთებული არ იყოს, ებრაელობის ძალიან ცოტა გამოყვა, ქართველივით ფულის ხარჯვასა და ქეიფებზე არის გაფაციცებული, პირზე სულ ფული აკერია, როცა ვეკოთხები რა გინდა-მეთქი, ფულიო, მეუბნება. რჯულის მადლმა, კარგად

იყოს, ამდენმა სმამ ჯანმრთელობა არ შეურყიოს, თორებ მაგის ფულსა და ქეიფებს თუ გინდა ხუთასი წელიც იყოს, მაინც გავუძლებო“.

მეოთხე კურსზე გიგაც და ზებოც თანაკურსელებთან ერთად ერთოვანა სამხედრო შეკრებაზე იყვნენ ახალქალაქში. ივლისის თვე იდგა, მზე აცხუნებდა და დღის მანძილზე მაგრად ცხელოდა. საღამოს დადგომისთანავე აგრილება, ხოლო დაღმების შემდეგ აცივება იწყებოდა. სიცივის გრძნობას ისიც აძლიერებდა, რომ სამხედრო ქალაქთან ახლოს მდებარე მთის ფერდობზე გაშლილ კარვებში უხდებოდათ ღამის გათვება, დღე კი სტუდენტებს კარავში არც უშვებდნენ, გასწორებული საწოლები პატრონებს ძილისკენ იწევდნენ, მაგრამ სად იყო პატრონი, ჯარში წყნარი საათი და დასვენება არ არსებოდა. სამაგიეროდ მთელი დღე სამხედრო ვარჯიშებს, მწყობრში სიარულს, შჯიბრებებსა და იარაღის შესწავლას ეთმობოდა.

თოფისა და კალაშნიკოვის მძიმე ავტომატის ასე თუ ისე შესწავლის შემდეგ დაზგის ტყვიამფრქვევის შესწავლაზე გადავიდნენ. ორი გაკვეთოლის მანძილზე ახსინის, ზედაპირული დაშლისა და აწყობის ჩვენების დასრულებისთანავე მომავალ უმცროს ოფიცრებს შუა თითის სიგრძე სასწავლო ტყვიები დაურიგეს და სასროლ პოლიგონზე გაიყვანეს, რათა სროლასა და მომავალში აღამიანის კვლას პრაქტიკულად დაუფლებოდნენ. ბრძანების გაცემისთანავე სტუდენტების ერთი წყნარი მიღება მიწაზე წელიც წელიც მიღება მიწაზე გაწვა. ერთი ბიჭის იქით ზებო იდგა, ის აღელვებული ჩანდა და თითქოს მიწაზე დაწოლას ვერ ახერხებდა, უხერხულად ცმუკავდა. გიგამ გახედა მეგობარს და გასამხნევებლად ხუმრობით გასძახა — ზებო, ზებედე, დაწექი და შებედე. ზებომ გაიცინა და მიწაზე სწრაფად დაწვა, სერუჟნტი ბოიჩენკო აქეთ-იქით იყურებოდა გაოცებული, რა აცინებთო. ბიჭებმა ხელად გადასცეს ერთმანეთს გიგას ნათქვამი და სროლების მერე ზებოს შემოხვინენ, რა ქენი, ზებო, ზებედე, შებედე თუ ვერაო, ზებო იცინოდა შეცბედე და ხუთიანიც მივიღე ისე მაგრად ვისროლე, ცხინვალშიც მქონდა ნანახი ეს ავტომატია თუ ქვემეხი, ერთხელ სამხედროს მასწავლებელმა შალვა გაბარაევმა გვასროლინა და ამიტომ სულაც არ იყო უცხო, ისე შევყოყმანდი, თქვენსავით ტალახში უცებ წამოგორება ვერ მოვახერხეო. ამ შემთხვევის მერე ზებოს შებედეც შეარქვეს, ზედმეტად შეხუმრებულები შაბათასაც უძახდნენ, მას კი სულაც არ წყინდა, პირიქით, დაძახილზე იცინოდა ხოლმე და შაბათას დამძახებელს გისმენ პარასკევაო, — ღიმილით ეპასუხებოდა.

უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წითელ დიპლომზე ანუ

ჩაალაგებდა გვერდით გადმოშვერილ პატრონტაშში, გასახედი ჭრილიდან კარგად დათვალიერებდა წინ გაშლილ მიდამოს, ბრძანების მიხედვით დაწვებოდა სასხლეტს და იწყებოდა გამაფრუებული ხმარი. როცა რიგმა მოუწია, გიგა მივიდა მითითებულ ტყვიამფრქვევთან და ბრძანების შესასრულებლად მიწაზე გაწვა. ერთი ბიჭის იქით ზებო იდგა, ის აღელვებული ჩანდა და თითქოს მიწაზე დაწოლას ვერ ახერხებდა, უხერხულად ცმუკავდა. გიგამ გახედა მეგობარს და გასამხნევებლად ხუმრობით გასძახა — ზებო, ზებედე, დაწექი და შებედე. ზებომ გაიცინა და მიწაზე სწრაფად დაწვა, სერუჟნტი ბოიჩენკო აქეთ-იქით იყურებოდა გაოცებული, რა აცინებთო. ბიჭებმა ხელად გადასცეს ერთმანეთს გიგას ნათქვამი და სროლების მერე ზებოს შემოხვინენ, რა ქენი, ზებო, ზებედე, შებედე თუ ვერაო, ზებო იცინოდა შეცბედე და ხუთიანიც მივიღე ისე მაგრად ვისროლე, ცხინვალშიც მქონდა ნანახი ეს ავტომატია თუ ქვემეხი, ერთხელ სამხედროს მასწავლებელმა შალვა გაბარაევმა გვასროლინა და ამიტომ სულაც არ იყო უცხო, ისე შევყოყმანდი, თქვენსავით ტალახში უცებ წამოგორება ვერ მოვახერხეო. ამ შემთხვევის მერე ზებოს შებედეც შეარქვეს, ზედმეტად შეხუმრებულები შაბათასაც უძახდნენ, მას კი სულაც არ წყინდა, პირიქით, დაძახილზე იცინოდა ხოლმე და შაბათას დამძახებელს გისმენ პარასკევაო, — ღიმილით ეპასუხებოდა.

უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წითელ დიპლომზე ანუ

წარჩინებით დამთავრების შემდეგ ზებო სოხუმში გაანაწილეს აფხაზეთის ვაჭრობის საოლქო სამმართველოს უფროს საქონელმცილენედ. სწორედ აქ მოხდა ზებოს ბუნებრივი ნიჭის არნახული აყვავება. რამდენიმე წელიწადში მცილე, კვალიფიციურ, მოხერხებულ და მარივათიან ვაჭრობის მუშაქს მთელი აფხაზეთი იცნობდა, პატივს სცემდა: ეს პატივისცემა მაღლე საქმითაც დადასტურდა, ზებო შათაშვილი აფხაზეთის ვაჭრობის საოლქო მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს, თანაც ვაჭრობისა და ვაჭრობის ორგანიზების კუთხით. თავმჯდომარე, უკვე შუახნის ასაგს გადაცილებული რუფეთ მიჰანბა, თითქმის არავერს არ აკეთებდა, მხოლოდ უხვად სვამდა არაესა და კონიაქს, ფულის აღებაზე უარს არასოდეს ამბობდა და კაბინეტის გვერდით მდებარე სამუშაო ოთახში საათობით ეძინა. ყველაფერი ზებოს ხელში იყო, ისიც შეუსვენებლად მუშაობდა, ახალ-ახალ წამოწყებებს უყრიდა საფუძვლს, პირველ რიგში მოსკოვთან და პეტერბურგთან ამყარებდა მომგებიან საქმიან კონტაქტებს, რომელიმე თანამდებობის პირის დასვენებისა და მთელი თვის მანძილზე ლოთობის ფასად ვაგონებით ჩამოჰქონდა უცხოური ტანატელი, მანქანი, აპარატურა, სასმელი და საკვები, რაშიც სისტემატურად ზღაპრულ მოგებას ნახულობდა, კარგ სიტყვას და დალევას არავის ამადლიდა, პირიქით, რაც მეტს და მეტს შოულობდა, უფრო ტექნიკიდა, არც სხვების დახმარებას გაურბოდა, კრასნოდარისა და სტავროპოლის კონიაკე-

ბით სომ მთელ აფხაზეთს ამარაგებდა.

იმ პერიოდში გიგაც ხშირად სტუმრობდა სოხუმს, მეგობართან რომ არ დაერეკა წარმოუდგენელი იყო. ერთი ქიფის დროს ზებომ ცოლ-შვილი დააფიცა, თან უთხრა – აფხაზეთის ტერიტორიაზე გინდაც შემთხვევით გაიარო და მე არ დამირეკო, კაცი აღარ იყოო, ამის შემდეგ აღარც დაგელაპარაკები და ვიტყვი მეგობრობა არ შეუძლიაო. სოხუმში ხშირი ჩასვლების გამო ზებოსთან ერთად სულ ქეიფ-ქეიფით მოიარა გაგრის და სოჭის რესტორნები, განსაკუთრებული სტუმრობის ადგილებად შერჩეული ქონდათ გაგრიფში, ეშერა, მერხეული, ამრა და სოხუმის ფუნიკულიორზე მთელ ქალაქს ლამაზად გადმომცეკრალი ზღაპრული საქეიფო ადგილი.

ერთ საღამოსაც მეგობრებთან ერთად ორი მანქანით გამოუარა, ერთად ვივახშმოთ, თან მეგობრებს გაგაცნობ, სადმე რომ შეხვდეთ, გამოგადგებიანო. იმ წელს გიგა ცოლ-შვილთან ერთად სინოპში ისვენებდა, ფართო აივანზე საწერი მაგიდა ჰქონდა გატანილი, სურნელოვან ჰაერზე ჯდომა სიამოვნებდა, ლურჯად გადასარკულ ზღვას გადასცეროდა, თან ოცნებობდა და წერდა. შორს აღარ წასულან, მანქანები აღმართში ააქროლეს და სოხუმის ფუნიკულიორის ღია ვერანდაზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. ეტყობა წინასწარ ჰქონდათ დარეკილი, ზებო გამოჩნდა თუ არა, ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა და საზეიმო მარში დასცხო. გიგა მერე დაუკვირდა, სადაც კი შედიოდნენ საქეიფოდ, ორკესტრი იმ-წამსვე წყვეტდა მუსიკას და საპატიო

სტუმარს ცნობილი საზეიმო მარშით ხვდებოდნენ. ზებო ასეთ ქცევას ყურა-დღებას აღარ აქცევდა, მასთან მყოფი პირები კი სიამაყით იცქირებოდნენ თუ როგორ საპატიო შეხვედრას უწყობდნენ აფხაზეთის ვაჭრობის აღიარებულ ლიდერს.

თბილი მეგობრული ქეიფი გაჩაღდა, განწყობილება იყო ამაღლებული, დაბლა ლამაზად მოქათქათე სოხუმში უკვე სინათლეები ინთებოდა და გამოკვეთილ სახეს იღებდნენ ზღვისკენ გაჭრილი ქუჩები, ზღვას კი უკვე ჩა-სული მზის ძორისფერი ათინათი ედებოდა და რამდენიმე ფერად მოლივ-ლივე ჩანდა. ვერანდაზე გადატიხრული ფართო ნაწილის ღია კარილინ მოქეიფები ჩანდნენ. ამ დროს ვერანდიდან შემავალ ოთახში ჩეუბი ატყდა, ყვირილისა და ხმაურის ხმები გამოდიოდა, ღია კარილან რტყმულა-რტყმულით ორი ზორბა ბიჭი გამოვარდა, თითქოს მოკრივები მოძრაობდნენ რინგზე, ისე-ტი ხელჩართული ბრძოლა იყო გაჩაღდებული. უკანა მხრიდან ხელების თავდაუზოგავი ქნევით მომავალი ბიჭი წინ ძირითადად ხელებაფარებულ ბიჭს მოჰყვებოდა, ეს უკანასკნელი აშკარად თავს იცავდა, შეტევაზე გადმოსული მაღალი ლამაზი ბიჭი ტიპური ქართველი იყო, თავს ვინც იცავდა უფრო რუსს გავდა, თუმცა სუვერის ერთ-ერთმა წევრმა თქვა ეს ხომ ტაირ ზუხბაა, მოძველებიჭო ჩეუბის მოყვარულით. ამ დროს მოჩხუბრები ვერანდის დაბალ კედელთან მივიღნენ, აქ კი გულდაგულ შეტევაზე გადასულმა ბიჭმა ისეთი ძალით დაარტყა ყბაში მარჯვნიდან მოქნეული მუშტი ქერა მოწინააღმდე-

გეს, რომ პირსახოცივით გადაჰკიდა მოაჯირზე, თანმხლები პირები რომ არ მიშველებოდნენ, ბიჭი მაღალი ბელე-ტაჟიდან დაასკდებოდა ქვაფენილს.

— აქ გზერება აღარ ღირს, ეს აყალ-მაყალი დიდხანს გაგრძელდება, ჯობია წავიდეთ, ჩემთან ზღვისპირა აივანზე გავაგრძელოთ ქეიფი, — განაცხადა ზე-ბომ.

არავინ შეპასუხებია, უკანა კარი-დან გავიღნენ და იქვე მდგარ მანქანებ-ში ჩასხდნენ.

ორიოდე წუთში ოფიციანტებმა დირექტორ-აღმინისტრატორის თანხ-ლებით და დიდი ბოდიშებით საბარ-გულში მუყაოს ყუთებით ჩაალაგეს პურ-მარილი. დაღმართი მალე ჩაიარეს, ცენ-ტრი უკან მოიტოვეს და კელასურის იქით, უკვე სოხუმის გარეუბანში, ზღ-ვასთან ძალიან ახლოს ხებით და-ფარულ ფერდობზე გაშენებულ ლამაზ ორსართულიან სახლთან შეჩერდნენ. ფერდობზე რამდენიმე მწკრივად აშენებ-ული სახლები ჩანდა, ღამე კი იყო, მა-გრამ ლამპიონებისა და განათებული ფანჯრების შუქზე იგრძნობოდა, რომ არაჩეულებრივი მიდამო იყო, ნებისმი-ერ სახლს ხებით სავსე ეზო ერტყა. ზებოს სახლი მეორე რიგში პირველი იდგა, ეზოს მაღალი მოაჯირი ამშენებდა, აგურის მაღალი ღობის შუაში რკი-ნის ალაყაფის კარით. სახლი ზღვიდან 15-20 მეტრით თუ იქნებოდა დაცილე-ბული, ზღვის მარილიანი ჰაერი და ნაპირთან ტალღების მშვიდი ხმაური გარევევით ისმოდა, სოხუმის პორტში რეიდზე მდგარი გემების მოკაშკაშე სინათლეებსაც ხედავდა, ასევე ჩანდა ლამაზად მორკალული ქალაქი და

ზღვაში შეჭრილი „ამრას“ ანთებული ლამპიონები. ზებოს მეუღლე რიგა სიხარულით შეხვდა სტუმრებს, განსაკუთრებით გიგას ნახვა გაუხარდა, ახლობელი ადამიანივთ უფერებოდა. მერე მოსამსახურე ქალს დაუძახა და საწრაფოდ გააწყვეს პურ-მარილი ზღვისგენ გადამდგარ ფართო აივანზე. ისეთი სასიამოვნო იყო სიგრილეში აივანზე ჯდომა, მთვარის შექით საოცნებოდ გადასარკული ზღვისა და სულ ახლოს განათებული სოხუმის ცქერა, რომ წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს, მალე ზებოს მძღოლმა ფუნიკულიორის რესტორნის დამკვრებებიც მოიყვანა და სუფრა ზურნა-დუდუკის თანხლებით კიდევ უფრო ტკბილი და სასიამოვნო გახდა. მხოლოდ განთიადისას წამოიშალნენ ფეხზე.

ახლა, ამ უსიამოვნო დილით, საშინლად გატარებული დამის შემდეგ ზებო შათაშვილი იღვა მის წინ და მეგობრულად ეხვეოდა, სახეზე სიკეთე და სიხარული ეხატა.

— ბიჭო, მაინც ისე ჩამოხვედი, რომ არ დამირეკე, დაგინება და ფიცი დაარღვიე, არ გრცხვნა, ერე როგორ მოიქცი, ამ ტილებიან სასტუმროში გაჩერების მაგიერ მეფესავთ მოგასვენებდი.

— მოიცა ზებო, ერთბაშად ნუ მიაყარე, წამოსვლას არ ვაპირებდით, ან რა დროს სიარულია. კონფერენცია ტარდებოდა სოჭში, გადავწყვიტეთ უარი გვეთქა, გუშინ საღამოს კი ჩვენმა თავმჯდომარემ, ანუ შენებურად ყველაზე „გადოლმა“ დაგვირეკა და პირადად გვთხოვა ჩავსულიყავთ, უარი ვეღარ ვუთხარით, სასწრაფოდ მოვემზადეთ და

წამოვვდით, გზაში დაგვაღამდა, შუალამისას ხომ არ მოგადგებოდით, შენი არა, მაგრამ რივასი ხომ მოგვერიდებოდა, ამიტომ გავრბოდით, შენ უკანა გზაზე უნდა მენაზე; უფრო მეტი დრო როცა მექნებოდა, არავითარ ფიცის გატეხვას არ აქვს ადგილი, ძმობა ძმობად რჩება.

ამ დროს ზებომ დაინახა მანქანის ჩალეჭილი მინები და გაოცებულმა შესძახა: — ეს რაღა უბედურებაა, რა მოხდა, როგორ ჩალეჭილ მინები, ან ასე ამ სიცივეში როგორ იარეთ, ფილტვების ანთება ხომ არ გინდათ აიკიდოთ.

— ჩვენ კა არ ჩავლეჭით, ჩაგვლეჭის, ოჩამჩირესთან გვესროლა ვიღაც გარეწარმა, ღვთის მადლით და დახმარებით ერთი წამით, ან ორი წამით ვართ გადარჩენილება.

— ახლა გარეწრების იმდენი ბანდა დარბის ვერც კი დაითვლი, ოჩამჩირეშიც თარეშობენ საკმაოდ მოზრდილი დაჯგუფებები, ნაღდად მაგათი ნამოქმედარი იქნება, ღამით გამოდიან სანადიროდ, რომ კვალი სასწრაფოდ გააქრონ.

— ვინც იყო იმას გაუწყდეს ოჯახი, ადამიანი ასე როგორ უნდა გაწირო, თან არ იცი ვინ ზის მანქანაში, მდიდარი თუ ღარიბი, წესიერი თუ არამზადა, ბავშვი თუ მოხუცი, მეცნიერი თუ ბანდიტი, მოკლედ ძალიან ცუდად იქცევიან, ბრმად და უსინდისოდ.

— ეჰ, ასეთი დროა და რას იზამ, ხალხი თუ არ აღსდგა და დაირაზმა, ჩვენი დაღუპვა უკვე კართან არის მომდგარი, ძალიან ძნელია ამ სოდომგომორში გადარჩენა.

— რას იზამ, ძმაო ზებო, როგორმე უნდა გავძლოთ, ახლა კი წავედით,

კონფერნცია დღეს დაწყო და როგორმე უნდა ჩავუსწროთ, რომ მაგათ თვალში მართლები აღმოვჩნდეთ.

— რას ამბობ ბიჭო, ასე მშივრები უნდა წახვიდეთ, სტუმართან გთიდა შემარცხვინო.

— არა უშავს, საქმე ასე მოითხოვს, შეზე გზაში მოუკუნები ყველაფერს, საშა სწორად გაიგებს, ნუ გეშინია.

— მე რის უნდა მეშინოდეს, მაგრამ შენ ნუ იცი ზოგჯერ აჩქარება, ყველაფერს დაკვირვება და აზომ-გაზომვა სჭირდება, საუკეთესო ვარიანტის უცებ არჩევა იოლი საქმე არ არის.

— რა ვქნათ, გვაგვიანდება, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

— ეგ შენი ჭკუთ, ახლა ჭკვიანი ქართველი ებრაელის მოსაზრებასაც დაუკვირდი და მერე თქვი მართალი. სოჭაძის სულ მშივრები ვერ ივლით, სადმე რომ გაჩერდეთ ერთი საათი მაინც დაგეკარგებათ, თან რას გაჭმევნ ღმერთმა უწყის, კარგი, შეიძლება შმივრებმა გაძლოთ, მაგრამ ამ შუშებჩამსხვრეული მანქანით ჩქარა ვერ ივლით, გაიყინებით, გაითოშებით და გაცივდებით, თან მთელ გზაზე, თუკი დაგჭირდათ ვერსად ერთი ლიტრ ბენზინსაც ვერ იშოვით. მე კი სასწრაფო წესით შუშებსაც ჩავასმევინებ, ბენზინითაც გაგივსებთ ბაკს, თანაც გაგატანთ სათა-ადარიგოდ, იმ ლოთ რუსებს კი უთხარით გზაში მანქანა გაგვიფუჭდა, ვაკეთებდით და იმიტომაც დაგვაგვიანდა, შეეცოდებით კიდეც და მეტ პატივსაც დაგდებენ, დასალევად მოვლენ თქვენთან, ასეთი წესი აქვთ.

— ვა, შენ აზრები მაგრად ჩამოაყალიბე, თუ მინების ჩასმას მოახერხებ

და ბენზინსაც ჩაგვისხამ, მაშინ მართლა დირს შეჩერება, თორებ შიშილით თავს არ მოვიკლავთ.

— ძალიან კარგი, მაინც ებრაელებში ხარ გაზრდილი და ჭკუამ გაგიჭრა, ასე ჯობია რჯულის მადლმა. ბორია, დაუძახა მანქანასთან მოფუსფუსე მძღოლს ზებომ, — საწრაფოდ წაიყანე ეს მანქანა, ჩვენი კი აქ ჩაკეტე, მიდი დავითობ გარაჟში, უთხარი ზებედ მაისეევის დიდი სტუმრები ყავს თბილისიდან, სასწრაფოდ ამოიღეთ ნაავარიევი მანქანიდან მინები, აქ ჩასვით, ბაკიც გაავსეთ და ორი კანისტრა ბენზინიც ჩადოს შიგ. უთხარი მაყუთან ერთად სავსე ყუთ სამარკო კონიაქსაც მიიღებ-თქო. ჩვენ კი წავედოთ, ჩემი ბინა აქვეა, ორას მეტრში, რივასაც გავახარებთ და ბავშვებსაც.

— აქვე როგორ არის, იქამდე ფეხით მისვლას ერთი საათი მოვუნდებით, შენ ხომ არ გადაირიე.

— ჩემი შეცდომა და გადარევა გამორიცხულია. ის ბრწყინვალე სახლი ზღვასთან გავყიდე, ორჯერ გამჭურდეს, დაცვაც კი ვერ აკავებდა ფულზე და ქონებაზე გაგიუბულ ბანდიტებს, სოხუმის აღმასკომის თავმჯდომარეს დავუხდე ის, რაზედაც გიუდებიან და ახლადაშენებულ სამთავრობო კორპუსში მივიღე ზუთოთახიანი ბინა. აქ გაცილებით მეტად უსაფრთხოა, სახლს დაცვაც ყავს, ზღვა კი აქედან-აც კარგად ჩანს, ოღონდ რა თქმა უნდა სიმწვნე, ფიჭვები და ჰაერი იქ უკეთესი იყო.

ამ ლაპარაკში სახლსაც მიადგნენ. ზებოს ბინა მაღალ მეორე სართულზე მდებარეობდა. რივა სიხარულით შეხ-

ვდა გიგას, გადაკოცნა და უსაყვედურა, ასე როგორ დაიკარგე, ძალიან მოგვანატრე თავიო. მალე სუფრაც გაიშალა და საუკეთესო კონიაკით სავსე მომცრო ჭიქებით სადღეგრძელობიც გააჩაღეს. საათზე ცოტა მეტი გავიდა და მძღოლიც დაბრუნდა, ზებომ შეაქო, ყოჩაღ, დროულად გააკეთე ყველაფერი, ახლა სარდაფში ჩაირბინე, ერთი ყუთი კონიაკი ჩადევი საბარგულში, სოჭში უქველად გამოადგებათ, უკვე აცივდა და დგინოზე მეტი ავტორიტეტით ახლა არაყ-კონიაკი სარგებლობს. რივამ თვეზეულიც ჩაალაგა პარკში, კონიაკთან მისაყილებლად გამოგადგებათო, თან ჰოლანდიური ყველი და სუჯუკიც მიაყოლა, — ესეც მოეწონებათ რუსებსო.

ზებოს ბინიდან ჩამოსულები და კარგა გვარიანად მთვრალები საპარადი შესავლელის წინ იდგნენ, ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, მთვრალების წესების თანახმად კოცნიდნენ, თან კმაყოფილების გამომხატველი საქები სიტყვებით ათვალიერებდნენ ახლადმინებჩასმულ მანქანას, მაღლობას უხდიდნენ მომლიმარ ზებოს. ამ დროს ერთი საპარადი შესასვლელის იქით მდგარი ზუთი-ექვსი ახალგაზრდა აჩოჩქოლდა, აქეთ-იქით დადგნენ, საპარადი კარი გაიღო, ჯერ ავტომატმომარჯვებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბიჭი გამოვიდა, ოთხივე მხარეს გაიხდა, ბიჭს მეორე და მესამეც მოყვა, მერე გამოჩნდა საშუალოზე მაღალი, ქოჩიანი და გრძელცხვირმოკაუჭებული უშნოდ გამომზირალი კაცი, უკანაც დაცვის სამი წევრი მოსდევდა. ზებომ მეგობრებს ხმადაბლა უთხრა პირვე-

ლი მიდისო. კარიდან გამოსული სწრაფად ჩაჯდა შავი მანქანის უკანა სავარძელში, წინ კი უსწრაფესი მოძრაობით ავტომატიანი ბიჭი შეხტა. მანქანა დაიძრა, მოძღვნო ორ მანქანაში შეცენილებიც უკან მიყვენენ. მანქანამ გაიარა ასიოდე მეტრი, მოუხვა მარჯვნივ, კვლავ ასიოდე მეტრი გაიარა და ზღვისპირა მოაჯირთან შეჩერდა. მალე კარი გაიღო და მანქანიდან მეგოთრად ცხვირმოკაუჭებული, ყვითლად შებუმბლული ძერა გადმოვიდა, მის უკან კი რვა-ცხრა ძერა შევგუჯდა. გიგამ თვალებს არ დაუკერა, მოისრისა კიდეც, რომ უკეთესად დაენახა. ძერა რამდენჯერმე ზოოპარკში ყავდა ახლოდან ნანახი, ყვითლად და ყავისფრად შებუმბლულები და ცხვირმოკაუჭებულები ბოროტად რომ აელვებდნენ მოყვითალო-მოყავისფრო თვალებს. ამასობაში ზღვისპირას მისული დიდი ძერები აფრინდნენ და სანაპირო ზოლიდან მარჯვენა მხარეს სწრაფი ფრენით სადღაც გაემართნენ. გიგა კვლავ თვალებს იფშვნეტდა, ხომ არ მელანდება, ზებო კი ჩვეულებრივი გამომტყველებით იდგა.

— ეს რა მოხდა, ადამიანების ნაცვლად მანქანებიდან ძერები გადმოვიდნენ, ამხელა ძერები რასაც დაეტაკებიან ყველაფერს შესჭამენ მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, ალბათ მომეჩენა, წუხანდელი დამისა და ამდენი კონიაკის მერე რა არ მოგეჩენება კაცს.

— არაფერიც არ მოგჩენებია, — თქვა ზებომ, — ასეთი საოცარი გარდაქმნა ხალხმაც შეამჩნია, თუმცა ამ ადგილს არავის აკარებენ, მეც შევამჩნიე.

ბევრმა თქვა ასე მიფრინავს ზოლმე უფროსი თავისი გუდაუთისკენ, სადაც აქვს ბოროტების ძირითადი ბუდე, იქ ალბათ, რაღაც საქმეებს აკეთებს, არაერთხელ შეუმჩნევიათ სოჭი-ადლერის მხრიდან მოფრენილი მსუქანი ძერებიც. მერე კი, როცა პირველი საქმეებს მორჩება, გვიანი საღამოობით ან ძირითადად ღამლამობით კვლავაც ფრენით უბრუნდება სოხუმს.

— არა, ეს მაინც რა იყო, ადამიანის ასეთი საოცარი სახეცვლილება ზღაპარში თუ წამიკითხავს ან გამიგონია, — ვერ ისვენტდა მოვრალი გიგა, მცარედ გადაკრულ საშა ყაფლანიშვილს კი თითქოს ხმა ჩავარდნოდა, ყოველთვის მაგარი მოლაპარაკე და მოკამათე ზელებს შლიდა და იმეორებდა:

— დიდება შენდა ღმერთო, ეს რა მეორედ მოსვლა ვნახეთ, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე გავდეს ადამიანი ძერას თუ ძერად გარდაქმნილს მგონი ზღაპარში კი არ წამიკითხავს.

— რა გიკვირს შე კაი კაცო, მთელი აფხაზეთი ძერებით, სვავებით, ყვავებით დაიფარა, უკვე კარგი ხანია ადამიანი ძერად და მტაცებლად იქცა. ბევრი ფარულად აკეთებს მსვავს რამეს, ესენი კი ნამდვილი სახით მოგვევლინენ, ასეთ დროს ძერა რა გასაკვირია, უბრალოდ მტაცებლის რეალური ფორმა გამოხატული, — თქვა ზებომ.

— რა არის გამოხატული და რა მიზნით, ძალიან ძნელი გასაგებია, თუმცა ერთი რამ ნათელია, ჩვენი საქმე არ არის კარგად და ფაქტია, უფრო უარესად წავა. ასეა როცა ქართველები ერთმანეთს დაერევიან და კლავენ, მაშინ ძერები და სვავები მომრავლდები-

ან, — დაასკვნა საშა ყაფლანიშვილმა.

— ასეა თუ ისე ჩვენი წასვლა მაინც აუცილებელია, უკვე თორმეტი საათია, როდისლა ჩავალთ, ვიღაც კრეტინებმა რატომ უნდა გვისაყველურონ.

— მაგ ლოთებისა და ბოზების უფროსობა, სულელური ყოყოჩობა და ზედამხედველური მითითებები დიდი ხანია ყელში ამოვიდა, საკუთარი ბოლმა საყველურთან ერთად უკან შეიტენონ, — გაცხარდა გიგა, — სასადილო შესვენების მერე მაინც მივალთ, ეგენი ხომ სადილისა და გაპობის გარეშე ვერ გაჩერდებიან, კონფერენციის მიზანიც ძირითადად ეს არი. სწორედ ეს ყოველდღიური არყის უზომო სმა უწყობს ხელს არამარტო ჩვენი ზემდგომი ორგანიზაციის, არამედ მთელი რუსეთის გადაგვარებას, ცდილობენ ყველაფერი აურ-დაურიონ, საკუთარი თავიც და სხვებიც დაღუპონ, თვითონ უზომოდ ბევრნი მაინც არიან, ჩვენ კი რა ვქნათ, როცა ერთი-ორი კაცის სიკვდილიც კი ერს წყლულად აჩნდება, საერთოდ ძალიან მძიმეა პატარა ერების ყოფა-ცხოვრება მსოფლიოში.

სოხუმიდან წამოსვლის წინ გულითად მასპინძელს ზებო შათაშვილს პირობას აძლევდნენ რომ უკანა გზაზე აუცილებლად ნახავდნენ, მისი ნახვის გარეშე თბილისს არ დაბრუნდებოდნენ. გზა და გზა სულ წუხანდელი და დღევანდელი საოცარი მოვლენებით გაოგებულები ლაპარაკობდნენ, ყველა შემთხვევას არჩევდნენ. გზა მაინც მოსწყენი იყო, ბერ ადგილას იდგა მოდად ქცეული პიკეტი, გუმისთასთან, ეშერასთან, ათონთან საბუთებს უმოწმებდნენ, საბარგულს აღებდნენ, ჩხრეკინენ, ასევე

ათვალიერებდნენ მანქანის სალონს, შერით უცქერდნენ ღვინის ბოცებსა და კონიაკის ფუთს. ახალგაზრდა რუსმა ლეიტენანტმა ვერაფრით ვერ გაუძლო ცდუნებას, ერთ ბოთლს ავიღებო, — ჩაიბურტყუნა და კონიაკის ბოთლი უბეში იკრა. როგორც იქნა გუდაუთას მიაღწიეს. აქაც გულდასმით შეუმოწმეს საბუთებიც და მანქანაც. ამ დროს გიგამ გაოცებისაგან ფართოდ გააღო პირი, პიკეტთან ახლოს ზუთიოდე მეტრის დაშორებით, მცირედ შემაღლებულ მოედანზე იდგა დაბალი კაცის სიმაღლის ყვითლად შებუმბლული ძერა, წინ წამოწეულ ცხვირკაუჭა მთავარს, უკან ძერების ჯგუფი ამოსდგომოდა. გიგა გაოცებით მიაშტერდა ამ უცნაურ, თითქმის წარმოუდგენელ სანახაობას. საშა ყაფლანიშვილმაც დაინახა ძერების შეკრება და სულ გაშტერდა, ორივენი ისხდნენ და დაუინებული უაზრო ცქერით მიშტერებოდნენ ძერათა გუნდს. მთავარმა ძერამ იგრძნო დაჟინებული მზერა, ცოტა ხნის შემდეგ მოწყდა ადგილს, გაშლილი ფრთების ფართხაუროთით წამოვიდა თუ გამოფრინდა, გიგამ მყისვე ასწია მანქანის ფანჯრის მინა, ძერა მოასკდა მანქანას და ისეთი გამეტებით ჩასცხო ნისკარტი წინა მინას, ლამის იყო ჩამსხვრია, ამ დროს საშა ყაფლანიშვილმაც ერთაბაშად დაძრა მანქანა და უკანმოუხედავდ გაქანდნენ.

— ეს რა უბედურება ხდება, რა კოშმარები დაგვატყდა თავს, მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე, რა ჯანდაბამ მიბიძგა, რატომ წამოვდით მანქანით, ამ საშინელებებს ხომ გადავრჩებოდით, აიჩემე მანქანა და მანქანა, ნეტავ გადავფრენილიყავით, თავი

საშინელებათა სამყაროში მგონია, — შეუტია გიგამ მოადგილეს, — ფანჯრის დაკეტვა რომ არ მომესწრო ხომ თვალს გამომთხრიდა, ან საფეთქელში რომ ჩაერტყა, შენ მტერს, ვინ იცის რა მოხდებოდა. ნამდვილად ვგრძნობ ჩვენს უძველეს ქართულ მიწაზე რაღაც სოდომ-გომორი მზადდება, აპოკალიფსის გახსენება შეიძლება ზედმეტი სიფრთხილე იყოს, მაგრამ ძირითადად ეს რუსები და მაგათი მთავარი სადაზვერვო უწყება ძალიან დიდი არეულობას რომ ამზადებდნენ და უკვე დაიწყეს განხორციელება, პირადად ჩემთვის ეს ყველაფერი დღესავით ნათელია. ჩვენი მყიფე დამოუკიდებლობა, ამერიკა-უვროპისაკენ დაუინებული სწრაფვა, ბატონობას მიჩვეულ რუსებს სიკვდილივით არ უნდათ, ახლა ყბადაღებულ ავტონომიურ რესპუბლიკებს ეჭიდებიან, უფრო ზუსტად ამ თემას ათამაშებდნენ, ცდილობებ ამით გამოგვიჭირონ, ან გვევაჭრონ ან საკუთარი ძალების ვთომ ფარული ხელისშეწყობით აგვიჯანყონ, ცბიერი გზებით მიიმსრონ, ამათგან ყოველგვარი უბედურებაა მოსალოდნელი.

— სწორი ხარ, ასეა, ნაღდად რაღაც დიდი უბედურება გველოდება, მანქანით წამოსვლის ინიციატივას თუ დაძლებას რაც შეეხება, რა მექნა, მეუბნებოდნენ მატარებლებზე თავდასხმები ხდება, ხალხს პირწმინდად ძარცვავნო, მეც ვიფიქრე დღისით მაინც გავივლით საშიშროებას მეთქი, სწორი ხარ, კინაღამ შევეწირეთ ამ მანქანით წამოსვლას. ვნახოთ, ისევ ღმერთი თუ გვიშველის, კაცის იმედი უკვე აღარ მაქვს.

ამ ლაპარაკში გაგრაც გაიარეს, აქეთ-იქით ცნობისმოყვარეობით იც-ქირებოდნენ, ნაცნობი ადგილების დანახვა სიამოვნებდათ, გაგრიფშსაც სიყვარულით შეავლეს თვალი. უოკ-ვარასთან მდებარე მოედნის მარჯვენა მხარეს ტროტუართან მდგარი იულონ მარღანია დაინახეს, მასთან ერთად განუყრელი მეგობარი ალიკ კონსტანტინიდიც იმყოფებოდა. იულონი გიგას მეუღლის ნათესავი იყო, მთელ აფხაზეთში ინტელიგენტობითა და პატიოსნებით ცნობილი პიროვნება. ის კარგად მღრღოდა, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობდა, ფილარმონიასაც თავკაცობდა, თან სახელმოხვეჭილი ლექტორი იყო. ახლა, როდესაც დაუმთავრებელი არეულობის გამო ხალხს არაფერი აღარ აინტერესებდა, მშვენიერი ფორმა ჰქონდა გამოძებნილი, მოკლე საინფორმაციო გამოსვლისა და კითხვებზე პასუხის გაცემის შემდგე დამსკენებლებსა თუ ადგილობრივ მცხოვრებლებს ახალ უცხოურ კინოფილმს უჩვენებდა. ყველა სიამოვნებით მიღიოდა მის ღონისძიებაზე, განსაკუთრებით რუს ქალბატონებს იზიდავდათ კინოების ცქერა. ამ მოხერხებული საშუალებით იულონ მარღანია აფხაზეთის საზოგადოება „ცოდნის“ სალექციო-საფინანსო გეგმების ნახევარზე მეტს ასრულებდა. ალიკ კონსტანტინიდი მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე იყო და ახლო მეგობარს ხშირად დაჰყვებოდა.

მანქანა ტროტუართან მიაყენეს და შემთხვევით შეხვედრილ მეგობრებს თბილად გადაეხვიდნ.

— საიდან, როგორ, სად მიღიხართ,

— უცებ დააყარეს კითხვები აფხაზეთის მკვიდრებმა, — თუ მოდიოდით, რატომ არ შეგვატყობინეთ, იქნებ დახვედრას ვერ შევძლებდით, რამ შეგიშალათ ხელი ასე ჩუმად რომ მიიპარებოდით.

— უცებ გადაწყდა წამოსვლა, სოჭში მივდგართ კონფერენციაზე, არაფრით არ მოგვეშვნენ, თორებ ახლა სიარულისა და გართობა-დასვენების დრო ნამდვილად არ არის, ტელეფონით დაერკვაც შეუძლებელი აღმოჩნდა, არცერთი არ მუშაობდა, ბევრი ცდისა და ლოდინის საშუალება ნამდვილად არ გვქონდა.

— ჰო, ამ დაძაბულმა ვითარებამ ტელეფონიც გააუფასერა და მთელი ჩვენი ცხოვრებაც. რა არის თქვენს კენახალი, საერთოდ რა ხდება, არსებული მდგომარეობის თქვენნაირ საუკეთესო მცოდნეს მთელ საქართველოში თუ არა, აფხაზეთში ნამდვილად ვერ შევხვდებით.

— ძალიან კი შეგვაქეთ, მაგრამ ხდება ის, რასაც ყველა ვხედავთ, ვგრძნობთ და გნივცდით მსგავსი არეულობა ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი ვარ და ჯერ არ მომსწრებია, მხოლოდ ცუდს თუ გაიგებ, ამ საშინელ მდგომარეობას რა ძალა გამოასწორებს. ჩვენ ძალიან გვიჭირს ასჯერ მეტ რუსულ ძალებთან დაპირისპირება, როგორც კი საქართველომ გაამჟღავნა თავისუფლების მოპოვებისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ასწლობით გულში ნადები იდეა, რუსეთის ხელმძღვანელობა მყისვე ჩვენს წინააღმდეგ ძალების მობილიზების შეუდგა, ხაზს ვუსვამ ხელმძღვანელობა და არა

ხალხი, თუმცა ამ ოხერ ხელმძღვანელობას მიღიცავაც ემორჩილება, არმიაც, უშიშროებაც და ათასი სხვა ორგანიზაციაც, ჩვენ მათთან ძალით ვერაფერს გავხდებით, სიტყვით, ერთიანობით, ერთმანეთის მხარში დგომით უნდა ვებრძოლოთ, ერთი ასსაც არ შეუშინდეს, დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას არ გადაუხვიოთ, მტკიცედ დავდგეთ და იქნებ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დაგვეხმარონ, გაჭირვებაში არ მიგვაჭოვონ, არ მიგვაგდონ, თუმცა პირადად მე შორეული ამერიკის, უფრო ახლოს კი გერმანიის თუ საფრანგეთის მაინცდამაინც დიდი იმედი არ მაქვს.

— აბა, რა ვქნათ, ვისი იმედი უნდა გვქონდეს?

— პირველ რიგში საკუთარი თავის. გახსოვთ რას წერდა გენიალური ვაჟაფშაველა: „თვით მოუარეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვაზედა“, სხვა რას გაგიკეთებს. ვინ ეხმარებოდა ერეკლე მეუეს, თავად იპრძოდა ლომივით, საკუთარ მაგალითზე რაზმავდა ხალხს, მეუე იყო, უზენაესი პირი და ლეგთა მთავარს კოხტა ბელადს ერთი-ერთზე ერკინებოდა ხმალდახმალ, იმარჯვებდა, ამით ყველას გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა.

— ეჰ, ეგ სხვა დრო იყო, სხვა ვითარება, სხვა განზომილებები, ახლა მეუე და ხმალი ვიღას ახსოვს, დედამიწიდან ათიათასი მეტრის სიმაღლეზე შემოვარუსული ავიაგამანადგურებელი, დაგაყრის ყუმბარებს, ამოგწვავს, ამოგუუჟავს, შენ კი მიდი და იქნიე მამა-პაპური ხმალი.

— ეს დაახლოებით ასეა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, თუ

აღვუდექით ამ ბოროტების იმპერიას ანუ რუსეთს, ბოლომდის უნდა ვებრძოლოთ, შეუდრეკლად, მართლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

— ბრძოლა კი ძალიან მნელია, უთანასწორო, თანაც ამათ რომ არ იყადრონ ისეთი სფერო არც მეგულება. ახლა აფხაზეთში გამალებით არიგებენ იარაღს, ზღვითაც შემოაქვთ და ხმელეთითაც, ხალხს ამზადებენ მომავალი შეტაკებისთვის, თუმცა მომზადებული ხალხის მეტი რა ჰყავთ, თვითონ იომებენ აფხაზების ნაცვლად, ვისაც ბოლომდის მაინც არ ენდობიან, ან მოგისევენ ფულით ნაყიდ ჩეჩინებს, ინგუშებს, ყაბარდიოლებს, სომხებს და ყველა ფულზე დახარბებულ ადამიანს, ახალგაზრდა იქნება თუ ხნიერი. ამავე დროს რუსული პასპორტებიც უხვად აქვთ დარიგებული და ყველგან თავგამოდებით აცხადებენ ჩვენი მოქალაქები არიან და ამიტომაც დავიცავითო. რუსეთს ხომ ამნაირ მაქინაციებსა და უნამუსობაში ტოლი არ გააჩნია.

— რასაკვირველია, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველო ხელიდან არ გამოეცალოს, თუ საქართველო დაკარგა, აზერბაიჯანიც დაკარგება და ვითომ ერთგული სომხებიც უგანებენ.

— ნამდვილად ასე იქნება, ამიტომაც არაფერს აღარ ერიდება. აი, ერთი სულ პატარა ფაქტი. მე სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად სოფლებში მიხდება სიარული, ცხენით თუ ფეხით ამ ბოლოსაც მოვიარე საკენი, ფსხუ, ჭლოუ, აჭანდარა და სხვა სოფლები. ხალხი სულ იარაღს ატრიალებს, იზიდავთ კიდეც ასეთი მდგო-

მარეობა. ყველა სოფელშია გამოყოფილი რამდენიმე რუსი ინსტრუქტორი, ხალხს იარაღს ასწავლიან და სროლაში ავარჯიშებენ, სომხებით დასახლებულ სოფლებში კიღევ უფრო მეტი მომზადება მიღის, იქ მსხვილკალიბრიან და ტანკსაწინააღმდეგო იარაღებსაც ცდიან, ასწავლიან. ჩვენს მთავრობას კი სირაქლემის პოზა უჭირავს, ჰერინია რაიმეს გაკეთებას შეძლებს, მაგრამ დღითიდეული მიგლივართ უფსკულისაგნ, უკვე ცხადად ჩანს რომ უბედურება კარს არის მოდგარი.

ამ საუბრისას უოეპგარას მოედნის კუთხეში შედარებით ვიწრო, ოდესაც ასფალტით დაფარულ ტროტუარზე იღენენ, სულ რაღაც 20-25 მეტრის იქთ, უბანში საქმაოდ პოპულარული ერთსართულიანი და ერთოთახიანი ფიცრული სამწვადე ჩანდა. სამწვადიდან კარგად შეზარხოშებული ბიჭების მობარბაცე გუნდი გამოვიდა, ჯერ ცოტა ხანს ხელ-ფეხს იქნევდნენ, მერე ერთმანეთს კოცნებით დაემშვიდობნენ, ნაწილი აღმართისკენ ამავალ გზას დაადგა, ნაწილი კი დაბლა ქუჩისკენ წამოვიდა. ისე მოდიოდნენ თითქოს მთელი ქუჩა მოკქონდათ, ლოთი-შფოთი ბიჭები ჩანდნენ, მთელი მიდამოს ბატონ-პატრონებივით იქცეოდნენ, ხუთი იყვნენ. მოსაუბრები განზე გადგნენ, მთვრალებს გზა დაუთმეს, ერთი მობარბაცე მაინც დაეჯახა განაპირას მდგარ ალიკ კონსტანტინიდს.

— რა არი სულ ფეხებში რომ გვედებით, უთქვენოდ ქუჩაშიც ვეღარ გაგვივლია, ყველგან თქვენი „როჟები“ ჩანს, როდებდე უნდა გიყუროთ, წადი რა მმაო, წაეთრიეთ აქედან, სტუმრები

ბივით კი არა, ბატონებივით იქცევით.

დაცემამდის მთვრალი ოცდახუთწლამდის ბიჭი სასაცილო აქცენტიანი რუსულით ლაპარაკობდა, სხვები შესამჩნევი ქანაობით თავებს იქნევდნენ თანხმობის ნიშნად.

— ბოდიში მმაო, მივიწიეთ, გზა დაგითმეთ, მეტი რა უნდა გვექნა.

— ვინ არის შენი მმა, შე პედერასტო, დათმობა კი არა, საერთოდ უნდა გამქრალიყავით მოედნიდან, ეს ჩვენი ადგილია, ჩვენ ვართ უფროსები.

— იყავით, ბატონო იყავით.

— როგორ თუ იყავით, ესე იგი თქვენ ნებას გვრთავთ ვიყოთ, თქვე კეთილმოტყულებო, — ამ სიტყვებით ბიჭმა ალიკ კონსტანტინიდს გამეტებით პკრა ხელი, — უკან მდგარ ხეს რომ არ შეეკავებინა აუცილებლად დაუცემოდა.

საშა ყაფლანიშვილმა იგრძნო ჩხუბი ჩაღდებოდა, ორი ნაბიჯი გადადგა უკან და სულ ახლოს მდგარი „ვოლგიდან“ ჩუმად გამოიღო მოგრძო რკინა, მანქანის ცნობილი საბურისი. დაცემამდის მთვრალებმა უფროსების წესიერი ლაპარაკი და მოთმინება შეშინებად მიიღეს, როგორც ჩანს, საბოლოო გადავლა მოინდომეს. ერთმა ყველაზე აქტიურმა სლოკინ-სლოკინით ხმამაღლა დაიძახა: აბა, თქვენი პედერასტული ლაპარაკი აღარ გააგრძელოთ, სასწრაფოდ სირბილით მოუსვით აქედან.

— ჯობია თქვენ წესიერად მოიქეცით და ზრდილობა იქონიეთ, ბოლოს და ბოლოს აქ თქვენზე გაცილებით უფროსები ვდგავართ.

— რას დგახართ თქვე იდიოტებო, ყლეებო, სასწრაფოდ მოუსვით, თორემ

მოთმენა მორჩა.

როცა უფროსები არ დაიძრნენ, მთვრალები შეტევაზე გადმოვიდნენ, წიხლები ამოსცხეს იულონ მარღანიას და ალიკ კონსტანტინიდს, გიგას კი ერთ-ერთმა, რომელიც სომხურად იგინებოდა, მთვრალის საკმაოდ უძალო მუშტი დაარტყა სახეში. ასეთ დამცირების მოთმენა უკვე შეუძლებელი იყო, წამოჭარხლებულმა გიგამ ისეთი ძალით ხეოქა შავომტებან გამხდარ ახალგაზრდას, რომ ის ტროტუარიდან გადავარდა და ბორდუართან ახლოს ჩაიგეცა. ამის შემხედვებრე ერთი შეხედვითვე მაგრად მთვრალმა, შედარებით უფროსმა მწითურმა ბიჭმა უბიდან დიდი პურის საჭრელი დაანა ამოიღო და როგორც კი ნაბიჯი წინ გადმოდგა ნახევრად აწეულ ხელში საშიშად მოელვარე დანით, საშა ყაფლანიშვილმა თავისი „ვოლგის“ შედარებით მუქი საბურისი მთელი ძალით ამოარტყა ქვემოდან მკლავში, გრძელი ხისტარიანი დანა ჰაერში ავარდა და უკვე ჩხუბში ჩართულების უკან ასფალტის ნაჭერს ზრიალით დაეცა, დაცემული დანა გიგამ ხელში აიტაცა, შეათამაშა და თან გაბრაზებული ხმით შესძახა: ახლავე თქვენ მოუსვით აქედან, თორებ ყურებს მართლა დაგაჭრითო. მომხდერი ახალგაზრდები თითქოს გონს მოეგნ, შეჩერდნენ, მერე ერთმა თქვა თქვენ აქ დაიცადეთ, ახლავე მოვალოთ და უკან წავიდნენ სამწვადის მხარეს აღმართში ამავალი ქუჩისკნ.

— ესენი ან იარალის მოსატანად წავიდნენ, ან ბიჭების შესაკრებად, ჯობია აქ აღარ დაგხვდეთ, წავიდეთ, — განაცახადა საშა ყაფლანიშვილმა, — თქვენც

ჩასხედით, წამოდით, მარტოებს სადმე არ გადაგეყარონ.

ყველანი ჩასხდნენ, საშამ მოედანზე მოუხვია და კვლავ გაგრიფშისკენ წავიდა.

— საით მიდიხარ, ისედაც დაგვაგვიანდა, — კითხა გიგამ.

— ჯობია კაბლი ავურიოთ, იკითხავენ, ეტყვიან თბილისისკენ წავიდნენო. ამასობაში მან გაგრიფშის ახლოს მარცხნივ შეუხვია, ძალიან ვიწრო ქუჩებით იარა და კვლავ უოეკვარას მოედნის იქით გზაზე ჩამოვიდა, მანქანას გაზი მოუმატა და სრული სკლით გაქმდა.

— ჯობია თქვენ წამოდით და ადლერიდან გამოყევით ელექტრომატარებელს, ასე უფრო უსაფრთხოდ იმგზავრებთ, თუმც იმ გახეთქილ მთვრალებს შეიძლება საღმე ხის ძირშიც კი სძინავთ. არა მგონია მაგათ უკან დაბრუნებისა და ჩხუბის თავი ჰქონდეთ.

ულამაზესი ადგილები გამოიარეს და უკვე განთიადს მიუახლოვდნენ, სადაც პირობითი საზღვარი გადიოდა. ამ დროს გაოცებისაგან პირდალებულმა საშა ყაფლანიშვილმა მანქანა შეაჩერა: შეხედეთ, შეხედეთ, ეს რა ხდება რამდენი ძერაა.

მანქანა გაჩერდა, ზღვა ახლოს ჩანდა, მკვეთრი ამინდის გამო ყველაფრის გარკვევით დანახვა შეიძლებოდა. სოჭის მხრიდან, ანუ რუსეთის მხრიდან მოყვითალო-მოყავისფრო ძერების დიდი გუნდი მოფრინავდა, გაგრის მხრიდან კი რამდენიმე საათის წინ ნანახი შვიდი გაბუნტყლული ძერა. მცირე და დიდი გუნდი ერთმანეთს მიეახლა, დიდი

გუნდი ალბათ ოცდაათი-ოცდახუთი საქმაოდ დიდი ძერისაგან შესდგებოდა, ორი-სამი წუთი ერთმანეთის გარს უკლიდნენ, უშნო ჭყიტინის თუ შეკივლების ხმებიც ისმოდა, თითქოს თაგის საკუთარ ენაზე რაღაც მათთვის მნიშვნელოვანს ამბობდნენ. უცებ მონასტერი სასტიკად აირია, ერთმანეთს გამეტებით დაერიენ, ვინ ვის წიწკნიდა, რომელი რომელს ზემოდან ახტებოდა და ბასრ ნისკარტს ურტყამდა ვერაფრით გაარჩევდით. უჩვეულო, ჯერ არსად ნანახი არეულობა ანუ საოცარი ზედახორა აღარ თავდებოდა. გიგამ თქვა: წავედით, ძალიან დაგვაგვიანდა, ჯანდაბას ამათი თავი, რა უბედურებამ მოამრავლა ასე აფხაზეთში ძერებიო. ის იყო მანქანის სარკმელი უნდა დაეკეტა, რომ კვლავ შესძახეს შეხედე, შეხედო. ოთხი ძერა, სრულიად გაუგებარი კი იყო რომელს მხარეს წარმოადგენდნენ, მბიმე ტრიალით, თან ბუმბულების აქეთ-იქით ფანტვით წამოვ-

იდნენ საკმაო სიმაღლიდან და ხავს-მოდებული ქვებივით ჩაცვიდნენ ზღვაში, დიდი გუნდი კი ისევ უკან გაბრუნდა და საიდანაც მოფრინდნენ იქით გასწიეს.

— დღეს უკვე მეორედ მოგვიხდა ამ სასწაულის ნახვა, რაშია საქმე, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე, ეს, — იკითხა აღელვებულმა საშამ.

— რასაც არ უნდა ნიშნავდეს, ფაქტია, რომ აფხაზეთის ზეცა საშინელი ძერებით დაიფარა, სრულიად ნათელია ეს რაიმე სასიკეთოს მომასწავებელი არ არის, პირიქით, დიდი უბედურების ნიშანი უნდა იყოს.

გაოცებულები და შეშფოთებულები კოდევ არჩევდნენ ნანახს. მალე იულონი და ალიკა ადლერში ჩავიდნენ, გიგამ და საშამ კი გააგრძელეს გზა სოჭისკენ. გული კი ოდნავადაც აღარ უწევდათ.

ნუგ ზარ წერეთელი

ნუბზარ მობილური

**ზამთრის სურათი
(არტისტული ფანტაზია)**

ფერი ადევს ქალაქს ნაცრის,
ქარი დაპქრის ცივი, მკაცრი.
ხორციელი არ ჭაჭანებს,
ძე არ მოსჩანს არსად კაცის.
მთიდან ნამქერს მოაქროლებს
ქარი, ალბათ ხვალ ითოვებს.
თბილ სალონში ჩამსხდარ მძღოლებს,
ქუჩის ძაღლი თვალს აყოლებს.
ვინც ფანჯრიდა უცქერს ყოველს,
უდარდელად გააბოლებს:
სავარძელში ჩაეშვება
და გამოსცემს კვამლის რგოლებს.
მასაც კი აქვს რაღაც დარდი,
მაგრამ დარდებს არ იგროვებს:
ზამთარია, უკვე ბარდის
რაღას იზამს, რას იღონებს?!
გაიხსენებს ლამაზ ცოლებს,
გაიხსენებს მთავარ როლებს,
ფიქრი – როგორც ციგა – მსრბოლელს,
წარსულისკენ მიაქროლებს.



13. 12. 2010

მატარებელი

კიდევ ერთმა სახლმა ჩამიქროლა,
ერთმა ხიდმა – ერთმა ხემ...
მთვარე მომდევს, მთვარეს ვეღარ გავუსწარი,
მთვარეს ვერსად დავემალე ჩემმა მზემ!
ეს დამე კი ურემივით მიზოზინებს,
გათენებას არ დაადგა საშველი...
მთვარე მომდევს, მთვარემ იცის – სადაც ჩავალ,
მე იქედან არსად არ ვარ წამსვლელი!
არ სჩვევია ობლად რომ მიმატოვოს!
ორივენი ვართ ოცნების მძებნელი...
ერთად მივქრით ბედის მატარებელში
მე და მთვარე –
ჩემი გამცილებელი!

19. 02. 2009

პიბე

ლექსის თემა არ ილევა
იყო და არც იყო რა...
ბრძენი იყო, ვინც პირველმა
კიბე გამოიგონა!
და აუყვა კიბე-კიბეს
დინჯად მოდგმა ადამის;
ყველა მაღლა-მაღლა იწევს
დაბლა ნებით არ ჩადის.
არის კიბე ხის და რკინის,
არის კიბე ბეტონის...
ზოგი კიბე თვითონ მიდის,
უნდა მხოლოდ ჟეტონი!
მაღლა ვინც კი მოექცევა,
აღარავის იკარებს.

ძმაკაცი მტრად ეჩვენება,
 (ღმერთო! შენ დაგვიფარე!)
 გემის კიბე ვინ არ იცის,
 გემის კიბე ტრაპია!
 ვინ დაითვლის კიბეებზე,
 ზანტია თუ სწრაფია.
 მაგრამ ძმებო, ნუ იჩქარებთ!
 არის კარგი იდეა!
 სუყველაზე სანდო კიბე!
 პარლამენტის კიბეა!
 P.S დიოგენე ლამპით ზელში,
 კაცს ეძებდა მგონია...
 თუმცა, მის კასრს თავის დღეში
 კიბე არა ჰქონია!

1999 წ.

დროის მანქანა

რადიო ჩავრთე და მომეფინა
 მივიწყებული ტკბილი ჰანგები...
 თვალწინ გაცოცხლდა ცხოვრება წინა,
 თავსეგადამხდარი ჭრელი ამბებით...
 წარსულისაკენ მან გამაქანა,
 გული გამითბო და ამიძგერა...
 ყველაზე კარგი დროის მანქანა –
 არის სიმღერა!
 ჰა, ამოძრავდა ოცნების ძრავა,
 მისი ხმაა თუ სისხლი ხმაურობს?
 მაშ, გავეშუროთ ყველანი ერთად –
 სიჭაბუკეში სამოგზაუროდ!

1 მაისი, 2010

ბალეშილი ტრაქტაფი რიცხვი 20-ის შესახებ

რიცხვი ოცი ჩვენს ენაში
 საოცარი რიცხვია!
 ნახეთ თუ რა თეორია
 მასზე გამომიცხვია...
 ოცი არის სრუყლყოფილი,
 და ყველაფრის მომცველი...
 დამარხული საიდუმლოს
 გასაღების მომცემი!
 ოცი ბავშვის დაბადება
 იყო მშობლის ოცნება,
 „მამას პყავდა ოცი შვილი“-ს
 ლექსიც დამემოწმება.
 მერე მათი გზის მფარველი
 გახლდათ დედის ლოცვანი,
 (დედის ლოცვა მაშინაც ჭრის,
 როცა შვილი შორს არი).
 „ოცი“ კარგად შეფარული
 ბევს სიტყვაში „მაკ-ოც-ე“!
 ისე კარგად ინილბება,
 გეფიცებით მა-ოც-ებს!
 კოცნა, ლოცვა, გაოცება,
 საოცრებაც ოცია!
 როცა ოცის შესრულდები,
 მართლაც მოსალ-ოცია!
 როცა სიჭაბუქე მოვა,
 აგიტაცებს როს ვნება,
 სიყვარულიც გეახლება –
 აგიხდება ოც-ნება!
 გისურვებენ ხუთჯერ ოც წელს,
 განა საკვირველია?
 ხუთი ბ-ოც-ა რქაწითელი
 ლხინში დასალევია!
 მე ამ ლექსში ცოტას ვხუმრობ,

და სიმართლეს ვამბობ თანაც,
გაარჩიოთ, სად რა არის?
აი, თქვენი ამ-ოც-ანა!
უძველეს დროში
ოცამდე თვლა, უდიდესი
საკრალურ, იდუმალ, ყოვლისმომცველ
მნელად მისაღწევ ამ-ოც-ანად ითვლებოდა!
ჩემი აზრით, ამიტომ გვაქვს
ქართველებს „ოცობითი“ თვლა:
ოცი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი...

27. 08. 2010

პრედო

საინტერესო თუ იცი, რაა?
გადასალახი მაღალი მთაა...
გადასაცური ძლელვარე ზღვაა...
გადასაგდები გულიდან ქვაა,
ამოსახეთქი სულიდან ძმაა...
გადასარჩენი – მოყვასი, ხმაა,
მომავლისათვის დარგული ბზაა...
იმ აზრის წვდომა, რომელიც ღრმაა...
ალალი რჩევა – ვინაც რომ ყრმაა,
გზების გაკვალვა – ვინაც რომ ბრმაა...
უცხო ტომელთან ძმობის გაბმაა...
ყველ საქმისთვის თავის დადგმაა,
ძმათა ქეიფში, სიმღერა სმაა...
ცით მოწყვეტილი ლექსების თქმაა...
უსწორმასწორო ცხოვრების გზაა,
საინტერესო თუ იცი, რაა?...

2011 წ.

კედლის საათი

კედლის საათი რეკავს და რეკავს...
 მუშაობს ზუსტად, დინჯად, ტაატით.
 არც იგვიანებს, არც ეჩქარება:
 მას მხოლოდ დროსთან აქვს მასლაათი.
 მასაც თან დასდევს თავისი ბედი,
 მაოცებს მისი სულისკვეთება:
 ასი წელია და ცოტა მეტიც,
 იგი მუშაობს შეუკეთებლად.
 შეუჩერებლად ტრიალებს წრეზე,
 ორი ისარი: გრძელი და მოკლე.
 იცავს უამთასვლის უმკაცრეს წესებს:
 არც პლატონსა სცნობს და არც სოფოკლეს.
 თუმცა კი იცნობს: მისი დროც მოვა,
 გრძნობს, ძველებურად დამეს ვერ ათევს...
 რაღაც რომ მოხდეს, მომცრო ჯიხურში
 ვერც იპოვნიან ძველ მესათეს.
 დროის ციფერბლატს ისიც გადაჰყვა,
 მასაც შეეხო უამი ცბიერი...
 ციფრებით დროთა გამომსახველი,
 ისრებს განაგებს ლიუციფერი.
 კედლის საათი ვეღარც კი არჩევს:
 სად ცხადია და სად სიზმრებია...
 უკვირს, ცხრისკენ რომ ისრებს გადასწევს,
 რად არ არ მაღვიძებს ჩემი ბებია!
 საათში ერთხელ ისევ დარეკავს,
 სანამდის უცემს გული-ზამბარა
 და მოგონებებს კვლავ გადმორეკავს,
 ვით მწყემსი ფარას მწყემსავს მთა-ბარად.
 მათოვის, ვინც კეთილს არ თესავს ქვეყნად,
 ვინც სხვის ცხოვრებას უაზროდ ქექავს,
 მათოვის, ვინც სულის არ იცის სევდა –
 კედლის საათი რეკავს და რეკავს!

07მორმება

ისე წვიმდა ქალაქ ფოთს –
წყალი გასცდა კალაპოტს:
დაიტბორა მოედანი,
გვინდა ნოეს კიდობანი!
რადგან მგონი მოდის წარლვნა:
(არ მთავრდება ხალხის გარყვნა!)
ალბათ არც ღირს კვლავ წყლის ნაყვა,
წარსულს ნაღლი ხალხი გაჰყვა....
ეგებება აქ ზღვა რიონს....
ვერვინ შეცვლის გალაკტიონს!
ვერვინ შეცვლის გალაკტიონს!

14. 12. 2010

თოვლიანი დილა

ისეთი თოვლი მოვიდა
რომ არ მოსულა წინათ...
შენ კი ჩათბილულ ლოგინს
ვერ შორდები და გძინავს...
პურის მანქანა ქუჩას,
კვალს დაამჩნევს და წავა...
ისეთი პირი უჩანს,
გაგიცივდება ყავა.
ბეღურა ცერად მიცქერს,
აზის აივნის რიკულს,
Fm-ზე გადმოსცემენ
მუსიკას ამერიკულს...
ისე უხდება ამ თოვლს,
რომ ურუანტელი მივლის...
სტუდიაში ვარ თითქოს:
გახმოვანება მიდის!

* * *

ცხოვრება რა რთულია,
როდესაც ქართულია!

ნიკალა

ეს პარიზელი დამა კარგია,
მთელი ცხოვრება დამაკარგია!

მასონი

მყის დაავიწყდა მას ონი,
როგორც კი გახდა მასონი.

* * *

ჩვენში რამდენიც არის პარტია
ზუსტად იმდენი ბონაპარტია!

საქართველო

საქართველო გაიხლიჩა:
აქეთ გოჩა, იქით ხვიჩა!

ნარდი

აბა სე! და აბა შაში!
გავაგოროთ აბაშაში!

მანავის მწვანე

სიტყვა იკადრა მან ავი
როდესაც შესვა „მანავი“.

* * *

ვერას უშველის კარებს ურდული
თუკი ცხოვრება არის ქურდული!

* * *

ყველაფრის ფასი ნულია,
რაც არ არს ეროვნულია!

თემიდა

ჩაიქირქილა თემიდამ:
ისე ვსჯი, როგორც მე მინდა!

ბარბაროსი

რომს უტევდა ბარბაროსი,
რუსს ბარი-ბარ უდგას ოსი...

* * *

სადაც ბევრი ბანძია –
ნაღდი კაცი განძია!

„ტანძია... ვარძია... ტანძია“.

რომელ და ჯულიეთა

ჯულიეტამ თქვა,
რომელ,
ამაღამ მოვა რომელ!

90-0260 ფლების ბახსენება

დღეში ორჯერ არ გვაქვს დენი?
გაჩუმდი და... ა, ორდენი!

მუსთანგები, ანუ ველური ცხვენები

როგორც ქარში ღრუბლები –
მიგერით თავისუფლები!

۳۹۷

მე ვარ მაღალფეხბა, გრძელნისკარტა, საკმაოდ სიმპათიური არსება. გარდა იმისა, რომ არსებობისა და ჯიშის პოპულაციისთვის ვიბრძვი (იმაზე კარგი რა უნდა იყოს, ჩემნაირების გრძელი მწკრივი რომ გადაუფრენს ცას!), ადამიანის გამრავლებაზეც ვზრუნავ. თვითონ გაუთხვოვარს, უკვე 100-ზე მეტი ადამიანის ბარტყი მყავს ჩავდებული საკამატურებში! გუშინ 101-ეს მივაფრენდი ნაბრძანებ მისამართზე, მაგრამ ოჯახის უფროსი შინ ისეთი მთვრალი დაბრუნდა – აზრი არ ჰქონდა! მყავს ახლა ეს ბარტყი ბუდეში და ველოდები ხელსაყრელ მომენტს! რას ვაჭმევ? არც არაფერს, ჯერ ამათ ჭამა არ უნდათ, ჩასახვის შემდეგ დაუწყებს დედამისი კვებას, ვინც ბრძანებას იძლევა, იმან მითხრა, ეს წესიერი კაცი უნდა გამოკიდეს და არ იქაროო, არც ვრქარობ, მაგრამ ერთი „ინტელიგენტი“ მამრი არ მეშვება, „ქალიშვილო, იქნებ ერთად ვივახშმოთო?“, რომ დავთანხმდე და წავყვე, შეიძლება სწორედ მაშინ ჰქონდეს იდეალური საღამო იმ ოჯახს, ამიტომ, არ ვიცი რა ვქნა! არა და მეც მინდა ჩემი ბარტყების ყოლა: დრო გადის! ქვემოდან ალბათ რა კარგად ჩანს ჩვენი ცხოვრება: უდარდელი არსებები ლაღად დაფრინავენ ცის კაბალონზე! სიმღერებსაც კი ვიძლვნიან: „მიფრინავენ წეროები, მიფრინავენ შორს, აღარ დაბრუნდებიანო, ავრცელებენ ჭორს“. აქ ეტყობა რომისთვის იხმარეს სიტყვა „ჭორს“, თორემ არა მგონია, ვინმე ჩვენს დაბრუნება-არდაბრუნებაზე დარღობდეს. კიდევ: ადამიანები ბავშვობაში ქაღალდის წეროებს

აკეთებენ და ამით ძალზე ერთობიან, ისე მოსწონთ აფრენის იდეა, რომ ბოლოსდაბოლოს რკინის ფრინველი გამოიგონეს! ესეც არ იკარეს და საერთოდ გაცდნენ ატმოსფეროს და ღია კოსმოსში უშვებენ და უშვებენ სხვა-დასხვა კონსტრუქციის მფრინავ აპარატებს. მოკლედ, კაცობრიობის ოცნება პირდაპირ არის დაკავშირებული ფრენასთან. „გავფრინდები, გავფრინდები მეუბნები შენ, ეშმაკობ და გულში ფიქრობ სევდას გავუჩენ!“ ან თუნდაც ეს: „სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის“ „ოცნების ფრთხი“ ხომ უამრავჯერ არის ნახ-სენები სხვადასხვა ლექსში. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვების ჯაჭვის სათავეში დგანან, მაინც შეურთ ჩემი. იმიტომ, რომ მე მართალია, გაუნათლებელი ვარ, მაგრამ ფრთხი მაქვს და სადაც მინდა გავფრინდები. რაღაც ლექსივით გამომიგიდა, არა? პოეტებიც ხომ წინათ ფრინველის ფრთით წერდნენ? მართალია, ბატის ფრთით, მაგრამ მაინც... აქ შეიძლება ასე იხუმრო: „თუ გინდა წერო, ფრთა გინდა წეროს“ თუ წეროსი, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. „მაღლა ცაში ავფრინდები, თუკი მაღლოვები“... სწორედ ჩემისთანებზეა ნათქვამი, ყოველ წელს, შემოდგომაზე, დავეწყობით გრძელ მწკრივად და მიუფრინავთ იქით – სადაც სითბოა – სადაც საკვებია. ამას „ფრინველთა გადაფრენას“ ეძახიან. ზოგს საერთოდ არა აქვს ჩვევად ეს გადაფრენა. რჩება თავის ადგილას. არადა, რა ძნელია ეს გადაფრენები! მიფრინავ შენთვის, არავის არაფერს

უშავებ და რაღაც რკინის ურჩეული ადამიანებით სავსე, გზას გიღობავს! ზოგჯერ „ჩვენი ძმა“ ყელში ეჩხირება და ვეღარ ფრენს, ძირს ენარცხება! მაგრამ, სჯობს წუწუნს მოვეშვა, აგრ მწყერებს თუ შევადარებთ ჩვენს ცხოვრებას – ჩვენ რა გვიჭირს! მაგათ ყველა ემტერება. ძაღლი, მეღა, ტურა და, რაც მთავარია, ადამიანები! რესტორნები მაგათი ტაბაკებით და შემწვარი კვერცხებით არის გავსებული! ჩვენ ადამიანი არ გვჭამს, მაგრამ მაინც გვესვრიან ხანდახან! ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენ კი არა, ძაღლებსაც ჭამენ, მაგრამ საქართველოში უფრო გარეულ ქათმებსა და ხოხებზე ნადირობენ, დედაქალაქის სიმბოლოც ხოხობია, მეფეს მოუკლავს და თბილ წყალში ჩაგრძნილა! არც ეგეთი ნადირობა მინდა და არც ეგეთი სიმბოლოდ ქცევა! ჩვენ, წეროები, უფრო დიდ საქმეს ვემსახურებით! აკი უკვე მოგახსენეთ, ადამიანებს გამრავლებაში ვეხმარებით! ეჭ, რა იციან ადამიანებმა, თუ რა რთულია ჩვენთვის საკვების მოპოვება! ამ დალოცვილ საქართველოში, ბაყაყს, ჩვენს და უხსენებლის გარდა არავინ ჭამს! ვიდექით ჩვენთვის ჭაობიან ჭალაში, იმოდენა ნისკარტები გვაქვს – თავის დახრაც მაინცდამაინც არ გვჭირდება, ჩავუნისკარტებდით ამ სულელ ბაყაყებს და მადიანად გეახლებოდით. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ფრანგებსაც ჰყვარებიათ ეს ყიყინა არსებები, კარგ ფულს იხდიან თურმე თითოში, რაც უფრო დიდია ამ ამფიბიის ზომა – უფრო ძვირია! ჰოდა, ჩამოყალიბდა მთელი საწარმოები დაჭრა – დაფასოება – გაგზავნის დარგში. ახლოს რომ მიკურინდებით, იქვე თოფიანი კაცები გვიც-

დიან, ვინ იცის, რამდენი მათგანი გვფავს საკვამურში ჩაგდებული. ეჭ, ვისი ხელით ვკვდებით? ბაყაყზე გამახსენდა: ნეტავ, რითი უნდა გამიმასპინძლდეს ჩემი „ინტელიგენტი?“ ვაითუ, იმ თოფიანებთან მეპატიუება? არა, თქვენ შემოგველეთ! არაფრით წავყვები; ჯერ ერთი, ბრძანება უნდა შევასრულო, მეორეც, სიცოცხლე მწყურია! თანაც დიეტას არაფერი სჯობს, წვენებზეც იოლად გადავალ, არ დავმმიმდები, მსუბუქად ვიფრენ! ისე, ჩვენში რომ დარჩეს, თუ ვაუკაცია, ერთი-ორი ამფიბია თვითონ დაითრიოს და სადმე ტყისპირას მშვიდ გარემოში ვივახშმოთ, არც მეღა და ტურა შეგვაწუხებს და არც მონადირე ძაღლები! კარგი კი იქნებოდა, მაგრამ „ინტელიგენტი“ მამრი მაგის გამკეთებელია? კიდევ კარგი, ადამიანის ბარტყეს ჯერ ჭამა არ უნდა. მასზე გამახსენდა: ერთი ავუფრენ – ჩავუფრენ იმ ოჯახს, ეგება დღეს არიან ფხიზელ ჭკუაზე! გადავწყვიტე და გავფრინდი კიდეც. ბავშვიანი კალათა საიმელოდ მიჭირავს, სახლს მივუახლოვდი თუ არა, რას ვხედავ? ეს ჩემი კავალერი საკვამურზე შემომჯდარა და მელოდება. „აქ რას აკეთებ მეთქი?“ „ორიოდე ბაყაყი დავითრიე და აქ ვივახშმოთ, ვიცოდი, აქ რომ საქმე გქონდაო“, „ეჭ, ვინ იცისო – ნაღვლიანად დაამატა – იქნებ ჩვენი მეგლელი უნდა გაჩნდეს. მაგ ბარტყიდანო“. „ეგ ჩვენი საქმე არ არის – ვუთხარი მე, - ბრძანება უნდა შევასრულოთ, თუ კარგად შევასრულებთ, მერე ჩვენ ჩამოგვიგდებენ წეროები ბავშვებს!“ „შენ ეგეთები საიდან იციო?“ - გაიკვირვა ჩემმა მასპინძელმა.

- წიგნების კითხვა რომ მიყვარ-

და, დაგავიწყდა? – მისთვის მოულოდნელად გაითხე.

- პორ? – აღმაცერად გადმომხედა მან. მაშინაც ასეთი გამოხედვა ჰქონდა, დაბლა რომ ვცხოვრობდით! ბაყაყს დავწვდი, და ისე უცებ გადავსანსლე, საწყალმა დაყიყინებაც ვერ მოასწრო!

სახლის კართან რამდენიმე მანქანა გაჩერდა, კარგად ჩატული ახალგაზრდები სიცილ-კისკისით შევიდნენ დარბაზში. აქ კი ჩვენი ბავშვის მომავალი მშობლები ელოდნენ. გადაეხვენენ ერთმანეთს, სანთლები აანთეს და გემრიელ სუფრას მიუსხდნენ.

„ოო, რა საუცხოო სახლია!“ - შესძახეს სტუმრებმა. „მეოცე საუკუნის დასაწყისის სტილია“. მასპინძელი წყვილი ყველა ოთახში შეუძლვა სტუმრებს. „ეს რა ბიბლიოთეკა გქონიათ?“ „საოცარია, საოცარია!“ „ეს დიდმა ბაბუამ და ბებიამ დაგვიტოვა, მე მშობლებისაგან მეტყვიდრეობით მერგო“, ამაყად წარმოთქვა ვაჟმა. „ზოგს რა ბედი აქვს“ გასცრეს აქეთ-იქიდან, მოდით მაგიდას მივუჯდეთ, ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „კეთილი გულიო?“ - გაიცინა მასპინძელმა ქალმა. „გული მართლაც კეთილი გქონიათ, ჩიტის რძეც არ აკლია სუფრას“, თქვა ახოგანმა ახალგაზრდა კაცმა. სულელი! სად უნახავს ჩიტის რძე? მაგრამ ამას ეტყობა იმიტომ ამბობს, რომ შეუძლებელიც კი ამ მაგიდაზე არისო! „ეს ქალი და კაცი ვინ არიან?“ იკითხა მეორე სტუმარმა, გაშხდარმა და სათვალეებიანმა. „ეს ჩვენი დიდი ბაბუა და ბებიაა, მაგათ დამიტოვეს ყველაფერი, ბაბუაჩემს ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც არაფერი მოაკლო აქაურობას, მოდით, მათი სადლეგრ-

ძელო ვთქვათ“. სიამოვნებით გამოსცალეს ჭიქები. „დღესაც არ გადა-თვრენ“ ჩავილაპარაკე მე. თითქოს გაიგონაო, მასპინძელმა ქალმა მეუღლეს უთხრა: „დღეს არ დალიო, ბევრი არ დალიო! ისეთი სიზმარი ვნახე, გული კარგს არ მიგრძნობს“. „ბიჭოს, მისე-ლია ჩემი აქ ყოფნის ამბავი! კარგ დროს მოვსულვარ თუ მოვფრენილვარ,“ არ ვიცი როგორ უნდა ვთქვა, მაგრამ ფაქტი ერთია – ამ საღამოს ოპერაცია „საკვამური“ უნდა განვახორციელო. „იმ წეროს გაუმარჯოს, თქვენ რომ ბავშვს ჩამოგიგდეთ“, ხატოვან სადლეგრძელოს წარმოთქვამდა ახოვანი. „გაუმარჯოს“, დავუდასტურე მე. კარგი რამეა ეს სადლეგრძელოები. ერთმანეთს ყოველთვის სიკეთეს უსურვებენ.

„მათ რა ენაღვლებათ!“ - ამოიოხრა ჩემმა „ინტელიგენტმა“. „ამათ ბევრი პრობლემა აქვთ, მაგალითად – ხუთი წელია უშვილოდ არიან, ძლივს მივიღებოდნება მათ შესახებ, კარგია, თუ ძაან არ დათვრებიან“, - ვუპასუხე მე.

„მით უმეტეს, თუ რამეს არ გაიჩხერენ“, - დასძინა ჩაფიქრებულმა მამრმა. „რაო, რას ამბობდი, ჩვენს ცხოვრებაზე?“ - გაახსენდა ჩემი სიტყვები.

„მოდი, მე და შენ აქ, ამ საკვამურთან ვიქორწიონოთ, დაბლა ჩვენს სადლეგრძელოსაც ამბობენ, უფრო სწორად, ამის სადლეგრძელოს“ - სიტყვა ბანზე ავუგდე, იმიტომ, რომ ამაზე ლაპარაკი აკრძალული მაქვს. არაფერი მიპასუხა, მომიახლოვდა და ათავის გრძელი ფრთები ნაზად მომხვია, რაღაცნაირი სითბო დამეუფლა. თითქოს სადლაც გავფრინდი, ოდონდ ფრთების მოუქნელად, ისე – თითქოს ერთ არ-

სებად ვიქეცით... როცა გამოვერკვიე, ფანჯრებს ჩავუფრინე... ჩემი წყვილი ნაზად კოცნიდა ერთმანეთს, „საძინებელში გავიდეთ“ ... ეს ბიჭმა უთხრა თავის ვნებიან მეუღლეს.

ქალი დაპყვა მეუღლის ნებას... სხვები კი ლამაზი მუსიკის ფონზე ცეკვავდნენ, ისინიც კოცნიდნენ ერთმანეთს...

„მე მგონი დროა...“ - ჩამჩურჩულა აწ უკვე ჩემმა მეუღლემ.

„ჰო დროა... დროა!“ - ავჩქარდი მე. ადამიანის ბარტყფი ფრთხილად ავიყვანე კალათიდან და ლიად დატოვებულ ფანჯარაში შევფრინდი, ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა, ჩემთვის არ ეცალათ და ვერც შემამჩნიეს... ბავშვი პირდაპირ ქალის სასოუმალთან დავაწვინე... ბავშვი რაღაცნაირად შეერწყა დედის სხეულს და გაქრა. მე ვიცი – ის ჩემთვის გაქრა, თორებ მათვის – პირიქით, ის დღეიდან გაჩნდა, მალე გაიგებენ ამას! მეც, ალბათ, მალე გავიგებ ჩემი ბედნიერების ამბავს! ამით ძლიერ ვგავართ ჩვენ და ადამიანები ერთმანეთს. ისევ საკამურზე დავფრინდი. „დაინახე?“ ვკითხე აღელვებულმა ჩემი ბარტყების მომავალ მამას. „დავინახე... საოცარია... ეს ყველაფერი საოცარია, ღმერთო!“ მე კდუმდი, მხოლოდ თავი მქონდა მიდებული მის ფაფუა ბუმბულზე.

„ის დაბადება, ჩვენებიც მალე გაჩნდებიან, ვასწავლით ფრენას... მათი შეილი ისწავლის სიარულს, წავა სკოლაში... შეიძენს მეგობრებს...“

„მთავარია, კარგი მეგობრები შეიძინოს, ვისაც თოფი კი არა, წიგნი ეყ-

ვარება“

„გახსოვს?“ - ათრთოლებულმა მკითხა.

„მე ყველაფერი მახსოვს!“ - მშვიდად მიუუგე მე. „მე ამ ბავშვის დიდი ბებია ვარ... შენ კი“

„რა მოხდა მერე?“ ჩამჩურჩულა მეუღლეებ.

„მთავარია ის – რაც შემდეგ მოხდება, მოვიხადოთ ვალი ჩვენი ბარტყების წინაშე და მერე... ჰერი, გავფრინდეთ!“

ეზოში დაბმული ძაღლის ყეფამ გამოვგარკვია. სტუმრები მიდიოდნენ. ყველანი ბედნიერად გამოიყურებოდნენ.

„ნუ გეშინია, ეს ძაღლი ჩვენამდე ვერ მოაღწევს, ფრთები არა აქვს“ - გაიცინა ჩვენი შვილების დიდმა ბაბუამ.

„მოდი, გავფრინდეთ ჩვენს ბუდეში“ - შემომთავაზა მან.

ძალიან მომეწონა ეს სიტყვა: „ჩვენი ბუდე“. ერთი „ჩვენი ბუდიდან“, მეორე „ჩვენ ბუდისაკენ“ გავფრინდით, დიდხანს მივფრინავდით ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე, ალბათ ძალიან ლამაზი სანახავი ვიქნებოდით ქვემოდან, ორი თეთრი ფრინველი.

საუკუნოდ გვერდი-გვერდ მფრინავი კეთილი არსებები, რომელთაც ფრთები გვიბოძა გამჩენმა.

„იცი რაზე ვფიქრობ?“ - მკითხა მეწყვილემ. პასუხს არ დაელოდა, ისე გააგრძელა: „როგორც წვიამიან ამინდში, ფრინველებს გვისველდება ფრთები და ფრენა გვიჭირს, ასევე ადამიანებს ცუდი საქციელი ამბიმებს მისი სულის ფრთებს და სულ უფრო დაბლა ეშვება“ - რა უნდა მეთქვა – ის ცამდე მართალი იყო!

¶06ათშმა

ცნობილი ქართველი მოჭადრაკე და მათემატიკოსი მერაბ თხელიძე მათემატიკას ასწავლის ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებს, ასწავლის მონდომებით, საქმის სიყვარულით. მოცალეობის უამს ცდილობს პოეზიითაც გაიღამაზოს ცხოვრება. მართალია მისი ლექსები მათემატიკასა და ჭადრაკის დონეზე ვერ დგას, მაგრამ როგორც მოყვარულის ლექსებს მაინც გაქვეყნებთ, მათში საინტერესო ადამიანური მოსაზრებების გამო.

რედაქცია

და სულ მოცხვენოდა

დედას ვუსმენდი, თანაც წიგნებს ვეწაფებოდი,
 ქართლის ლაშქარი ცხადშიც, ძილშიც მელანდებოდა,
 როს ერთი ათზე მიდიოდა ბრძოლის ყიჯინით,
 როგორც უხორცო, თითქოს სულ არ ედარდებოდა.
 მე ვოცნებობდი მათ რიგში დგომას,
 წინაპრის გვერდით მუდამ ვივლიდი,
 ხერხეულიძედ, არაგველად მინდოდა ყოფნა,
 მათსავით ჩემს თავს მეომართა რიგში ვითვლიდი
 სააკაძესთან ერთად მინდოდა
 გადამეთელა სპარსელთა ჯარი,
 სამშობლოსათვის, საქართველოსთვის
 მეც გამეწირა ღირსებით თავი.
 და ვოცნებობდი, იქნებ იმიტომ,
 დარჩეს ყველაფერს განაგებს ღმერთი,
 მე მას მივანდე სვე-მომავალი
 და ოცნებებში ძველს მივაჩერდი,
 ცხოვრების გზაზე ძირითადად ვმასწავლებლობდი,
 მათემატიკას თან ვატანდი, კაცობას, ნამუსს,

მაღალ სკამამდე მისვლის სურვილს ვერაფრით ვფლობდი,
 თანამდებობაც ერთგულებად უნონდა მამულს.
 და კალმისტარი მახვილივით მეჭირა ხელში
 და სულ მრცხვენოდა, განვიცდიდი რომ არ მიჭირდა,
 არ ვიყავ ომში, არ მზარავდა ბათქი და თქეში,
 თურმე სადა ხარ, ომი გინდა? არეულობა?
 ჯერ ცხრა აპრილი, სისასტიკე, კვლა საზარელი,
 თავისუფლების მოპოვება, უსუსურობა,
 კვლავ მმათა ომი, ოსეთი და ო, აფხაზეთი.
 მე მერჩის გული რომ დავიარო
 ჩემს წინაპრებთან ერთად კარდაკარ,
 ჩემი თაობაც, ახალგაზრდობაც
 მყის დადგებიან ჩვენთან მხარდა მხარ.
 დავგმოთ სიმხდალე, დაძაბუნება
 და უკან გავყვეთ დიად გორგასალს,
 ჩვენს ლამაზ მამულს როს დავიბრუნებთ
 მაშინ მივიღებთ ქართულ მოსავალს.
 მე მონობაში დავიკარგე, გავქრი ქართველი,
 ეხლა ვერკვევი, სიკვდილიც კი აღარ მადარდებს,
 სააკაძესთან გადავთელავ მე მტერთა ლაშქარს
 რომ გავუწოდო მმური ხელი ოსებს, აფხაზებს.
 ამას ვაპირებ, თუმცა ჩვენს ბედს განაგებს ღმერთი,
 და მომავალი უწარსულოდ არც კი არსებობს,
 მტრის ჯარი მინდა გადავთელო, ვით სააკაძემ,
 რათა სამშობლო ბედნიერი ჩანდეს გარშემო.

"არავის არ სძინავს ისე აბნეულად,
როგორც ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს"
პაოლო იაშვილი

ჰადრაბისადმი არ გამიშრა ძგელი ტრიალი.

ბავშვობიდანვე მიტაცებდა მე ეს თამაში,
ბედს რომ ეცლია და ოჯახი არ დამნგრეოდა,
ვინ იცის რა გზას ავირჩევდი გულის კარნახით
და ამის იმედს ჩემი მწვრთნელიც ხომ იძლეოდა.

მათემატიკა ავირჩიე გზა და სავალად,
შრომით ოჯახიც, ჩემი თავიც გადავირჩინე,
თუმცა შორიდან მომოიწია ჭადრაკის ცქერა,
მაინც ჰობია, პროფესიად ვერ ავირჩიე.
ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრიალი,
მას მივუძღვენ ხშირად თეთრად დამის თევანი,
გაორებული, ვით სიზმარში ვცხოვრობ ტიალში,
ცხოვრებვის გზაზე რომ მექნება მე არჩევანი.
რომ შემეძლება მხოლოდ ჭადრაკს მივუძღვნა თავი,
ხოლო მანამ კი, სადაც რამე შეჯიბრს დავლანდავ,
ვეღარ მივითმენ, კმარა აღრე რასაც ვითმენდი,
სულით და გულით ვითამაშებ, თავსაც დავკარგავ.
სამ დიდ ჩემპიონს ვეთამაშე, ვეჯექ პირისპირ
და სამივესთვის გამოვძებნე თითო ბილიკი,
როგორ ვცდილობდი, ჩემთვის, თქვენთვის, როგორ ვიბრძოდი
და დავამარცხე სპასკი, ტალი და ბოტვინიკი.
მუდამ ვცდილობდი, ვაგროვებდი მანეთს და კაპიკს,
წასკლა მინდოდა ალბიონის მე ქვეყანაში
და ჰა აღსრულდა, მსოფლიოში მე ვარ მეორე,
მოყვარულების დიდ მსოფლიო შებმა-თამაშში..
ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრიალი,
და გაორებულს ისევ დამრჩა ძველი ჩვევანი,,
იმედს ვიტოვებ, იმედი მაქვს არ გავწბილდები,
ცხოვრების გზაზე რომ მექნება მე არჩევანი.

კვლავ მენატრება დედის აღერსი

სამოცდაათი წელი გავლიე
 გულში კვლავ დარჩი პატრა ბავშვად
 და ცხოვრებაში ვით უსინათლო
 ხელის ცეცხებით მივიკვლევ გზასაც.
 კვლავ მენატრება დედის აღერსი
 მისი ჩურჩული ჩამესმის ძილში
 მის ხელებს მოაქვთ სიმშვიდე, სითბო,
 ეს ცხადში მინდა და არა ძილში.
 და ცხადში მინდა რომ ვიყო ძილში,
 გავინავარდო ქუჩების ჭრილში,
 კვლავ დავერიო სხვა უძნის ბიჭებს,
 გადავიყვანო საქმე ჭიდილში.
 კვლავ მეჩქარება ადგომა ძილში,
 საჭირო არის სკოლაში წასკლა,
 ზარი დარეკავს და მერე ვინდა
 შეგიშვებს კლასში, მორჩა და ბასტა.
 კვლავ გამოცდაზე მიმეჩქარება ,
 მოვგუდო უნდა უზომო შიში,
 „ფრიადი“ უნდა მივიღო ნაღდად,
 დედას დავპირდი, მივეცი ფიცი.
 რადგან დედა თვლის რომ მისი შვილი
 აჯობებს ყველას, ყველაფერს დაძლევს,
 დიდ სიმაღლეებს მიაღწევს, ივლის,
 ივლის და ივლის, მეც იმედს ვაძლევ.
 მას ასე უნდა დედაჩემი თვლის,
 გამორჩეული დაბადა შვილი,
 მე კი რაღა ვქნა არ შევასრულო
 მისი ყველაზე დიდი სურვილი?
 კვლავ მენატრება დედის აღერსი,
 მას ვხედავ ძილში, ჩამესმის ხმაცა
 და ცხოვრებაში, ვით უსინათლო,
 ხელის ცეცხებით მივიკვლევ გზასა.

*მერაბ თხელიძე
 პროფესორი, ჭადრაკის ოსტატი*

ჩვენი უურანალის ახალ ნომერში ვაქვეყნებთ ახალგაზრდების შემოქმედებას. მე-4 კურსელი გვანცა ჩიქობავა, როგორც ამბობენ, შემდგარი პოეტია, უკვე პატარა წიგნიც კი აქვს გამოცემული ქ. ზუგდიდში, გამომცემლობა „ეგრისის მაცნეში“. ის ნიჭიერი გოგონაა და თუკი გულმოლგინედ იმუშავებს, წარმატებებიც ექნება. პირველკურსელები მეტეზელი ზურაბ გეჯაძე და ბოდბელი გიორგი დავითაშვილი ჯერ დამწყები პოეტები არიან, ახლა ცდილობენ ფეხის მოკიდებას ფარმაციის მეცნიერებასა და ქართულ პოეზიაში. ყველას ვუსურვებთ წინსვლას არჩეულ პროფესიასა და შემოქმედებაში.

რედაქცია

გვანცა ჩიქობავა

შეხვედრა სპოლასთან

მოუთმენლობით რთავდნენ წუთები,
მზესავით ნათელ შეხვედრას შენთან.
ოცნებასავით გესათუთები,
სალამი შენდა, სალამი შენდა...
ყოველი დილა ოქროცურვილი
და ყველა ღამე ნაქსოვი ვერცხლით,
იყო გამთბარი ერთი სურვილით
და მონატრების მხურვალი ცეცხლით.
მწყუროდი ისე, ვითარც ცის ნამი
სწყურიათ ვარდებს თაკარა მზეში,
ანთიხარ სულში, როგორც ცისკარი.
როგორც ლოცვა და როგორც ნუგეში.
ვითარც ტაძართან სულანთებული,
კდემით და კრძალვით მოვედი შენთან,
აპა, ეს ჩემი ფიქრთა კრებული,
სალამი შენდა, სალამი შენდა...



სშრატი

თლილი თითებით ქარი
ქოჩორს უვარცხნის მთებს,
ქარს შეჩვეული ქნარი
ფრთხილად აღვიძებს თემს.
ცის ვარდისფერი ღიმი
ციურ ფიქრებში მსვევს,
წყარო, ლიკლიკა, ცივი,
ჩაჰკონებია ხევს.

2002 წ. 5 მაისი, კვირა დღე

გელატი

აქ ლოდებიც საუბრობენ,
და ბალახიც მღერის,
ამ კედლებში თვლემს წარსული
და დიდება ერის.
სიჩუმეში წმინდა სანთლებს,
სცვივათ ცხელი ცრემლი,
ეს ჭაძარი დავითია,
საქართველო – მრევლი!

2002 წ. 4 ივნისი.

* * *

შემომესია ისევ
ზღვა სურვილების ჯარი,
ო, რა ტკივილებს მისდევს
ატირებული ქარი.
დამათრობელად მოდის
იასამნების სუნი,
მთვარეს დავუწყებ ლოდინს
და ათრთოლდება სული.
ისე ირხევა ტოტი,
ალბათ აწუხებს რული,
ჩუ, გაზაფხული მოდის,
ჩიტივით გალობს გული.
2002 წ.

შვიმიან დღეს!

მოსევდიანდა ქუჩა ქოლგებით,
ახლა ოცნებით ვერ გაქროლდები...
ახლა წვიმებსაც სითბო სწყურიათ
და აღარ ხიბლავთ მიწა სრულიად.
ღლებ მოიხურა სველი ნისლები,
სარკმლებს დაკაწრავს წვიმის ისრები,
სევდით დაფერილ ფიქრებს შესცივდათ
და მოელიან შველას ზეციდან...

2003. 3. IV

* * *

საით მიდიან, ნეტავ გზასავლით,
სველი ნისლები საით მიდიან,
ღლებ მოიმწუხრა და ცის დასავლით
შზის მოწყნილი ხატი ჰკიდია.
სიტყვების ბულბულს დავდგამ ძნასავით,
უცნობი დარღი ისევ დიდია,
ბუბუნებს ზეცა არღნის ხმსასავით,
და სილურჯეში ქრება მინდია...

2003 წ. 14. IV

გიორგობისთვეს!

აწუხებთ ფანჯრებს წვიმების სევდა
და გაფითრებულ ფოთოლთა ფერი...
ხეებში ქარი რეკვიემს სწერს და...
ხანაც ქუჩაში ლოთივით მღერის.
ვერცხლისწყალივით ცახცახა ჩრდილებს
ავანებს დამე თავის უბეში,
და ვარსკვლავები გაწყვეტილ მძივებს
წკრიალით ყრიან ცისფერ გუბეში.
სული კი, სული სინათლეს ელის
და ნათროლები ხვდება განთიადს,
მთავრდება მწვანე ზღაპარი ველის
და მწვერვალებზე ნისლი ანთია!...

2003 წ. 14 ნოემბერი

ბათუმი

ბათუმი თეთრი, ბათუმი – ერთი,
 ბათუმი რძისფერ ოცნების ღმერთი,
 ფიქრი ზღვას ერთვის,
 ზღვა ზეცას ერთვის,
 აქ ყველაფერი ფოფინობს შენთვის.
 ლაჟვარდი – ზღვიდან,
 ზამბაზი – ციდან,
 აქ ხომ მზისაკენ გაფრენა გინდა.
 ზღვის ლურჯი მხრებით,
 გემების ხმებით,
 თოლიის ფრთებით მოტანილ ნიავს,
 ამ ბროლს, ამ ზურმუხტს,
 ამ ლურჯ ხავერდებს
 ჩემი ლამაზი მამული ჰქვია!

2003 წ.

ჭყალი

სიჩუმე წყნეთის ტყეების,
 ლოცვად აწვდილი ხეების,
 ჩუმი ლაციცი ქართან,
 პასტელის ნაზი ფერები,
 თბილი, კრიალა ბგერები,
 და ბურუსების ფარდა...
 რამ დამავიწყოს სიწყნარე,
 ცის გუმბათის ქვეშ ცისმარე
 დღის გათენების მსგავსი,
 წყნეთის ლამაზი სიზმარი,
 შეღამება და ცისკარი
 და ოცნებათა დასი.
 ჩემი წყნეთი და თბილისი,
 მათი ჯადო და თილისმა,
 ვარსკვლავთმოფენა მთაში...

2003 წ. 10. VII

ბამოდი მზეო!

გამოდი მზეო ლურჯ ღრუბლებიდან,
გამოდი, სულში შემოანათე.
გამითბე სიტყვის ბელურქი და
კვლავ ლაუკარდისფერს დავწერ ბარათებს.
გამოდი, შენი თბილი სხივებით
კვლავ შემიხვიე ყველა ჭრილობა,
მე სიყვარული მყოფნის მცირედიც,
სულ ცოტა სითბო და ერთპირობა.
ოღონდაც ნუღარ დამაღალატებ,
ოღონდაც რწმენის თასი შემასვი,
და სასოებით ასე ნალაღებს,
კვლავ პოეზის ფრთები შემასხი!....
2003 წ. 17 ოქტომბერი.

* * *

რა ვარ?! პატარა სხივი ვარ,
ზეციდან ციმციმ მოსული,
ფოთლის ნაჟურის მძივი ვარ.
მზის ათინათით მორთული.
წვიმის პატარა წვეთი ვარ,
მინებზე ცრემლად დამდნარი,
ფიქრის ფრთამალი მტრედი ვარ,
და ვიწვი როგორც ლამპარი.
წყაროს კრიალა წყალი ვარ,
და ფოთლის ნაზი შრიალი,
ვინ ვარ? პატარა ქალი ვარ,
ლურჯ ვარსკვლავების ციალი.

პეზაში დილით

არ შეშრობდა ჯერაც ნამი
ლურჯთვალა იას,
თრთოლვით დავხატე ლამაზი წამი,
და პორტრეტს მზიანს,
ვძერწავ სულიდან გამოთლილ ყალმით
დ მსუბუქ ნიავს
გავყვები, რათა მაგემს მწვანე
ოაზისს, ხმიანს.
მზის ოქროს ცვარით დაფურილი
მაჩვენოს ტოტი,
და ლურჯ ქარებით დაწერილა
სიმღერის ნოტი...
ვხატავ ნაზ სიზმარს გადაბინდულ
ქარვისფერ ველთა,
და ოცნებისფერ მსუბუქ გამას
სინათლის ფერთა....

2003 წ. 12 ნოემბერი

ტაო-კლარჯეთი, თეთრი ლოცვით ათოვლებაში

ცრემლის ფოთლებში ილანდება ჩემი წარსული,
ტაო-კლარჯეთი, თეთრ ნისლივით ცაში ასული.
ფიქრი-ფიქრს ათოვს, თეთრ ლოცვებში დილა იღვრება.
კურაპალატის ხმალი ელავს მზეზე ნაფერი
და სისხლის ძახილს ცამდე აწვდენს ლომი ქართველი.
სარკის სიცხადით ანთებულა ძველი ჭრილობა
და მტკივა ახლაც ჩემი ერი, ქვეყნისშვილობა.
მტკივა მამული, ათოვლილი თეთრი ლოცვებით,
ტაო-კლარჯეთი, მზე წარსულით განაოცები.

2005 წ.

ო, ბაზაფხულო!

შემოასკდებათ როცა ტყემლებს ჭანზე პერანგი
 და გაზაფხული ლექსებივით გამინაპირებს,
 დამიბრუნდება სიყვარული ვით ბუმერანგი
 ავედევნები ნიავივით ფრთალურჯ აპრილებს.
 სულში ჩამოთოვს ცისარტყელა ფერთა ნარგიზებს,
 და აღტაცება მზის სხივივით გამიყოლიებს,
 მთაგარეულივით გადავადგამ შემკრთალ ნაბიჯებს
 და დავუჩოქებ აფეთქებულ თეთრ მაგნოლიებს.
 ო, გაზაფხულო, ამიტაცე გამჭვირვალ ფრთებით,
 ჩემი მამულის ყველა კუთხეს მომასათნოვე,
 მე ამ მაღალი მზის შვილი ვარ და
მისით ვთბები
 და გევედრები, მის გარეშე ნუღარ დამტოვებ!

შემოდგომის წვიმები

ფასკუნჯივით ჩამოეშვნენ
 შემოდგომის წვიმები,
 სევდიანი ცის ნაცრემლები,
 გზისთვის განაწირები.
 შემოდგომის გამჭვირვალე
 ფრთებზე ნანანავები,
 დაეშვნენ და დამისველეს
 ოცნებათა კარვები.
 ფერად ქოლგებს ეკამათნენ,
 წვეთი-წვეთზე აკინძეს,
 მერე ხეებს გაუწერეს
 ოქროსფერი საკინძე.
 სარკმელები სველ თითებით
 მორთეს მწუხრის ქარგებით
 და სახსოვრად დამიტოვეს
 თვალებსველი ვარდები!...

„ბაზალეთი“

ბაზალეთი — მითების და ლეგენდების საუბნოდან,
აქ ილია წარსულთან და მომავალთან საუბრობდა,
აქ ოცნებებს ესხა კვირტი და იშლიდა ფიქრი კარავს,
და ცრემლების სიმრუმესაც რწმენა ვეღარ დაუფარავს,
ტბის სარკიდან ირეკლება — ოქროს აკვნის ძებნის ჩვევა,
და წარსული გმირულ გზებით სინათლისკენ მიირწევა.

ჯაჭვის პერანგს ქსოვს იმედი და ნათელ დღეს უძღვნის ოდას.
ლიდება მას, ვინც მამულის სიყვარულით მოდიოდა,
სულს ანათებს რწმენის მზე და ცის არილი არნახული,
ბაზალეთი — სიცოცხლის და სილამაზის გაზაფხული!

ჩემი მერანი

ჩემი ძვირფასი მერანი,
ფაფარაშლილი ქროლვით,
გადამაქროლებს მზისაკენ
ძლიერ ნესტოთა თრთოლვით.
შემომატარებს სამყაროს,
ცისფერ ოცნების მხარეს,
და ამარიდებს შავ ღრუბლებს,
ცივი ქარების თარეშს.
და მზეჩაწნული ფაფარით
ცვარს ჩამომიტანს ციდან,
სიკეთედ უნდა დავლავრო
მზის ნამი მისთვის მინდა.
გადავიქროლებთ სამზეოს
და ფერებს მოვფენთ ველად,
ვარსკვლავებს ჩამოვურიგებთ
შუქურასავით, ყველას...
ჩემი რძისფერი მერანი
შეუსვენებლად მიჰქრის,
თან მიაქვს ლურჯი ოცნება,
უკიდეგანო ფიქრი!...

მაშ, იღორძინე, მრო ძლიერო!

ქედუხრელი და დაუდრეპელი,
ხარი წიქარა, რკინის მკვნეტელი,
ომში ლომგული, ვეფხვი მძვინვარე.
მოღელავს გენი, ვითარც მღინარე.
სულით ძლიერი და უბრძენესი,
ქრისტეს სისხლი აქვს მას უმრწემესი.
ერი, ვინც მამულს დავითი უშვა,
სვეტიცხოველი ვინაც დაანთო
და ნიკორწმინდა დროს გადაადნო,
ვინაც ააგო ჯვარი, მარტვილი,
ჰკვეთა ვარძია, მითი ნამდვილი.
საუკუნეებს გასწვდა ძახილი,
ქართვლის დედის და ქართულ მახვილის,
ვინ მოსთვლის შუქი ახლავს რამდენი,
ღიღბუნოვანი, ჭირთა დამთმენი.
დავითისა და თამარის ერი,
შოთას, ილიას, აკაკის ერი,
კვლავ ცოცხლობს, სწამს და მერმისზე მღერის.
მაშ, იღორძინე, ერო ძლიერო,
და იგუგუნე საბედნიეროდ!...

პოეზიას!

ფიქრის ყვავილებს დავკრეფ და მერე
შენს გაზაფხულზე სიმწვანედ მოვალ,
ფერებით მოვქსოვ გულთეთრ სიმღერებს,
იქნება მზე და სხივების თოვა.
მზისფერ მანტიას მოვასხამ სათქმელს.
საფირონივით იალებს ია,
ყველა სალოცავს დავუნთებ სანთელს
და შენთვის გული მექნება ღია.
თოთო ბავშვივით ვადგამ ნაბიჯებს,
თუ შენს ტაძარში შემოსვლა შეგძელ,
ლექსად დავარბევ ფიქრთა კლავიშებს
და მუხლდადრეკით ვილოცებ შენზე!

ზურაბ ბეჯაძე



მეტენი

მე მიყვარს ჩემი მეტეხი
თივის ზეინით და ყანებით,
სულ ყველას გულში ჩაგიკრავთ,
მე ყველას გენაცვალებით.
ჩვენ ყველაფერი ბევრი გვაქვს,
მიწის ხვავი და ბარაქა,
თუმც, აქ გაზრდილნი შვილები
ბევრნი მიდიან ქალაქად.
მაგრამ კვლავ დაბრუნდებიან,
როგორც ბუდეში მერცხლები,
შრომისგან გადაღლილები,
უკვე თმაშენავერცხლები.
მცირეა წუთისოფელი,
ცოტას თუ ნახავთ კმაყოფილს
აქ ყველამ უნდა დათესოს,
სიკეთე თავის სამყოფი.
მე მიყვარს ჩემი მეტეხი,
თავის ცუდით და კარგითა,
დალხინებ-გაჭირვებით და
თავის ღვთისმშობლის ტაძრითა.
გაშლილი სახნავ-სათესო,
დუდუნა მტკვრით და ჭალებით,
მე თქვენი ჭირის სანაცვლოდ,
სულ ყველას გენაცვალებით.

„ახალი წელი“

მრავალ ახალ წელს დაესწარით, - მრავალ ახალ წელს,
მაღალი ღმერთი იყოს თქვენი სიკეთის მცველი,
ახალი წელი, უამრავი ახალი წელი,
და გაგითხნდეთ 2012 წელიც!
ხვავით, ბარაქით სავსე გქონდეთ მუდამ მარანი,
მაჭრის დუღილი კაცისათვის არის მთავარი
ვარდყვავილებით მოგეფინოთ გზები, შარანი,
გაგთენებოდეთ, სიხარულის წელი მრავალი!

20. 12. 2011 წ.

„ტირიზები“

ვერ გამიგია, ტირიფები რატომ ტირიან?
ნეტავ რა სევდა შემოაწვათ განუკურნელი?
ალბათ იმიტომ, სილამაზე რომ არ აკლიათ,
მაგრამ არასდროს არ ჰქონიათ ვარდის სურნელი!
რატომ ტირიან ტირიფები? – ვერ გამიგია,
იქნებ სატრიფოებს მოელიან შორი გზებიდან?
ალბათ იმიტომ, შემოდგომამ რომ მიმოძარცვა,
და არაფერი აღარ დარჩა ძველი გზებიდან!
ვერ გამიგია, ტირიფები რატომ ტირიან?

13. 12. 2001 წ.

**ანატომიის ლექციების
(ხალხურ მოტივებზე)**

თქვენ ხომ არ იცით ვინ არის
კოკაინის ქალაო,
ჩემს ნაზარმაცევ გონიებას
მან დაუბრუნა ძალაო.
ღმერთო, უმრავლე ქართველებს
ასეთი ქალი – რძალაო,
სათნო და შრომის მოყვარე
ლამაზ წარბ – წამწამ თვალაო.

25. X. 2011 წ.

„სიზმარი“

თითქოს სიზმარში გიხილე
ლამაზი, მკერდგაღელილი,
ისეთი კოხტა იყავი,
ვით სიმწიფისას ხეხილი,
მკერდიდან შუქი გდიოდა,
საბანიც კი არ გეფარა,
თითქოსდა მოსაფერებლად
ვაჟკაცი შემოგეპარა.
ისე გიჩანდა ფეხები,
ვერ მოვაშორე თვალები,
ნატიფად ჩამოსხმულები,
რა ჭირდათ დასაფერები.
ალვის ხესავით ნაზარდი
დგები და სივრცეს შეარწევ,
მე ქებას აღარ დაგზარდი..
ბევრის სიძაღლე შელახე.
ისეთი ცეცხლი შემინთე,
ნეტავი სულ არ მენახე
შენც შინაგანად ღელავდი,
აგწითლებოდნენ ღაწვები,
აღბათ, მე აღარც მოვკვდები
თუ მომიწონე ნაწერი

მაგრამ, ვაი რომ სხვისი ზარ,
ქორმა წამართვა წიწილი
ის გაიხარებს და მე კი
მესმის გაქირდვის სიცილი.

24. X. 2011 წ.

შემოდგომა

მიყვარს როცა შემოდგომა
არის ბარაქიანი,
იქით კომში, აქ კაკლები
და ყურძენი ცვრიანი.
გუნებაზე მყოფი სასმის
დალევ თუკი მოგინდა,
აღარ ფიქრობ ხვალინდელი.
დღე რა ამბავს მოგიტანს.
მიყვარს ქართლის შემოდგომა
თბილი, ბარაქიანი,
მიყვარს, როცა საწნახლიდან
წვენს გაუდის ჩხრიალი.
თაროებზე შემომხსდარან
ოქროსფერი კომშები,
მსხლები ისე გაბერილან
ვით ფეხმძიმე ბოშები.
ქარვისფერი ჩურჩხელები
ნიავზეც კი კრთებიან,
ჩამომსხდარან პატარძლები
თითქოს ყველა დებია.
აივანი ლელვის ატმის
ჩირთა მძივით ახლდება,
ჭირნახულში ჩაძირულან
სოფლის კოხტა სახლები.
ხელგაშლილი მასპინძელის
მარნის კარი ჭრიალებს,
უდღეგრძელეთ მოსავალი,
ნუდარ დაიგვიანებთ

5. X. 2011 წ.

ბიორბი დაგთაშვილი

გახეთი

ივრის, ალაზნის სუნთქვა რომ ესმის
რომ სჩანს მაღალი, სადაც გაწედავ,
ჩამჯდარა ქარვის უნაზეს ფერში
უსაყვარლესი ჩემი კაწეთი.
გავხედავ მთებს და გულიც აძგერდა,
მთებისკენ მირბის ალაზნის ველი,
საამო არის იგი საცქერად
ვით ულამაზეს ხოხობის ყელი.
ლილი კულტურის აქ ძევს ზარდახშა,
აქ ჩემი თბილი მიწა-წყალია
სალოცავების ნეტარ გადაშლას
მადლი მოსდევს და გვავსებს ძალიან.
ბოლბე გასცქერის დიად ალავერდს,
ლვთის ტაძარია კიდევ მრავალი,
ამ ლიდ საგანძურს როგორ ვმალავდეთ,
არის მშვიდობის, ძმობის მფარავი.
საუკუნეთა გამძლები კერპი
ბევრი მტარვალის არის გამძლები,
ქარმა გაფანტა ლალატის ფერფლი,
ქვლავ დაარწია ქარში ანძები.
ჩვენ თავდადება ძველთაგან გვდევდა,
და გამარჯვების გვიცავდა ფარი,
მრავალი გმირი შენით აღზევდა,
გერ დაგაჩოქეს ქედების ხარი.
დის ალაზნი ჩაფიქრებული
თავს მცველებივით დასცქერენ კლდენი,
იორიც მოქრის ხევთა კრებულით,
ბჭობენ მამულზე საკუთარ ენით.
არასდროს დაყრის მამული ფარ-ხმალს,
დარდს, ლალატს უნდა ასცილდე ჩემო,
შენი სიდიდით აღიხარ მაღლა,
უნდა იარო ზემოთ და ზემოთ.



საქართველო

ნათქვამია, საქართველო
დედამიწის ზურმუხტია
მისი რთველი დღესაც რთველობს
არავისთვის უმუხლია
თურქი, ლეკი, რუსი, სპარსი,
ყველა იყო ჩვენი მტერი,
თუმც გურჯები ვერ გაგვტეხეს
ისევ ვდგავართ მცველად ერის.
მარიამის წილხვედრნი და
მსოფლიოში უძლეველნი.
ბევრჯერ დაგვჭრეს, გვშანოეს, დაგვწვეს,
ვერკი მოსპეს ჩვენი რწმენა,
თუმც გრიგალი დღესაც გვარწევს
გამარჯვების გვჯერა ჩვენაც.

1. 01. 2012

ლეგენდარული პორტრეტი

2012 წლის 3 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ უნივერსიტეტში გაიმართა საიუბილეო საღმო, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ისტორიკოსის, პოეტისა და პროზაიკოსის, ლირსეული მამულიშვილის გიორგი (ასანა) ნადირაძის დაბადებიდან 80 წლისთავს.

ხსოვნის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს უნივერსიტეტის რექტორმა, ცნობილმა მეცნიერმა და რელიგიის პრობლემების ჩინებულმა მკვლევარმა სერგო ვარდოსანიძემ. ასანა ნადირაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მსმენელთა წინაშე მოხსენებით წარსდგა უნივერსიტეტის პუმანიტარულ-მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, იუბილარის თანაკურსელი და უახლოესი მეცნიერებათი როინ მეტრეველი.

ზედმიწევნით გულთბილი, ამაღლევებელი მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები მარიკა ლორთქიფანიძე, აპოლონ სილაგაძე, პროფესორები ვალერი ასათიანი, გურამ გოგიაშვილი, პოეტები ლია სტურუა, ერეკლე სალლიანი და სხვები, რომელთაც დიდი სუევარულით იღებარაკეს დაუვიწყარი პიროვნების შესახებ.

სამადლობელი სიტყვა წარმოსოჭვა იუბილარის ქალიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ქეთევან ნადირაძემ.

80 წლის იუბილესათვის გამომ-



ცემლობა „არტანუჯის“ მიერ დაისტამბა შესანიშნავი კრებული საერთო სათაურით „პოეტური სულის მეცნიერი“, ძალზე საინტერესო წიგნი.

ჭეშმარიტად გულწრფელი სიყვარულით განათებულმა ამ საუცხოო საღამომ გამახსენა ერთი წერილი. ჯერ კიდევ ასანა ნადირაძის სიცოცხლეში, კერძოდ 2006 წლის დასაწყისისათვის იწყებდა გამოსვლას საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ სქელტანიანი ჟურნალი „სიტყვა“. ცოტა წით ადრე ასანა ნადირაძემ მაჩუქა თავისი ახალი ღრმაშინარსიანი წიგნი „მე სტუმარი ვარ დედამიწაზე“. თავის ბუნებრივ სიძლიერესა და თანდაყოლილ ვაჟკაცობასთან ერთად იგი იყო ძალზე

კეთილი ბუნების, ზოგჯერ ბავშვივით გულჩვილიც. წიგნებზე გაკეთებული სამახსოვრო წარწერებიც კი თითქმის მის აღალ არსებას გამოხატავდა. არ იქნება ინტერესსმოკლებული ზოგიერთი წიგნის თავფურცელზე წარწერილი აქაც მოვიტანო: „ჩემს ძვიროვას მეგობარს თავად ნუგზარ წერეთელს“, (ასანა) გორგი ნადირაძე, 16. XII. 2002 წელი, „ნარავები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან“; „ნუგზარ წერეთელს განსვისათვის, (ასანა) გიორგი ნადირაძე“, 16. XII. 2000 წელი; „სტალინი – ქართველი კაცი?“; „სიტყვის ოქრომჭედელს, ჩემს ძველ საყვარელ ძმაკაცს ნუგზარს“, გ. ნადირაძე, 01. XI. 2005 წელი, „მე სტუმარი ვარ დედამიწაზე“. მარტო მეგობრობის საკითხში კი არა, ყველაფერში არაორდინალური

და გამორჩეული პიროვნება იყო.

ესეც ერთი პატარა, ოღონდ დამახა-სიათებული ადამიანური შტრიხია ასანა ნადირაძის ცხოვრებიდან. მისი მთლიანი და ძლიერი სულისკვეთებით საკე სი-ცოცხლე უამრავი კაცური თვისებებით ხასიათდება. ამის გამოცაა, რომ ასანას არავინ ივიწყებს და ახლო მეცნიერის გურამ რჩეულიშვილის მსგავსად ლეგ-ენდარული შარაგანდედით შემთხვევით აგრძელებს სულიერ ცხოვრებას.

გადავწყვიტეთ ასანა ნადირაძის ზემოთ მოხსენიებული წიგნისა და ცხოვრებისადმი მიძღვნილი წერილი უერნალ „სიტყვის“ მე-16-მე-17 ნომერ-შიც გავიმეოროთ. წერილი 2006 წელ-საა დაბეჭდილი რუბრიკაში - „მცირე რეცენზიები გამორჩეული პიროვნებების ფონზე“.

პატი და შემოშმედი

ცნობილი მეცნიერის, პროფესორ გიორგი (ასანა) ნადირაძის ახალი წიგნი „მე სტუმარი ვარ დედამიწაზე“ სულმოუთქმელად წავიკითხე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა სტატია თუ მოგონება წაკითხული მქონდა რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე.

ამჟამად წიგნის კრიტიკულად განხილვას არ ვაპირებ, ამ მცირე რეცენზიას უფრო მეგობრულ შეხმაინებას ვუწოდებდი ან მეგობრისადმი წერილის არცთუ მთლად ორიგინალური სახელწოდებით მოვნათლავდი.

მშეგნივრად გაფორმებულ წიგნს ხელთ აიღებ თუ არა, გარეკანიდან შე-

მოგანათებს გენიალური გალაკტიონის, დიდი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვად გამსახურდიას, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის შოთა მესხიას ნათელი სახეები, უცებ იმსჭვალები წიგნის წაკითხვის და თანაცარა არაერთხელ წაკითხვის სურვილით.

ბევრჯერ დაიწერა და წიგნის წინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობაშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ მკითხველს უსათუოდ მოინადირებს ავტორის გულწრფელობა, სიმართლე, ნიჭიერება, პიროვნებისადმი აშკარა პატივისცემა და საკუთარი თავის ზოგიერთებივით არგანდიდების სურვილი. ამ წიგ-



ნით იგი თითქოს ასობით განდიდების თავისებური სურვილით შეპყრობილ ადამიანს რეალურ მაგალითსაც კუჩვენებს.

ბევრჯერ მიფიქრია და მითქვამს კიდეც: როცა წერ მოგონებას გამოჩენილი პიროვნების შესახებ, კიდევ უფრო მეტი წონისა და ღოკუმენტირების დამადასტურებლად ძალიან კარგი იქნებოდა ან სურათი ჩანდეს, ან პირადი წერილი, ან იმ დიდი ადამიანის სიცოცხლეშივე დაწერილი სტატია, ან ავტოგრაფიანი წიგნი მაინც. ცოტა ძნელი წარმოსადგენია ადამიანთა მეგობრობამდე და მისგან რაიმე, თუნდაც სულ მცირე სახსოვარი მაინც არ გქონდეს შემორჩენილი.

კაცური კაცობით ცნობილი შემო-

ქმედი ასანა ნადირაძე თითქოს ამ ჩემს ფიქრისაც მიღასტურებს.

წიგნში ვხვდებით ფოტოებს, გადაღებულს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიასთან, კონსტანტინე გამსახურდიასა და ზვიად გამსახურდიას ნასახსოვრებ წიგნებს ასანასა და მის მეუღლე შორენასადმი, ფოტოსურათს ირაკლი აბაშიძესთან, ნოდარ დუმბაძესთან, აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან, მუხრან მაჭავარიანთან, იორამ ქემერტელიძესთან და სხვებთან, რაც ღოკუმენტურობისა და სიმართლის განცდას კიდევ უფრო აძლიერებს.

დარწმუნებული ვარ, ისეთი ისტორიული პიროვნება, როგორიცაა ზვიად გამსახურდია, ვისაც თვლიდა ახლობლად, ვისაც მართლა პატივს სცემდა, უყვარდა, მხოლოდ იმ პიროვნებას წაუწერდა ნასახსოვრებ საკუთარ წიგნზე „საქართველოს სულიერი მისა“: „ძვირფას ჰასანს და შორენას, დიდის პატივისცემით ზვიად გამსახურდია, 1990 წ. 25. XI“.

შეიძლება დაკვირვებულ მკითხველს ყურში მოხვდეს ზედმეტსახელი ჰასანა და ასანა. ზვიად გამსახურია ახალგაზრდობის წლებიდანვე ახლოს იცნობდა და მეგობრობდა გიორგი ნადირაძესთან, ისევე, როგორც ჩვენ. იმ შორეულ წლებში მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ერთი მოქმედი გმირის ჰასანასა და სხვა ჰასანების გავლენით ჩვენც ჰასანას ვეძახდით. ბოლო წლებში კი მრავალ სტატიაში მოხსენიების დროს გაირკვა, რომ ზედმეტი სახელი უფრო ასანა იყო, ვიდრე ჰასანა, თუმცა ზედმეტ სახელად ორივე თავისებურად მისაღებია.

ასანა ნადირაძე რომ ყველგან უტყუარ სიმართლეს წერს, არაერთ ადგილას ვხვდებით ამის დამადასტურებელ არაორდინალურ აზრებს. მაგალითად, იხსენებს ზვიად გამსახურდიამ როგორ აჩუქა არალეგალურად გამოცემული დისიდენტური უურნალი „ოქროს საწმისი“, იხსენებს და წერს ისეთი ვაჟკაცური გულახდილობით, რასაც ათასში ერთი თუ გააკეთებდა: „ახლა ეს ძვირფასი სახსოვარი აღარა მაქსი, როდესაც ზვიადი დაიჭირეს, ძალზე შემეშინდა და სასწრაფოდ დავწვი. შეგებლო ეს არ გამტბილა, მაგრამ მუდამ მახსოვს სენტენცია: „ვინც თავისი საქციელით უკმაყოფილოა, პეთოლ გზას ადგას და შეუძლია ცოდვათა მონანიების იმედი ჰქონდეს“.

ასე მხოლოდ დიდი პიროვნებები აზროვნებები და წერენ.

ან სხვა ადგილი გავიხსენოთ ტელევიზიის კორესპონდენტთან გასუბრუებიდან:

„- როდის მიხვდით, რომ რუსეთის მეორე იმპერია დაინგრეოდა?

- მხოლოდ მაშინ, როცა დაინგრა.“

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი, ან ასიდან ოთხმოცდათვრამეტი იტყოდა: ეს მე რამდენი ხანია ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, ათასჯერ მითქვამს, რომ აუცილებლად დაინგრეოდა. ასანა კი დინჯად და კაცურად პასუხობს, როცა დაინგრა მაშინ გავიგო.

ამავე გასაუბრებიდან თუ ინტერვიუდან ერთმა ადგილმა შორეული წარსულიდან რაღაც ფაქტები გამახსენა, რაც მინდა აქაც მოვიტონ.

ჯერ კითხვა-პასუხი:

„- თქვენი ცხოვრების კურიოზები?

- უამრავი. თუნდაც ასეთი: უნივერსიტეტს ერთი დიდი ხელისუფალი ეწვია, წავიდა და ლანბლვა დავუწყე, გამომიხტა ვინმე ქალბატონი და „მამხილა“: აქ როცა იყო, აღტაცებული ტაშს უკრავდიო“, როგორც ხედავთ მე მხოლოდ ცალი ხელი მაქვს.

რახან თავად აღნიშნა ცალი ხელის შესახებ, როგორც ვთქვი, მეც მინდა ცოტა რამ გავიხსენო წარსულიდან:

ასანას უფროსი მმა ჯურხა ნადირაძე გამოჩენილი არქეოლოგი, მწერალი და ნაძვილად არაჩვეულებრივი პიროვნება, ვისაც ასანამ გასაოცარი სითბოთი, სიყვარულითა და სიმართლით განათებული წერილი უძღვნა, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის პირველი თვეებიდანვე გურამ რჩეულიშვილის მიერ შეკრულ-შედულებული სამმოს უცვლელი, გამორჩეული წევრი იყო. ამ საოცრად მტკიცე მეგობრულ გაერთიანებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შედიოდნენ გურამ გეგეშიძე, რეზო ერისთავი, გურამ რუსშვილი, გიგი აბაშიძე, აგი აბაშიძე, ნიკოლეონიძე, ქართლოს სვანიძე, შალიკორჩეულიშვილი, ბერდა გოგოჭური, თემო ბერიძე, ოთარ დიაკონიძე, რეზო ამაშუკელი, ერლომ ახვლედიანი, მერაბ ელიოზიშვილი, უორა ბერძენიშვილი, მრავალი სხვა და, რაღა თქმა უნდა, მე.

აქ მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი მეგობრების ერთი ნაწილი ჩამოვთვალე, თორუმ იქვე და სხვა უმაღლესებიდან თუ ქალაქიდან გურამ რჩეულიშვილის გარშემო ათობით ახალგაზრდა იყრიდა თავს.

ჯურხა თბილი, კეთილი და ბუნე-

ბრივი ინტელიგენტური თვისებების ბიჭი იყო. დინჯი, მოწინავე სტუდენტისათვის არაფერი ადამიანური უცხოს არ წარმოადგენდა, ხშირად ვიყავით დაუქან-რესტორნების სტუმრები და ლამაზი გოგონების დაბადების დღეებსაც არ ვაკლდებოდით. თუ არ ვცდები, ჩვენი სტუდენტობის დაწყებიდან ერთი თუ ორი წლის მერე საჩხერის რაიონის საუცხოო სოფელ ჭორვილიდან ისტორიის ფაქულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვიდა ახალგაზრდა, გრუზათმიანი, ნათელსახიანი, კაცურად ლამაზი და წარმოსალეგი ასანა ნადირაძე, შვიდ დედმამიშვილს შორის რიგით მეორე.

ჯურხას ყველა ძმაგაცი უცებდა ხლოვდა ასანას, ამავე დროს მრავალი სხვა მეცნიერიც შეიძინა. იმ საქმეში, რასაც ახალგაზრდა ბიჭები ბუნებრივად მივდევდით – სწავლას, მეცნიერობას, დროსტარებას, ქიიფს, სიყვარულს, ჩხუბს, გაუკაცობას – სულ ცოტა ხანში ასანამ ბევრს გადააჭარბა და ძალიან პოპულარული გახდა. სიტყვაც მკლავივით უჭრიდა და პოპულარობის ზრდაში ბუნებრივ იუმორთან ერთად თამაღიბობამაც საკუთარი წვლილი შეიტანა. გუშინდელივით მახსოვს, თავად პოპულარულმა, უნიჭიერესმა, დიდი მოვლენის ტოლფასმა გურამ რჩეულიშვილმა ერთ დღეს მითხრა: „ბიჭო, ნახე რა სახელი გაუგარდა ჰასანას (ისიც ჰასანას ეძახდა), ხელი ხომ არ უნდა მოვიკრათ, რომ ეგეთი პოპულარულები გავხდეთ“. ამაზე ბევრი ვიცინეთ, მაგრამ გურამის და ასანას სულიერ დაახლოებაში ვაუკაცურმა პოპულარობამ და ბიჭობამ, ბუნებრივია, დიდი

როლი ითამაშა.

ასანა ნადირაძე თავის ახლო მეგობარს, მარად დაუვიწყარ გურამ რჩეულიშვილს, ისევე როგორც დიდ გალაკტიონს, ირაკლი აბაშიძეს, ზვიად გამსახურდიას, შოთა მესხიას, ჯანსულ კახიძეს, ზაურ ბოლქვაძეს, რობერტ სტურუას, სიმონ სხირტლაძეს და სხვებს მართლა საუცხოო მოგონებებს უძღვნის. ძნელია ამ მოგონებებისა თუ წერილების გარჩევა, შეფასება, წესისამებრ შინაარსის გადმოცემა, ისინი უნდა წაიკითხოთ, გაიაზროთ და სულიერად ისიამოვნოთ. შესაძლებელი რომ იყოს ამ წიგნის თუ მასში თავმოყრილი მასალების ერთი სიტყვით შეფასება, ვიტყოდი: მშვენიერია ან დიდებულია. ამ სიტყვებს თუ პიროვნების ხიბლსაც დავუმატებდით, როგორც ამბობენ, თამასა ძალიან მაღლა აიწევდა.

ავტორის პატრიოტობა და კაცომეცვარება უკვე შესავალ წერილშია გაცხადებული, რაც ასანა ნადირაძეს საუკეთესო კუთხით ახასიათებს:

„ტრაგედიაა სამშობლოს შორიდან უცქერდე, ჩვენი სამშობლო აქ არის და არა იქ, სადაც უკეთესად ვიცხოვრებთ. ამ წიგნის ინტერესის საგანი ისიც არის, რატომ ჭირს ჩვენს საზოგადოებას მძიმე ავადმყოფობა, რატომ იზრდებიან ჩვენს შორის ძმისმკვლელი კანები“.

იქნებ ამიტომაც იხსენებს ასანა ნადირაძე სამაგალითო სიყვარულით დიდ და რჩეულ ადამიანებს, რომ მათი ცხოვრების მაგალითით კიდევ და კიდევ ჩააფიქროს ახალგაზრდობა, როგორ უნდა იცხოვონ, როგორ დაადგნენ ტაძრისკენ მიმავალ გზას.

ასანა ნადირაძე ერთგულია საკუთარი მრწამისის, რწმნის, სიყვარულის, ამიტომაც პასუხობს შეკითხვას: „ოქვენი საყვარელი ქართველი მწერლები?“

„- კონსტანტინე გამასახურდია, გურამ რჩეულიშვილი, რევაზ ინანიშვილი“. შურნალისტის შემდეგი შეკითხვა ძალიან საინტერესოა:

„- რომელ ნაწარმოებს გაუოცებისართ?“

- გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულს“, ჯერომ სელინ-ჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწოდან“. ამ შესანიშნავი პასუხებისა და ერთგულების შემდგომი დადასტურება ვიპოვე გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუკეთესო წერილში. ავტორი იხსენებს თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელ შეხვედრას გურამ რჩეულიშვილთან უნივერსიტეტის ცნობილ ბალში, შემდეგ კი ბალის შორეულ მყედრო კუთხეში განმარტოებას სულიერი ერთიანობის ნიშნით:

„გურამმა წამიკითხა პატარა ნოველა „ბათარეკა ჭინჭარაული“, როდესაც ბოლო სტრიქონები: „ჭერხოს შუაში გამქრალი შუაცეცხლის ჯაჭვზე ჩამოეხრჩო თავი მზია ბათარეკას ასულს თავი“ - წაიკითხა, ცრუელებს ვეღარ ვიკავებდი. არც ცხადში, არც სიზმარში არ მენახა და ვერც წარმომედგინა მზიას დარი ბავშვი. უზომო იყო ჩემი გაოცება. აფსუს, რომ არ ძალმიძს სიტყვები ვიპოვო იმდორინდელი განწყობილების გადმოსაცემად. ერთი ნამდვილია, ეს იყო შიშისმომგვრელი სი-

ნამდვილე, რაღაც ახალი“.

გურამ რჩეულიშვილის ბრწყინვალე ნოველის, უმდიდრესი ქართული ლიტერატურის ამ ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის შთამბეჭდავი, ორიგინალური ახსნაა.

ძალიან ბევრი მინდოდა მეთქვა ავტორისა და წიგნის შესახებ, თუმცა კიდევ მინდა გავიმეორო: სჯობია წიგნი იმოვოთ და წაიკითხოთ. ეს ყველაზე საუკეთესო გზაა, ცუდი კი ისაა, რომ ჩვენი შეჭირვებული ცხოვრების გამო წიგნი მხოლოდ ხუთას ეგზემ-პლარად გამოცემულა, როცა ხუთი ათასიც არ იქნებოდა საკმარისი.

ჩემს პატარა წერილს ისე ვერ დავამთავრებ, ასანა ნადირაძის მოთხოვნასა და ლექსებზეც რომ არა ვთქა ორიოდე სიტყვა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნა „წუთისოფელი“ ძალიან ძლიერი, მართლა ბრწყინვალე ნაწარმოებია.

უბრალო გლეხებაცი და ყოფილი ტყვე ყორანა მეტად შთამბეჭდავად არის დახატული. მარტო ამ მოთხოვნაზე შეიძლება ვრცელი წერილიც კი დათ-წეროს, უფრო მეტი, ვიდრე მე დღეს ვილაპარაკე. ვიტყვი მხოლოდ, რომ მოთხოვნა ნამდვილი მწერლის კალმითაა დაწერილი და მის გამოცდილ ავტორს აუცილებლად სხვა ბევრი ნაწარმოებიც უქნება, რომელთა გამოქვეყნებაც ავტორისათვის კი არა, მკითხველი საზოგადოებრიობისათვის არის საჭირო.

წინასიტყვაობაში ავტორი წერს:

„აქვე ქვეყნდება ჩემი ერთი ძველი მოთხოვნა და რამდენიმე ლექსი. თანახმა ვარ მისაყველურონ, ასეთი

თავხედობისათვის, თუ სხვა უკეთესის ვერ დაწერს, ჩემი შეცდომა არ გაიმეოროს“.

ვფიქრობ, ეს საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის მხოლოდ მწერლური და ადამიანური თავმდაბლობაა.

ლექსებიც უდავოდ საინტერესოა და მოსაწონი. როგორც იტყვიან, მეპირდაპირ გულში მომხვდა, მაგალითად, ლირიკული ლექსი „შემოდგომა“ და ახლაც სიამოგნებით ვიმურნებ მშვენიერ პწკარებს:

„დავხუჭავ თვალებს და მელანდები გაზაფხულივით როგორ იწყები, როგორ გაყრია ღამისფერ თმებზე ახლადშობილი ოქროს წინწკლები... წლებს წაუღია შენგან რამდენი, გადა-

უხდელი კვლავ გრჩება ვალი, შემოდგომითაც, შემოდგომითაც, მშვენიერია ლამაზი ქალი“.

ჩვენი ახალგაზრდობის სისხლსავსე დღეები და ასანასთან სუფრაზე დაუკიწყარი შეხვედრებიც ცხადივით გამახსენა პწკარებმა ლექსიდან „კუმის ღამე“.

„ჩვენი ქეთი ჰეთი ჰეთი მაშინ
მორწმუნეთ ლოცვას,

გული მრჩებოდა,

წასავლელად ავდექით როცა“.

მინდა ჩემს მეგობარს, ნაღდ შემოქმედსა და კაცურ კაცს ასანა ნადირაძეს გულით მივულოცო საინტერესო წიგნის გამოცემა, რომლისათვისაც შთამაგონებელი სათაურიც შეურჩევია - „მესტუმარი ვარ დედამიწაზე“.

ნუგზარ წერეთელი

მანგლის პატი დაბადება

2011 წლის ბოლოს, როცა გაცხოველებული მზადება მიმდინარეობდა შობის ბრწყინვალე დღესასწაულისა და ახალი 2012 წლის ღირსეული შეხვედრისათვის, მანგლისში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე სახლში ოთხმოცდასამი წლის ასაკში გარდაიცვალა ერთ-ერთი ღირსეული მანგლისელი, დიდი ოჯახის მამა და სამედო კაცი, მრავალჭირგადანახადი თედო წიკლაური.

მასთან ორმოცდახუთწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა. 1964 წლიდან ჩემი ოჯახი ცენტრალურ პარკთან ანუ ე.წ. „როშხასთან“ ერთსართულიანი სახლის ოთახში ისვენებდა. საქაოდცუდ პირობებს ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, ზღაპრული ბუნება და ფიჭვების ტეგრებით გაერიალებული ჰაერი ფარავდა. თედო იმ დროს იქვე ახლოს ბანაკში მუშაობდა და ჩვენი ნაცნობობაც იქიდან დაიწყო, მერე კი ნამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა.

1975 წლიდან ძველი ვიწრო ბინა დაუტოვეთ და დიდი ქართველი მეცნიერის, მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის ომის დროს სწორედ ზემოთნახსენები მშვიდობის ქუჩაზე აშენებული ორსართულიანი სახლის მოაგარაკე ბინადრები გავხდით. ეს სახლი საქართველოს მინისტრთა საბჭოს ეკუთვნოდა და სწორედ ხელმძღვანელი ორგანოს დადგენილების თანახმად გამომეყო. აქ უკვე სამი ოჯახი ორ-ორი ოთახით სარგებლობდა, ერთი დანგრეული აბაზანა და ასევე ერთადერთი სველი წერტილით. ამ სახლში, რა თქმა უნდა, ზაფხულობით 36 წე-

ლიწადი გავატარეთ. აქ დავწერე ჩემი ბევრი წიგნი და ჯანმრთელობაც გავიკაუ, ბრონქიალური ასომა მაწუხებდა, რის გამოც ექიმები მთის სუფთა ჰაერზე დასვენებას მირჩევდნენ.

ჩვენი ეზოდან 10 მეტრის იქით თავისი დიდი ოჯახით ცხოვრობდა თედო წიკლაური, უახლოესი მეზობლობისას უკვე გამტკიცდა და გამყარდა ჩვენი მეგობრობა. დღის განმავლობაში უამრავჯერ ვხვდებოდით, ვსაუბრობდით, ხშირად დახმარებას მიწევდა წამოჭრილი საოჯახო პრობლემების გადაწყვეტაში.

თედო წიკლაურის პირვნული თვისებების შესახებ ნაკლებს ვლაპარაკობ, რადგან აქ ვაქვეყნებ 1993 წელს დაწერილ და პრესაში გამოქვეყნებულ წერილს დაბა მანგლისის მაშინდელი მდგომარეობის შესახებ, რაც თედოს პირადი თხოვნითა და მრავალი შეხსენებით დაიწერა, აგრეთვე 1995 წელს მაშინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილს თვით თედო წიკლაურის პირვნებისა და ცხოვრების შესახებ. პირველი წერილი მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ მანგლისის როულ წარსულს ასახავს, მეორე კი სამაგალითო მშრომელი ადამიანის შესახებ არის დაწერილი.

გულთბილი და სიკეთით სავსე იყო. 2010 წლის ზაფხულში, როცა ეზოში ვისხედით და ვსაუბრობდით, მითხრა: ოღონდ იმას მოვესწრო შენ აქ გნახო დაფუძნებული, ეს სახლი შენი საკუთრება იყოს, გვერდით მუჟულებოდე, ასე ჭოველ-დღე გხედავდე, მერე აღა მოვაკვდებიო, — თქმა და ცრუტლებიც გადმოსცივდა, რადგან

გულწრფელი სურვილი აღაპარაკებდა. მანგლისში მუსხელიშვილის ყოფილი სახლის ერთი ნაწილის ანუ სულ ორი ოთახისა და ლოკვის შესყიდვის შესახებ განცხადება მრავალჯერ მქონდა და დაწერილი. 1990 წლიდან დაწყებული უარი არასოდეს უთქვამთ, სულ მპირდებოდნენ და მაიმედებდნენ შენი იქნაო, მეც მართლა ჩემი მეგონა, გასულ 2011 წლის დასაწყისში კი ჩემი ოფიციალური განცხადების საფუძველზე გამომიძახეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტში. იქ კულტურულმა და მშვენიერმა ახალგაზრდა ქართველმა ქალებმა აუდიტის მიერ შეფასებული ისეთი თანხა დამისახელეს, რასაც ვერასოდეს და ვერაფრით ვერ გადავიხდიდი. მხოლოდ 20 ლარად შეფასებულმა თითოეულმა მეტრმა მიწამ მოელი ეზოს მოცულობით სამასი ათას ლარს გადაჭარბა, მაშინ როცა ფიჭვებიან-ზეებიანი ფართობის გარდა, ეზოს თითქმის ნახევარზე მეტი ხრიოკი და გამოუყენებელი ფართობია. თუმცა არც ამას და არც ჩემს დამსახურებას დარწმუნებული ვარ არავინ არ გაითვალისწინებს. ბევრს ლაპარაკობენ ნუგზარ წერეთელმა შეისყიდა აგარაკო, თუმცა სიძვირის გამო მოლაციების ვარაუდი არ გამართლდა და აწი ვეღარ ილაპარაკებენ. ასე რომ მანგლისში 45 წლიანი ცხოვრების შემდეგ, როგორც იტყვიან უსახლეაროდ დავრჩი და ჩემს მეგობარ თედო წიკლაურსაც ნატვრად ქცეული სურვილი ვეღარ ავუსრულე, ჰქონდეთ ყველაფერი მდიდრებს და სუფთა ჰაერიც მხოლოდ მათ ყლაპონ.

მანგლისის ღირსეული შვილის

დაკრძალვა 31 დეკემბერს იყო დანიშნული. კიდევ უფრო ცუდი ამინდის მოლოდინით შეშინებული 30 დეკემბერს წავედი პანაშვიდზე. დიდი ოჯახის წევრები და მეზობლები გულიანად დასტიროდნენ უდროოდ წასულ კაცს, მუდამ მზიანი და ხალისიანი მანგლისიც დაღვრემილი სახით გამოიყურებოდა, მაღაზიები დაკეტილი იყო, ცოტა ხალხი დადიოდა ქუჩაში, ციოდა, თოვლსაც აპირებდა, ირგვლივ შემოჯარული მოები მძიმე ნისლში არც ჩანდა. მანგლისის ღირდებული ღვთისმშობლის ეკლესია ღია იყო. გაყინულ ეკლესიაში მხოლოდ სანთლების გამყიდველი ჩანდა, სანთლები დავანთე და კიდევ ერთხელ დიდი სინაულით გავხედე ვეებერთელა ეზოს, სადაც თედო წიკლაურთან ერთადაც ბევრჯერ ვყოფილვარ. მოღუშული, უსამოვნო დღე კიდევ უფრო მძიმე ხასიათზე მაყენებდა და მანგლისის ღირდებული ხედების დანახვაც აღარ მახარებდა, ასე ახლობელი მანგლისი თითქოს უკვე უცხო ხდებოდა ჩემთვის.

როგორც ზემოთ ვთქვი, განმეორებით ვბეჭდავ ორ წერილს: პირველია 1993 წლის 16 ნოემბრის გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაბეჭდილი წერილი - „ასე ვცხოვრობთ, ვშრომობთ, ვიბრვით,“ (იბეჭდება შემოკლებით) და მეორეს, გამოქვეყნებულს იგივე გაზეთში 1995 წლის 6 ივნისს პირადად თედო წიკლაურის შესახებ საერთო სათაურით - „მისი სიმდიდრე სიკეთეა და სიყვარული“. ეს ფაქტი საჭიროა მძიმე წარსულის გასახსენებლად, რომ წამკითხველმა თავად გააკეთოს ძალდაუტანებელი შედარება.

ნუგზარ წერეთელი

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“
16 ნოემბერი 1995 წ.
ნუგზარ წერეთელი

ასე გცხოვრობთ, ვშრომობთ, ვიბრძით

თბილისის ახლომახლო კი არა, მთელ საქართველოში ძნელად მოიძებნება ისეთი მშვენიერი საკურორტო ადგილი, როგორიცაა მანგლისი.

შორეულ საუკუნეებს განეკუთვნება ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე საკმაოდ დიდი დაბის დაარსება, დღეს უკვე ქალაქის იერი რომ აქვს მიღებული და თითქმის შვიდი ათასამდე მცხოვრებს ითვლის.

მეცამეტე საუკუნის საქართველოს რუკაზე მანგლისი უკვე მსხვილი დასახლებული პუნქტის სახითაა აღნიშნული.

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის მეფეები, დიდებულები და მაღალი სამღვდელოების წარმომადგენლები ოდითგან მანგლისში ისვენებდნენ.

ეს ყველაფერი ასწლეულების სიღრმეშია ჩაკარგული.

ამჯერად ჩემი მიზანი შორეულ წარსულზე მსჯელობა არ არის, უახლოეს წარსულსა და დღევანდელობას მინდა შევეხო, რამაც ჩვენს თვალწინ ჩაიარა.

წლების წინათ, თუნდაც ხუთი-ექვსი წლის წინათაც კი, მანგლისში ცხოვრება დუღდა: სისტემატურად უჩვენებდნენ კინოფილმებს, იმართებოდა კონცერტები და წარმოდგენები, მუშაობდა კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა, სისტემატურად ტარდებოდა ლექცია-მოხსენებები, გაზეთების კინტურთან ყოველდღე იდგა რიგი, სტუმარი არ აკლდა წიგნების მაღაზიას, სატელეფონო ქსელი შედარებით გამ-

ართულად მუშაობდა...

ეს ყველაფერიც მოგონებას ჩაბარდა.

მთელი საქართველოს მსგავსად, მანგლისსაც ძალზე გაუჭირდა. აქაც იჩინა თავი პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა სიდუნაურემ, ასე არახულად რომ არყევს საქართველოს.

მრავალი სულიერი და მატერიალური სიკეთე დააკლდა მანგლისს. პური სისტემატურად არ ცხვება. სინათლის შეწყვეტის შემთხვევაში ორი, სამი ან მეტი დღით იკეტება ერთად-ერთი პურის ქარხანა. აგვისტოში ცხრაჯერ ვერ გამოცხვა პური. კომპენსაციის სახით ხალხს ორჯერ დაურიგდა ფქვილი, ერთხელ – სულზე ნახევარი კილო, ერთხელაც სამას-სამასი გრამი.

მოსახლეობა ღამის 3-5 საათიდან იწყებს რიგის დაკავებას და ზოგჯერ, კუთვნილი სამას-სამასი გრამი პურიც კი ვერ ხვდება ზოგიერთს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მანგლისის გამგებელი ცდილობს საკითხის მოგვარებას, მაგრამ პრობლემა მეტად რთული გადასაჭრელია, კაჭრეთის წისქილკომბინატიდან სამყოფი ფქვილის ჩამოტანა ყოველთვის ვერ ხერხდება.

ბაზარი უკონტროლოდაა მიშვებული, არავითარი ვეტერინარული თუ სანიტარული სამსახური არ მოქმედებს,

ხორცი, ყველი, რძის ნაწარმი ყოველგვარი შემოწმების გარეშე იყოდება. დღი უნივერმალი და რამდენიმე სხვა სამრუწვლო მაღაზია საერთოდ დაკეტილია, ასევე დაკეტილი ფანჯრებჩამსხვერული კულტურის სახლიც. მასში მოთავსებული ბიბლიოთეკა იშვიათად იღება. ბიბლიოთეკაში არავთარი ახალი გაზეთი და უურნალი აღარ მოიპოვება.

გაზეთები მოდის დიდი დაგვიანებით, თვეში ორჯერ-სამჯერ, წიგნის ერთადეგრო მაღაზიას, ძირითადად, ბოქლომი ადევს, რაც არის იმის გაყიდვისაც აღარ ცდილობენ. რადიომაუწყებლობის ქსელი არ მოქმედებს. ივლისის თვეში ტელევიზია საქმაოდ ნორმალურად მუშაობდა, მაგრამ აგვისტოს დასაწყისში ყველგან თავწამოყოფილმა ნაბირლებმა გაქურდეს სატელევიზიო ანბა, ალბათ, მოდად ქცეულ სპილენძს თუ დაეძებდნენ და ხალხის ეს ერთადერთი საინფორმაციო საშუალებაც სულ დაფავს.

სატელეფონო კვნძში დიდი არეულობაა. ხშირად არ არის კავშირი თბილისთან, რაიონის ცენტრთან, გარე სამყაროსთან, ორიოდე ხელოსანი დაბას ვერ შველის. კვანძის უფროსი პეტრე მაცუკატოვი ხშირად ტყუილსაც კადრულობს. თვენახევრის მანძილზე არა ერთი და ორი თხოვნის მიუხედავად, მან ვერ „მოიცალა“ მოსულიყო მშვიდობის ქუჩაზე და მინისტრთა კაბინეტის მთავარი სამეურნეო სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი დასასვენებელი სახლის ერთადერთი ტელეფონი შეეკეთებინათ, რითაც ადამიანურ დახმარებას გაუწევდა დამსკენებლებს.

მანგლისის ცნობილ ტყე-ჭალებში უამრავი ფიჭვი და ნაძვია მოჭრილი,

უგულოთა ხელით ნიავდება ხალხის ქონება, ჩანაგდება მანგლისის სიამაყე.

შესანიშნავ ადგილას მდებარე ბავშვთა ცნობილი სანატორიუმი „ფიჭვნარი“ მოლიანდ განაზღუბულია, შენობასთვის თითქმის ყველა კარი და ფანჯარა მოუხსნიათ, ასევე დაშლილ-დალეწილი საზაფხულო რესტორნის ერთ დროს მშვენიერი ხის შენობა პარკში.

ამავე პარკში, მანგლისელები თუ ჩამოსულები „როშჩას“ რომ უწოდებენ, საუცხოო საზაფხულო კინოთეატრიც მუშაობდა. ახლა კი თვეების მანძილზე მხოლოდ ერთხელ თუ უწვენეს ფილმი.

რამდენიმე წლის წინათ ბავშვები-სთვის თანამედროვე დონეზე გამართული არაერთი ატრაქციონი იყო პარკში, უამრავი ბავშვი ეხვია კარუსელს, ნავებს, ელექტრომანქანებს. ახლა ეს ყველაფერი ისეა განადგურებული, თითქოს მტრის ჯარმა მიასწორ-მოასწორაო მიდამო.

ამჟამად მანგლისელებისათვის ერთადერთი ადგილი სულიერი დასვენებისა მანგლისის უძველესი და ულამაზესი ეკლესია. ტაბარი ყოველდღე ღიაა, ტარდება წირვა-ლოცვა, გალობს გუნდი, იყოდება წიგნები რელიგიურ თემაზე, საეკლესიო დღესასწაულზე უამრავი ხალხი იკრიბება, მათ შორის – ახალგაზრდობა. ეკლესია სიწმინდისა და კულტურის კერად არის ქცეული.

მუხედავად გაჭირვებისა, ხალხი მუხლჩაუხელუად შრომობს. მაგრამ უკამაყოფილებას გამოთქმები იმის გმო, რომ ორი-სამი თვის მანძილზე არ მოუღიათ შაქრის ფხვნილის, ზეთის თუ ბურღულულის კუთვნილი მცირე ნორმაც კი.

განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს მგზავრობა. თბილისამდე სულ რაღაც 50-55 კილომეტრია, მანქანით მგზავრობა კი 25 000 კუპონი ღირს, არარეგულარულად მავალი კერძო ავტობუსი კაცზე 5-6 ათას კუპონს იღებს. ავადმყოფის წამლისათვის თბილისში უნდა გაიქცნენ, რადგან მანგლისის აფთიაქს არავითარი წამალი აღარ გააჩნია, კომერციული აფთიაქიც არ არსებობს, აგადმყოფის მისახედად ისევ და ისევ თბილისს უნდა მიმართო. ასეთ როგორ პირობებში დაბა მანგლისისა და მის ახლომახლო ძღვანარებათზე მეტი სოფლის მცხოვრებლების ყველაზე დიდი, ყველაზე მწვავე მოთხოვნაა, რომ არნახული გაჭირვების მიუხედავად, როგორმე გამოიძენოს საშუალება, რომ თბილისსა და მანგლისს შორის თუნდაც დღეში ერთხელ რეგულარულად იაროს სარეისო ავტობუსი.

მანგლისის მცხოვრებთა უმრავლესობას პერსა თუ ხელფასი 4.500-10.000 კუპონს არ სცილდება. ასეთ დროს სამგზავრო ავტობუსის დანიშნა სასიცოცხლო აუცილებლობაა. მოსახლეობამ კარგად იცის რა დღეშია რესპუბლიკა, რა უმბიძესი პრობლემებით არის დაკავებული ხელმძღვანელობა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ პოულობენ. ვფიქრობთ, ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს სატრანსპორტო გაერთიანება.

მანგლისელები სულით არასოდეს დაცემულან, ისინი შრომობენ, ფიქრობენ, უძებენ გზებს, როგორ გაიუმჯობესონ პირობები და ყოველდღიური ცხოვრებაც გაიღამაზონ, ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირად ინიციატივასა და პირადი მაგალითების ძალას.

ადამიანის პირადი ინიციატივა, გულმოდგინე შრომაა საერთო სიკეთისთვის. ბევრ სასარგებლოს აკეთებს და გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხსაც იმდებს უსახავს იმ ხალხს, გინც შრომაში ხდავს საკუთარი ოჯახის და ქვეყნის გამოსავალს. მე მოელი თვენახევრის და საერთოდ წინა წლების მანძილზე საშუალება მქონდა მენახა, როგორ დაუღალავად შრომობენ ჰემპარიტი მანგლისელები გორგი, ალბერტი, გელა ლილაძები, მაშო და ვალიკო წიკლაურები, ოლია და არჩილ ოქრუაშვილები, როგორ შრომობენ წიკლაურები, ქავთარაძები, ბექაურები, გვრიტიშვილები, ასანიძები, ნარიმანიძები, ალთუნაშვილები, მათ მხარდაშარ მეგობრულად შრომობენ ბერძნები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანლები, უკრაინლები.

მანგლისმა საკუთარი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. აფხაზეთში გმირულად დაეცნენ მანგლისელების საუკეთესო შვილები: მანგლისის ბატალიონის მეთაური ნოდარ ბადალაშვილი, მფრინავი გოდერძი გვრიტიშვილი, ჯარისკაცი თამაზ წიკლაური და მრავალი სხვა. მანგლისელები ყოველთვის მზად არიან მკერდით დაიცვან საქართველო, საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურონ მამულის ერთიანობისათვის, წინ აღუდგნენ ბოროტებასა და უსამართლობას.

ასე ცხოვრობს, შრომობს და იბრძვის საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო და ულამაზესი კუთხე მანგლისი, ასე ხედავენ საკუთარ დანიშნულებას გამრჯე და კეთილი მანგლისელები.

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“
6 ივნისი, 1995 წ.
ნუჯ ზარ წერეთელი

მისი სიმდიდრე სიპათეა და სიყვარული

თბილისიდან 60 კილომეტრის დაცილებით, თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს ისტორიული დაბა მანგლისი.

მანგლისი ცნობილია როგორც საუკეთესო საკურორტო ადგილი. ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლის ულამაზეს ზეგანს ავსებს მთის გრილი ჰაერი, რაც მკურნალობის უბარ საშუალებას წარმოადგენს.

დღევანდელი მანგლისი ქალაქის ტიპის დასახლების დიდი დაბა, სადაც შვიდი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

აღნათ უმდიდრესი ბუნების წყალობაა ისიც, რომ აქ ცხოვრობენ მშრომელი, კეთილი, ჭეშმარიტი ქართველობისათვის დამახასიათებელი თვისებებით შემკული ადამიანები.

თითოეულ მათგანზე შეიძლებოდა დაწერილიყო საგაზეთო სტატია იმდენად შრომისმოყვარე და კაცომოყვარე უდიდესი უმრავლესობა.

ამჯერად ერთ-ერთზე მინდა შევჩერდე, რომელსაც ყველაზე კარგად ვიცნობ, თითქმის ოცდაათი წელია ვმევობრობ და მის სახეში განზოგადებულად ვხდედავ იმ საუკეთესო თვისებებს, რაც ამ კუთხის შვილებს ახასიათებთ.

მანგლისის მკვიდრისა და ღირსეული წარმომადგენლის თედო წიკლაურის როტული, სასრგებლო, ნაყოფიერი ცხოვრება მაქვს მხედველობაში.

ეს მაღალი, მხარბეჭვაშლილი, სახეზე ღიმილგადაფენილი კაცი საუკეთესო ქართველის ტიპიურ განსახიერებად მეჩვენება. სალამსა და მოკითხვას ვერ დასწრებ, ღიმილსა და ტკბილ სიტყვას არავის დამადლებს დილიდან დამემდე მუხლჩაუხრელად შრომის, სახლთან აქვს ბალი და ბოსტანი, ქვემოთ, ალგეთის დამრეცი ფერდობებისაკენ კი სამი ჰექტარი სახნავ-სათესიც აუღია არენდით, რომლის დამუშავებას მართლაც დიდი შრომა და ჯაფა სჭირდება. რაც კარგი, მისადგომი ადგილები იყო სულ დაიტაცეს იარაღისა და ძალის საშუალებით, განუკითხაობის, ნგრევის პერიოდმა თედოც და სხვა პატიოსანი ხალხიც დააზარალა.

თედოს უსაქმოდ გაჩერებულს ვერ ნახავთ, სულ მოძრაობაშია, თოხნის, აკრავს, კრეფს, ცელავს, გადააქვს, გადმოაქვს, აჭედებს, შეშას ჩეხავს. შრომას შეჩერებულ კაცს საქმეს რა გამოულევს, წუთით დამჯდარი და უქმად მოლაპარაკე მგონი არც დამინახავს, ზოგჯერ პატარა შვილიშვილებს გასურნებს, მოუფრება, მოესიყვარულება, მერე ისევ შრომაში ჩაებმება, ამგვარი კაცი ქვეყნად შრომისა და შექმნისათვის არის დაბადებული.

თედო წიკლაური ღვევის საბჭოს სოფელ დრეშია დაბადებული. მისი მოგონებებიც აქედან იწყება.

გრძელი და გაჭირვებით სავსე ცხოვრების გზა აქვს გამოვლილი თე-დოს. ქვეყნა ახალ ნაბიჯებს სდგამ-და. არნაცული სირთულეების გადაღ-ახვა უხდებოდა, ძლივს მიიწვედა წინ. და-ძმებს ფეხსაცმელიც არ გააჩნდათ, ქალამანიც კი არ ჰქონდათ და მაღალ თოვლში შინნაქსოვი წინდებით და-დიოდნენ.

ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. 7-8 წლის თებო იძულე-ბული იყო უკვე მწყემსის რთულსა და ხიფათიან ცხოვრებას შესდგომო-და. მწყემსობა დიდ შრომას მოითხ-ოვდა, ერთმანეთში იყო არეული სოფ-ლის მრავალრიცხოვანი თხა, ცხვარი თუ ძროხა, სწავლას გაჭირვებით და ძალების დაძაბვით ახერხებდა.

თედოს კოლექტივის ჩამოყალი-ბებაც ახსოვს, მშრომელი ხალხის უმოწ-ყალო განკულაკებაც, როცა კომისარმა ბურდულაძემ გლეხობას ათასობით ცხვარი ჩამოართვა და ახალი წყო-ბილების მიმართ მათი გულისგატეხა და ბუნებრივი უნდობლობა გამოიწვია.

გაჭირვებით დაამთავრა ოთხწლე-დი სოფელ დრეში. აქ მეტი კლასი არც იყო და დაღონებული ბიჭი მთელ დროს მწყემსობას ახმარდა.

შემდეგ დიდი სამამულო ომიც დაიწყო. ოჯახის მარჩენალი მამა ფრონტზე წაიყვანეს. ოჯახის რჩენის მთელი სიმძიმე თედოს დააწვა. აქ კოლმეურნეობამაც გაუწია ანგარიში – დარაჯად და წერილების დამტარე-ბლად გადაიყვანეს. რამდენიმე კილო-მეტრის იქით მდებარე ღვევიდან მო-ჰქონდა წერილები დრეში.

საბჭოს თავმჯდომარედ მაშინ გიგო ლონდარიბე მუშაობდა. მის მეუღლეს სათხო და კეთილი მასწავლებელს თამარ მუჯირიშვილს შეებრალა შრო-მაში ყელთამდე ჩაფლული ბიჭი, დაიბარა, ესაუბრა, შემდეგ წაყვა და მეხუთე კლასის მოსწავლედ მიაღები-ნა.

წელებზე ფეხს იდგმდა თედო, თან სწავლობდა, თან მუშაობდა, დედასაც კი უმაღავდა თავის გაჭირვებას და ასე დაამთავრა რვაწლედი.

ამასობაში მამაც დაბრუნდა ჯარი-დან და თედოს შეღავათი მიეცა. მან-გლისის საშუალო სკოლაში გააგრძე-ლა სწავლა, თან კოლმეურნეობაში მუშაობდა. სწავლა დაბალ დონეზე იდგა, მასწავლებლები არ ყოფნიდათ, მაგალ-ითად რუსულს თავად შვიდკლას-დამთავრებული ახალგაზრდა ქალი ასწავლიდა, დირექტორის შვილი.

თედო მონდომებით სწავლობდა, ცდილობდა, წვალობდა, ათობით კილო-მეტრს გადიოდა სიცხეშიც და ყინვა-შიც, რომ სწავლა არ გაეცდინა.

ხელმოკლე ოჯახისთვის უდიდე-სი დარტყმა იყო მარჩენალი მამის დაკარგება. მთელი გაჭირვება დედას და უფროს შვილს დაადგათ, შრომა გაუათ-კეცდათ.

ამასობაში არმიის რიგებშიც გაი-წვიეს. 1953 წელს დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან. ჯარისკაცის ფორმა არც კი გაუხდია ისე დანიშნეს შინაგან საქმეთა განყოფილების თან-ამშრომლად ბანკში. შემდეგ წესიერი და გულმოდგინე მუშაკი სასწავლებლად გაგზავნეს მილიციის სკოლაში.

ეგონა თბილისში უშვებდნენ სასწავლებლად, მაგრამ ნალჩიკში უკრეს თავი.

სკოლის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს იმუშავა სენაკში. კვლავ თავის მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. აქ მრავალ ადგილას მუშაობდა, მაგრამ გასაქნი არ ჰქონდა. მართალ და პირდაპირ ადამიანს მაშინდელ პირველ მდივანთან დიდი უთანხმოება მოუვიდა. მიუხედავად ამისა, იყო მეურნეობაში დაცვის ხელმძღვანელი, სახანძრო რაზმის პროფილაქტიკის უფროსი, ადგილობრივი ბანკის დაცვის უფროსი, შემდეგ თბილისში გადაიყვანეს ერთ-ერთი ტრესტის უფროს ინსექტორად. მოვალეობის ერთგული მუშაკი განმეორებითი ლითონენდლეულის დამზადების ინჟინრად დაინიშნა საგარეჯო-გარდაბნის ზონაში. გულმოლგინედ შრომობდა, მრავალი მადლობა და სიგელიც დაიმსახურა, როცა კოოპერაციული მოძრაობა განვითარდა. თედო წიკლაურმა კოოპერატივი ჩამოაყალიბა „იმედის“ სახელწოდებით. იქნებ იმიტომაც, რომ ცხოვრებაში იმედი არასდროს დაუკარგავს და იმედიანი, ოპტიმისტური ბუნება ჰქონდა, რაც დღემდის უცვლელად გამოჰყოვა.

დიდ სარგებლობას აძლევდა თედო წიკლაური რაიონს, სახელმწიფოს, თავისი სათვირთო მანქანით ათასობით ტონა მეორედ ნედლეულს ამზადებდა, სად არ დადიოდა ეს მშრომელი, დაულალავი კაცი, ქუჩები და ხევები ათასჯერ ჰქონდა მივლილ-მოვლილი, რომ ქვეყანას არაფერი დაკარგოდა, უქმად არ დაუანგებულიყო ძვირფასი

ლითონი, რაც მეტისმეტად ჭირდებოდა სახელმწიფოს და რისი ნაკლებობაც მეტისმეტად მწვავედ იგრძნობოდა და დღესაც იგრძნობა.

თვადადებულმა მუშაობამ თედოს არ გაუმართლა, ბანკში ნაგროვები ფული ერთ მშვენიერ დღეს კუპონებად ექცა, შრომა წყალში ჩაეყარა.

ხალხს სპილენძი, ალუმინი და სხვა ფერადი ლითონები საზღვარგარეთ გაპქონდათ გასაყიდად, თედოს კი ერთხელაც არ უკადრებია სპილენძის ვინმესთვის მიყიდვა, სულ სახელმწიფოს აბარებდა. ამის სანაცვლოდ თანხებსაც კი არ ურიცხავდნენ და ხშირად სატვირთო მანქანისათვის აუარებელი



**ზის ნუგ ზარ წერეთელი, მარჯვნივ
აზა ანთელავა და ბავშვები,
მარცხნივ თედო წიკლაური**

ბენზინის ყიდვასაც ვერ ახერხებდა. წვალებით და ტანჯვით შეგროვილი მეორადი ნედლეული შემოსავლის უმცირეს წყაროდაც კი ვერ ექცა.

სხვაც ბევრი სატკივარი აქვს 70 წელს მიღწეულ თედო წიკლაურს. ადრე ფიქრობდა, რომ სიბერეში მაინც დავის-ვენებო, მაგრამ სიბერე მოდის და დამსახურებული დასვენების, ნორმალური ცხოვრების პირობები ჯერ არ ჩანს. ძვირფას მეუღლესთან ერთად სამ ძროხას უვლის, თვეში რამდენჯერმე თვითონაც მიდის უბნის რიგით მწყემსად.

საძოვარი საერთოდ არ ქონდათ. კოლექტიური განცხადების, გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ წერილის გამოქვეყნების შემდეგ როგორც იქნა ეს პრობლემა მოგვარდა. მაგრამ ძალიან ცუდად არის სათიბის საქმე. ადგილები 25 კილომეტრის დაცილებით გამოუყვეს. როგორ მოახერხოს იქ სიარული, საკუთარი ხელით გაზრდილ ძროხებს ხომ ვერ შეელევა? სათიბის საკითხი აუცილებელ მოგვარებას მოითხოვს, ასევე დიდ გასაჭიროში აგდებს შეშის დამზადება, რასაც საკუთარი სახსრებით აკეთებს შვილთან ერთად.

თედოს ყოველგვარი გაჭირვების მაღამი და განუყრელად შხარში მდგომი მისი მშვენიერი ოჯახია. მასავით გამ-

რჯელი, დილიდან ღამამდე დაუღალავად მოფუსფუსე ქალბატონი ნორა იამანიძე სახლკარს, ბოსტანს, ეზო-გარემოს, ოთხ შვილსა და ოთხ შვილიშვილს თედოსთან ერთად წუთითაც არ აკლებს მზრუნველობას.

შვილებით ამაყობენ თედო და ნორა. უფროსი ქალიშვილი მარინა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია, სადოქტოროზეც მუშაობს და ოჯახ-საც უვლის, ვაჟიშვილი გია ინჟინერ-მშენებელია, მამას უხარის პატიოსანი ბიჭი და საუკეთესო მშრომელიაო, მომდევნო გოგონამ ელექტრ პედაგოგიური ფაკულტეტი დამთავრა, უმცროსი ქალიშვილი ხათუნა სოფლის მეურნეობის აგრონომ-ეკონომისტია.

ჯერ ოთხი შვილიშვილით ხარობენ თედო და ნორა. გამრავლებასაც ნატრობენ. საქართველოს მომავალს ამ კუთხითაც უცქერენ, სიკეთის და წინსვლის იმედი აქვთ.

ცხოვრობს ასე მანგლისის ღირსეული შვილი და საუკეთესო ქართველი კაცი. თედო წიკლაური დარწმუნებულია, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე გაცილებით უკეთესი იქნება.

სოფელი ახატანი დასმარებას საჭიროებს

ეს წერილი პირადი მოსაზრებებით არ დაწერილა, იგი მრავალი ადგილობრივი მცხოვრების დასაბუთებული სჯა-ბასისა თუ გულისტკივილის პატიოსანი გამოხატვის შედეგად დაიწერა.

საქმე ეხება დუშეთის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ახატანის, დასასვენებელ და საკურორტო ადგილს. თავად უძველესი ახატანი, მისი უბნები თუ სწორედ დასვენებისათვის აგებული სახლები ათობით და ასობით ერთეულს უტოლდება, რაც ჩვენის აზრით, საკმაოდ სოლიდური ციფრია და ბუნებრივია, მეტ ხელის შეწყობასაც საჭიროებს.

სოფელი ახატანი დუშეთის რაიონში შედის. წლების მანძილზე ეს ფაქტი ყოველთვის კამათსა და მითქმა-მოთქმას იწვევს. იმასაც ამბობენ, როცა ასფალტირებული გზა კეთდებოდა ბიწმენდში, ახატანიც რომ მცხეთის რაიონის შემადგენლობაში ყოფილიყო, ბარემ ჩვენამდე დარჩენილ ორკილო-მეტრნახევარსაც გააკეთებდნენ და წესიერი გზა გვეღირებოდა. ისე კაცმა რომ თქვას, ახატანიდან მცხეთამდე 15 კილომეტრია, დუშეთამდე კი 45, საჭიროების დროს ადამიანმა მიშლილ-მოშლილი გზით რომ არ იაროს, ჯერ ჩადის მცხეთაში, მერე გადის ნატახ-ტართან და გზას აგრძელებს დუშეთისკენ. ამიტომ ბევრად უფრო მიზანშეწონილია ახატანი მცხეთის რაიონს მიეკუთვნოს, ეს საკითხი კი დაყოვნებას ნამდვილად აღარ

საჭიროებს, ტრაფარეტული მიდგომები უნდა უკუგადოთ და ხშირად ხალხის აზრი გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი კვლავ აპირებს საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს, იმედიც აქვთ ის გასცემს განკარგულებას სწორად და სამართლიანად გადაიჭრას ძალზე გაჭია-ნურებული პრობლემა.

წერილს სოფლის აქილევსის ქუსლით კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას აქილევსის ქუსლებით დავიწყებთ, რადგანაც ჯერ ერთი და ორი კი არა, უამრავი ცხოვრებისული ხარვეზია აღმოსაფხვრელი.

სოფლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წყლის პრობლემა ჯერ კიდევ სტანჯავთ ადამიანებს. სრული სიმართლისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის აგვისტოს ბოლოდან საკითხი შეუდარებლად გამოსწორდა, თუმცა ნორმალურ ზღვარს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია. წყალი სხვა და სხვა დროს მოდის, ასევე სხვა და სხვა დროს წყდება, არავინ იცის როდის რა მოხდება. მცხოვრებლები ყვებიან: გასულ ზაფხულს რამდენიმე შეწუხებული ადამიანი საჩივლელად მისულა დუშეთის გამგებელთან. იმასაც აღნიშნავთ: გამგებელს გულთან მიუტანია თხოვნა და სასწრაფოდ გაუგზავნია სპეციალისტები ახატანში. საქმე შედარებით გამოსწორდა, ოღონდ დროებით, სათაო ნაგებობა ჯერ კიდევ მოშლილია, მრავალი წლის ხმარებისაგან

დაცხრილული მიღები დიდი დანაკარგებით ატარებენ წყალს, შემცრებ-გამანაწილებელი მრავალტონიანი ცისტერნაც ძირითადად მწყობრიდანაა გამოსული, გამოყოფილი თანხები ქრება, ნაკლოვანებები კი რჩება და როგორც იტყვიან, ჭირი თავს ვერ მალავს. ხალხი ცდილობს საკუთარი ავზები მოიწყონ, მაგრამ ეს მოთხოვნებს მცირედ თუ აქმაყოფილებს. მართალია, გარკვეული წინსვლა სახეზეა, მაგრამ საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

დენის მომარაგების საქმეც ვერ არის აწყობილი. ამ შვიდი-რვა წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით თვალსაჩინო წინსვლაა, მაგრამ შექი ხშირად ქრება, საათობით და მთელი ღამეობითაც მიდის, ახატნელებსა და დამსვენებლებსაც მაცივრებში შენახული ხორცეული თუ რძის პროდუქტები უფრო უხერხულობას იწვევს. როგორც მთელ საქართველოში, ისე ახატანშიც გაცხოველებით ლაპარაკობდნენ 2011 წლის 31 აგვისტოს საქართველოსა და ბელგიის კალათბურთელთა ნაკრებების შერკინების შესახებ. მოლოდინი დიდი იყო. ამ დროს დღის ორ საათზე სინათლე გამოირთო და მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 17-18 წუთით ადრე მოვიდა. ამისთვისაც მადლობა, მაგრამ მთელი შესაძლებლობებით უნდა ვეცა-დოთ, რომ მსგავსი ფაქტებით, ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის უკ-

მაყოფილება არ გამოვიწვიოთ. პირველი და ორი სექტემბრის ღამე ხალხმა სრულ სიბნელეში გაატარა და წინაც რა იქნება, ეს მხოლოდ მაღალმა ღმერთმა თუ უწყის. იგივე განმეორდა 2011 წლის 4 სექტემბერსაც, როდე-საც ხალხმა საქართველოსა და უკრაინის თამაშის ბოლო 15 წუთი ნახა. ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია. ამასთან დაკავშირებით ერთი რამეც უნდა ითქვას: დაღამდება თუ არა, განსაკუთრებით შემოდგომითა და ზამთრობით სოფელში განუჭრეტი წყვდიადი წვება. მართალია, სახლებში ანთია სინათლე და ზოგგან ეზოებიც ნათდება, თუმცა ეს მხოლოდ ლოკალური განათებაა, სასოფლო შარებზე კი ძალიანაც რომ დაგჭირდეს ვერ გაივლი. მზრუნველობის, ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში ხუთი-ექვსი ან ოდნავ მეტი ლამპიონი რომ დაიღვას სოფლის საკვანძო ადგილებში, პრობლემაც გადაწყდება და ხალხიც დაისვნებს. პირველ რიგში ამისათვის უნდა იქნეს გამოყენებული მთავრობისაგან სოფლისათვის გამოყოფილი თანხა.

ბუნებრივი აირი ახატნის ახლო-მახლო უკვე მოყვანილია, თუგინდ მრავალჯერ ნახსენებ, მშენებრ ქართულ სოფელ ბიწმენდამდის, სოფლის მოსახლეობასაც დიდი იმედი აქვს, რომ მაღე აღარ დასჭირდებათ ტყე-ღრე დამქანცველი სიარული ცივი ზამთრისთვის საჭირო შეშის მომარაგების მიზნით, ამიტომაც არსებობს აზრი ახატანში – მცხეთის რაიონის მკვიდრები რომ ვყოფილიყვავით, იქნებ გზას ჩვენამდისაც მოეღწიაო. სწორედ ამი-

ტომაც, უამრავი ცხოვრებისეული ფაქტორის გათვალისწინებით დაბეჯითუბით მოითხოვენ სოფელი ახატანი შეუერთდეს მცხეთის რაიონს, მანამდე კი ბუნებრივი არის მიყვანას ნატრობენ.

საშინელ მდგომარეობაა ნაგვის ნარჩენების გატანის სასქმეში. თუ სასწრაფოდ რამდენიმე ბუნკერი არ დაიდგა და გატანაც არ მოხერხდა, სოფლის ახლო-მახლო მდებარე ხევები და გზისპირები ნაგვით აივსება, რამაც ინფექციებიც შეიძლება გამოიწვიოს.

საკმაოდ დიდ, თანაც საუკეთესო ქართულ სოფელ ახატანში თუნდ ერთი პოლიციელიც კი არ არის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ფურადლება მიაქციოს, ამ პრობლემას ხალხი საკუთარ თავზე იღებს, მაგრამ გამოცდილი ადამიანის, ტრადიციისამებრ ფორმიანის როლი და მნიშვნელობა სულ სხვა, ხალხი მოწონებით ლაპარაკობს თბილისსა და მცხეთაში მოხერხბული ავტომანქანებით მოძრაობის შესახებ და ნატრობს მათ შუკებში ერთი თუნდაც ძველი მოტოციკლეტიანი პოლიციელი მაინც მოძრაობდეს.

ისიც ადსანიშნავია, რომ ტრადიციულ ქართულ სოფელ ახატანში ქურდობის ერთეული ანუ იშვიათი ფაქტები თუ ხდება, რადგან სოფლის მცხოვრებლები, სოფლის მთელი საზოგადოება სასტიკად გმობს ქურდობის ყველანაირ გამოვლენას, საჯაროდ კიცხავს, ააშკარავებს და ღიად ქურდობასაც ვერავინ ბედავს. აქ იშვიათად წლობით მიტოვებულ აგარაკს თუ ვინმე გააღებს და რაღაც ნივთებს გააყოლებს

ხელს, რომ თანხა გაყიდვის მერე დასალევად გამოიყენოს, ესეც კი მთელი სოფლის რისხვის საგანი ხდება. სოფელ ახატანს სრული მონაცემები აქვს, რომ ღია კარის პრინციპით იცხოვროს და ხალხის მიერ ზამთრობით მიტოვებული აგარაკებიც არ გაიძარცვოს. ახატანში ისეთი პატიოსანი, კეთილი და მრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს, ამგვარი დონის მიღწევა ძალიან ადვილია. ასევე ნატვრად აქვთ ქცეული ამხელა სოფელს ექიმი თუ არა ექთანი მაინც ემსახურებოდეს. ვინმეს რამე რომ გაუჭირდეს თავიანთ სათაო ქალაქ დუშტში კი არ გარბიან, მცხეთასა და თბილისში უწევთ წასვლა. ამ ღროს მხოლოდ ერთი პატარა ერთსართულიანი შენობის აგებაა საჭირო, რაც ამჟამად სასიამოვნო მიმართულებად იქცა – მინის მცირე შენობა უნდა დაიდგეს, რომ იქ განთავსდეს სამედიცინო დახმარებისა და პოლიციის რწმუნებულის პუნქტი. აქვე შეიძლება ნორმალური მაღაზია თუ ახლებურად დარქმეული მარკეტიც განთავსდეს, რაც 4-5 უბნისაგან შემდგარ ახატანს ძალიან დაეხმარებოდა ცხოვრების ნორმალურად წარმართვაში, საკუთარი ინიციატივით შექმნილი ერთადერთი მაღაზია ანუ მინი-მარკეტი საქმეს ვერ შველის. ადამიანებს ბუნებრივია ყოველთვის სჭირდებოდათ პირველადი მოხმარების აუცილებელი საგნები. ვთქვათ პურის, მარილის, შაქრის თუ საპნის საყიდლად ადრე უეჭველად გრძელი გზა უნდა გაევლოთ საგურამომდე თუ მცხეთამდე. ეს გამოსწორდა, თუმცა დონე კიდევ უფრო

უნდა ამაღლდეს. ამიტომაც გამოვთქვით სურვილი სოფლის შემოსასვლელთან ერთსართულიანი პატარა თანამედროვე შენობის აგების შესახებ, რაც ისედაც ძალიან ლამაზ სოფელს კიდევ უფრო დაამშვენებს და ხალხის საყვარელ აღილად აქცევს. აქ პირადი ინიციატივა, რა თქმა უნდა მისასალმებელი და სასარგებლო საქმეა, თუმც ისიც ნათელია, რომ დიდი სურვილის მიუხედავად მსგავსი საქმის გაკეთება ძალიან ბევრს უნდა, თუმცა ხელმოკლეობის გამო არ შეუძლიათ, ამიტომაც თხოულობს ხალხი დახმარებას და აუცილებელ ყურადღებას.

ზემოთჩამოთვლილის გარდა უმშვერეს სოფელ ახატნის მოსახლეობას 21-ე საუკუნის ცივილიზაციის დამახასიათებელი სხვა ბევრი კომპონენტიც აკლია, ბიბლიოთეკის სენებაც კი არ არის, უურნალ-გაზეთებს თბილისიდან ვინმე მადლიანი თუ ჩამოიტანს, მერე გაზეთები ხელიდან ხელში გადადის და ისე კითხულობენ. მომავალში ასაშენებელ მინის გამჭვირვალე შენობაში შეიძლება განთავსდეს თუნდ პაწაწა კუთხე, სადაც ახალი უურნალ-გაზეთები გაიყიდება, რაც ყოველ დილით თბილისიდან მომავალი ავტობუსის საშუალებით სულ ადვილად მოგვარდება.

სოფელ ახატანს რელიგვიასავით შემორჩა სკოლის ძველი საუცხოო შენობა, რაც ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია, თუმცა აღდგენა სავსებით შესაძლებელია. ხუთი თუ უქვსი ახატნელი მოსწავლე შემოდგომისა და ზამთრის მკაცრ პირობებშიც

კი თითქმის სამი კილომეტრით დაცილებულ სკოლაში დაჰყავთ, იგივე ბევრჯერ ხსენებული სოფელ ბიწმენდის საშუალო სკოლაში, ამ სკოლას კი ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველთვის ქებით მოიხსენიებენ. ამ დროს ახატნის სკოლის ძველი შენობა სოფლის ცენტრში დანგრეული დგას.

ახალგაზრდობას ახატანში დარჩენა აღარ უნდათ, მხოლოდ საკარმილამო ნაკვეთის დამუშავება თუ საყანედ გამოყოფილ ფართობებში მუშაობა საქმარისი არ არის, ახლო-მახლო, საგურამოსა და მცხოვრის გამოკლებით, არავითარი სამუშაო არ ჩანს, დრო და დრო სააგარაკო სახლების მშენებლობის გარდა. თუნდაც ერთი ხილის ჩამბარებელი პუნქტი ან პატარა გადამამუშავებელი საამქრო რომ გაიხსნას უდიდესი საქმე გაკეთდებოდა. ახატანში მოდის საუკეთესო ხილი, საუკეთესოზე-საუკეთესო ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული, რაც ევროპაში ერთიათ-ად თუ არა, ერთიორად ნამდვილად ფასობს, აქაც შეიძლებოდა გახსნილიყო სპეციალური მარკეტი საგურამო-ახატნის ეგიდით, სადაც უცხოელიც კი სიამოვნებით შეიძენს სასურველ პროდუქტს და პესტიციდებით უკვე გაჯერებული ჩვენი მოსახლეობაც კამაყოფილი დარჩება.

ახატანს არაჩვეულებრივი, გნებავთ საუკეთესო ბუნებრივი მდებარეობა აქვს. ლამაზი მთებით, ტყეებითა და მინდვრებით გარშემორტყმულ სოფელს კიდევ უფრო ალამაზებს მაღალ მწვანე ფერდობზე თეთრად შეუენილი სახლები, ხალხი პროკურატურის აგა-

რაკებს რომ უწოდებს. აქედან და თავად სოფლის სანახებიდან დიდებულად ჩანს საგურამო, მიმდებარე სოფლები, მცხეთის ნაწილი, არაგვისპირი. ძველ ტრადიციულ სოფელ ახატაში ათამ-დის ეკლესია და სალოცავია შემორჩენილი. სოფელზე გადმომდგარი მაღალი მთის გადაღმა არის საოცრად ლამაზი, მე-13 საუკუნის ოანე ნათლისმცემის დიდებული ეკლესია. იქვეა ჭერივით დახურული წიფლნარის ტყე, დაბლა ჭოპორტამდის ჩამავალი სურნელებით სავსე ხევი. ეს ადგილი რომ უცხოელმა ტურისტებმა ნახონ, ანდა ქართველმა ტურიზმის მოყვარულებმა დაათვალიერონ, ნამდვილად გაუჩნდებათ მეორედ თუ მესამედ დაბრუნების სურვილი. ტაძრისაკენ ამავალი რთულ აღმართზე გაჭრილი გზა ქველმოქმედ ბიზნესმენს როინ ლდიშელიძეს გაურემნებია, რითაც მართლა მისასალმებელი საქმე გაუკეთებია. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის დაინტერესების შემთხვევაში კიდევ ერთი საუკეთესო ადგილი შეემატება ქვეყნის ტურისტულ მარშრუტებს. უცხოელი ტურისტები გზად დაათვალიერებენ მცხეთას, საგურამოს, ბიწმენდს, ახატანის ღირსშესანიშნავ ადგილებს, შემდეგ ძალზე დატვირთული

ე.წ. სამხედრო გზაზე ჩაუსვლელად, ზემოთა მხრიდან გადაივლიან ჭოპორტებს, ბულაქაურს, არაგვისპირის და გააგრძელებენ გზას ფასანაურისაკენ, ანანურისაკენ თუ სტეფანწმინდისაკენ, სადაც ულამაზესი ბუნებით, მყინვარწვერის დიდებული ხედებითა და ხევის უაღრესად სტუმართმოფენარე ადამიანების გულითადი შეხვედრებითაც ისიამოვნებენ. ეს საკითხი ნამდვილად ღირს დაფიქრებად და რაც მთავარია, მეტად საჭირო ყურადღების მისაქცევად.

ამჟამად საკურორტო და ჯანმრთელობის გასაკაუებელ სოფელ ახატანში უკვე ბევრი ცნობილი ადამიანი ცხოვრობს, ისვენებს საკუთარ აგარაკზე, მათ შორსაა უურნალისტიც, მწერალიც, რეჟისორიც არა ერთი და ორი პროფესორიც, პარლამენტის წევრიც, ბიზნესმენიც, პროგურორიც. ზოგიერთი პატრიოტი ადამიანის მსგავსად მათაც უნდა გამოიღონ ხელი და მთავრობის მხარდამხარ სოფელ ახატანის ჯერ კიდევ არსებული უამრავი პრობლემის მოგვარებისთვის იზრუნონ, რაც ძალზე საჭირო, კეთილი და კეთილშობილი საქმეა.

დასასრულს კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა გავიმეოროთ წერილის სათაური – სოფელი ახატანი დახმარებას საჭიროებს.

დუშეთის რაიონის სოფელ ახატანის მცხოვრებთა სახელით:
ნანა, ზურაბ ოზიაშვილები; ლილი, ლადო ოქროპირიძეები;
ჯუმბერ ქუთათელაძე, თეიმურაზ სისაური, ნაილი ვაჩნაძე, თეა
ლურსმანაშვილი, დათო დარიძაშვილი და სხვები.